

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

ინგა ზოიძე

ბიბლიური მოტივები თეიმურაზ მეორის შემოქმედებაში

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარდგენილი
დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
პროფესორი შოთა ჯიჯიეშვილი

ბათუმი

2020

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

როგორც წარმოდგენილი დისერტაციის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ინგა ზოიძე

თარიღი

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	4
თავი I. საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ვითარება XVI-XVIII სს-ში დაქართული მწერლობა	10
1.1. აღორძინების ხანის მწერლობა და ძირითადი მიმართულებები	16
1.2. გაბაასება XVIII საუკუნის ქართულ ლიტერატურაში	23
1. 3. ბიბლიური სიუჟეტების მნიშვნელობა ძველ ქართულ მწერლობაში	26
თავი II. თეიმურაზ მეორის შემოქმედების ძირითადი თემატიკა	36
2.1. პოემის „დღისა და ღამის გაბაასება“ ლიტერატურული პარალელები	41
2.2. თხზულების ორ სახელწოდებასთან დაკავშირებული საკითხები და დათარიღების წყარო	47
2. 3. პოემის „დღისა და ღამის გაბაასების“ ავტორთან დაკავშირებული საკითხები	49
თავი III. თეიმურაზ მეორის მოღვაწეობა და ქრისტიანული უნივერსალიზმი	52
3.1. ბიბლიური მოტივები თეიმურაზ მეორის გაბაასების ჟანრის ნაწარმოებთა სიუჟეტების მიხედვით	75
3. 2..ძველი აღთქმის სიუჟეტები „დღისა და ღამის გაბაასებაში“	83
3. 3. რელიგიური სიმბოლოები თეიმურაზ მეორის შემოქმედებაში	91
ძირითადი დასკვნები	103
ბიბლიოგრაფია	112

შესავალი

ქართველი ხალხის სულიერი კულტურის უმნიშვნელოვანეს ნაწილს ლიტერატურა წარმოადგენს, რამეთუ ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორია, სწორედ მასშია ასახული. ქართულმა ლიტერატურამ დიდი როლი შეასრულა ჩვენი ხალხის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, თავისი შესანიშნავი მწერლობით ქართველმა ხალხმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საკაცობრიო კულტურის ისტორიაში.

ქართული მწერლობის შთაგონების წყარო ოდითგანვე ბიბლია იყო, ამიტომაცაა ის ქართველი ხალხის სულიერი კულტურის ამსახველი, რამეთუ, ქართულმა მწერლობამ შეძლო აღეწერა ქართველი ხალხის - ერის მრავალსაუკუნოვანი წარსული.

არჩეული გზის ერთგულება, ტრადიციის დაცვა, ისტორიულად ჩამოყალიბებული რეალობის შენარჩუნება - ეს მარტო სარწმუნოებრივი პოზიცია არ არის, არამედ ხასიათია, ქართული, ეროვნული ხასიათი.

1063 წელს, ივნისში გიორგი მთაწმინდელი კონსტანტინე დუკას ხვდება, იმპერატორი ეკითხება წმიდა მამას - „რა განასხვავებს ქართულ მართლმადიდებლობას ბერძნულისაგან“? მამა გიორგი პასუხობს: „ესე არს სარწმუნოებაი მართალი ნათესავისა ჩვენისაი და რაჟამს ერთგზის გვეცნობის, არღარა მიდრეკილ ვართ მარცხლ, მარჯულ, და არცა მივდრკებით თუ ღმერთსა უნდეს“ (ძეგლები 1967:178). გიორგი მთაწმინდელის სიტყვებში იკითხება, ერთი მხრივ, ინტელექტუალური ელიტის აზრი, მეორე მხრივ, ისტორიული სინამდვილე.

საღვთო ისტორიის სიუჟეტების, იგავების სიმბოლური გააზრებისა და ინტერპრეტირების უამრავი მაგალითი არსებობს ქართულ ლიტერატურაში, ასეთი ნაწარმოებების ავტორები, სწორედ ქრისტიანული მორალით მოძღვრავდნენ საზოგადოებას, რათა განემტკიცებინათ მათში რწმენა ერთიანობისა და სიმტკიცისა. სწორედ, ასეთ ნაწარმოებებში ბიბლიურ სიუჟეტებს განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი. ბიბლიური სახისმეტყველება არა მხოლოდ ძველი ქართული მწერლობის განმსაზღვრელია, არამედ მთელი შემდგომი ლიტერატურული ეპოქის სააზროვნო სისტემად გვესახება. მწერალთა დაინტერესებას ბიბლიური თემებით

სხვა დატვირთვაც ქონდა, ეს იყო შესუსტებული მართლმადიდებლური მრწამსის განმტკიცების მცდელობა, რასაც მოცემულ პერიოდში მძიმე სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების ფონზე ქართველი ხალხის გადარჩენისა და კონსოლიდაციის როლი უნდა ეტვირთა.

ცნობილია XVI-XVIII საუკუნეების ფეოდალური საზოგადოების ერთ ნაწილს გულგრილი დამოკიდებულება ჰქონდა ქრისტიანული სარწმუნოებისადმი, რაც საქართველოს ვერაფერს კარგს ვერ უქადდა, სარწმუნოებრივი გადაგვარება ეროვნული გადაგვარების ტოლფასი იყო და მნიშვნელოვანი იყო რაიმე რადიკალური ზომების გატარება. პროგრესულად მოაზროვნე ძალები კი გამოსავალს მხოლოდ ქრისტიანული რელიგიის განმტკიცებაში ხედავდნენ, ამიტომ ქართველმა მოღვაწეებმა არჩილმა, სულხან-საბა ორბელიანმა, ვატანგ მეექვსემ ,დავით გურამიშვილმა, თეიმურაზ მეორემ და სხვებმა, ქრისტიანული იდეების პროპაგანდისტების უებარ საშუალებად მიიჩნიეს ბიბლიური წიგნების შინაარსისა და მსოფლმედველობის გადაყვანა გადათათრებულ ქართველთა ცნობიერებამდე. ამიტომ, ჩათვალეს თავიანთ შემოქმედებაში გზა გაეხსნათ ბიბლიური ელემენტებისათვის, რელიგიური მოტივებისათვის.

თემის აქტუალობა: ქართველი ხალხის კონსოლიდაციისა და ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებაში ქრისტიანული რელიგიის დიდი წვლილის შესწავლა და გაცნობიერება განაპირობებს თემის აქტუალობას. ქრისტიანული რელიგია ქართველი ხალხის ეროვნულ სიმბოლოს წარმოადგენდა. მსგავსი მიდგომები აისახა მაშინდელი ეპოქის ქართულ ლიტერატურაში ბიბლიური ელემენტების გააქტიურებით. სწორედ, მსგავსი ელემენტებით იყო გაჯერებული თეიმურაზ მეორის შემოქმედება, რომლის საფუძვლიანი შესწავლა და გაანალიზება მოგვცემს ჩვენი ქვეყნის არა მარტო წარსულის, არამედ მომავლის ოპტიმალური განსაზღვრების საშუალებას.

კვლევის ობიექტი: ქართულ საზოგადოებაში ბიბლიური სიუჟეტების მრავალფეროვნებისა და როლის ანალიზისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეფე-პოეტ თეიმურაზ მეორის შემოქმედების განხილვა. საკითხის კვლევისას ვეყრდნობით შემდეგ თხულებებს: „დღისა და ღამის გაბაასება“, „ქება სრისა“,

“ანბანთქება 3“, ანბანთქება 4“, რომლებშიც გადმოცემულია მეფე-პოეტის დამოკიდებულება საღვთო საკითხისადმი.

კვლევის მიზანი: მოცემული სადისერტაციო ნაშრომის კვლევის მიზანია თეიმურაზ მეორის შემოქმედებაში ბიბლიური მოტივების ადგილისა და როლის შესწავლა. კერძოდ, მიზნად დავისახეთ წარმოვაჩინოთ მის შემოქმედებაში არამხოლოდ სარწმუნოების თვითშემეცნება და რწმენის მაღალი იდეალები. რელიგიური მოტივები მის შემოქმედებაში ერთდაგვარი იდეოლოგიის როლს თამაშობს. განსაკუთრებით, ეს საკითხი შეგვიძლია განვიხილოთ პოემა “დღისა და ღამის გაბაასებაზე“ დაყრდნობით. ასევე, მნიშვნელოვანია განისაზღვროს მეფე-პოეტის როლი და მოკრძალებული ღვაწლი აღორძინების ხანის მწერლობაში. აღსანიშნავია, რომ თეიმურაზ მეორის შემოქმედების მოტივები არ სცილდება აღორძინების ხანის ეპოქას.

მიზნად დავისახეთ განსხვავებული ეპოქების ლიტერატურულ ჟანრებთან პარალელების ძიებაში ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე დაგვედგინა ქვეყნის სოციალ-პოლიტიკური ცვლილებების გამომწვევი მიზეზები და შესაბამისად, ერის სულიერი და კულტურული განვითარების დინამიკა .

თემაზე მუშობისას მიზნად დავისახეთ დაგვედგინა:

ა) რა როლი ეკუთვნის თეიმურაზ მეორეს ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში;

ბ) ლიტერატურული პარალელები თეიმურაზ მეორის შემოქმედებაში;

გ) თეიმურაზ მეორის ლიტერატურულ-თეორიული საკითხები;

დ) ბიბლიური სიუჟეტები თეიმურაზ მეორის შემოქმედებაში;

ე) ბიბლიური სიუჟეტების გადმოცემის მნიშვნელობა მე-18 საუკუნის მწერლობაში;

ვ) ნათლისა და ბნელის ტროპიკა თეიმურაზ მეორის „დღისა და ღამის გაბაასებაში“;

ზ) ბიბლიური სახისმეტყველებები “დღისა და ღამის გაბაასებაში“.

კვლევის ამოცანა: კვლევის ამოცანაა თეიმურაზ მეორის შემოქმედების განხილვა დროსთან-ეპოქასთან შესაბამისობაში, ბიბლიის და ქრისტიანული იდეოლოგიის გავლენა თეიმურაზ მეორის შემოქმედებაზე.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე: ქართული მწერლობა ადრე შუასაუკუნეებიდან იღებს სათავეს, მასზე უამრავი მეცნიერული კვლევაა გამოქვეყნებული, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ის მჭიდროდაა დაკავშირებული ქრისტიანობასთან, ამ კუთხით კვლევები ისტორიულ-პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე ნაკლებია და ზოგადად მკვლევარები გვერდს უვლიდნენ. თუმცა ფაქტი ერთია, რომ ადრეული ქართული ლიტერატურა რელიგიური ხასიათისაა, ქართული ჰაგიოგრაფიული, ჰიმნოგრაფიული, თუ საღვთისმეტყველო მწერლობა განუყრელად ემსახურება ქართველი ხალხის პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ინტერესებს. თეიმურაზ მეორის შემოქმედების საფუძვლიანი შეუსწავლელობაც, ალბათ, ზემოხსენებული მიზეზის გამო იყო. თეიმურაზ მეორის შემოქმედების ძირითადი ორიენტირი ბიბლია, იდეების, ფასეულობებისა და ჩვევების მემკვიდრეობით მიღებული ერთიანობაა, რომელსაც ემატება ცოდნა, რწმენა, წეს-ჩვეულებანი და აქედან იზადება წიგნიერების მოტივაციები, რომელიც განსაზღვრავს მეფე-პოეტის აზროვნებისა და შემოქმედების ხასიათს.

შევეცადეთ გარკვეული ინფორმაციითა და არგუმენტების საფუძველზე შეგვესწავლა მოცემული საკითხი ,რომელიც თეიმურაზ მეორის შემოქმედებაში რელიგიური თემატიკით შემოიფარგლება. საკითხზე მუშაობისას გამოიკვეთა ცალკეული პრობლემა იმის თაობაზე ,რომ დღემდე არაა ამომწურავად განხილული პოეტის შემოქმედების ცალკეული სიჟეტები და მიმდინარეობები. რაც იყო ძირითადად კომუნისტური რეჟიმის კვალი თეიმურაზ მეორის შემოქმედების შესწავლის საქმეში, რამეთუ არსებული რეჟიმიდან გამომდინარე, საბჭოთა მკვლევრები განზე ტოვებდნენ იმ ბიბლიურ საკითხებს, რომლებიც განხილულია მის შემოქმედებაში,რადგანაც უინტერესოდ თვლიდნენ. მაშინ, როცა ბიბლია საუკუნეები იდეურად კვებავდა შემოქმედთ, ის გარკვეული პერიოდი ტაბუდადებულად ითვლებოდა და ამიტომაც იძულებით მიიჩნევდნენ უინტერესოდ და სწორედ ესაა მიზეზიც პოეტის შემოქმედებაში ამ საკითხის არასრულად განხილვის და წარმოდგენის, ეპოქის ამ შეზღუდვას ვერც თეიმურაზ მეორის შემოქმედება გადაურჩა. მიუხედავად ამისა, თანამედროვე მეცნიერებისათვის პოეტის შემოქმედების ამ ჭრილში განხილვა პრიორიტეტად გამოცხადდა. არსებული

ხარვეზის გამოსწორებით, თანამედროვე ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში დასაბუთდა თეიმურაზ მეორის შემოქმედების მიმართება ბიბლიასთან.

თურქ-სპარსთა შემოსევების გამო ერში ქრისტიანული მოძღვრების განმტკიცება, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების ერთ-ერთი ფორმა იყო, ამიტომაცაა, ავტორის არჩევანი იმთავითვე ბიბლიაზე შეჩერდა და ის, ამ გზით შეეცადა გადაგვარებულ თანამემამულეთა ხელახლა მოქცევას ქრისტეს რჯულზე და ეს არჩევანი იყო ეროვნულ-ქართული იდეებით გამსჭვალული, რამეთუ ამ შეხედულებებთან ერთად ნათლადაა გამოკვეთილი ქვეყნის საჭირობოროტო საკითხები. სარწმუნოებრივი გადაგვარება ეროვნული გადაგვარების ტოლფასია, საჭიროა გატარდეს რაიმე რადიკალური ზომები. გამოსავალი კი, მოლოდ ქრისტიანული რჯულის განმტკიცებაში იყო, ამიტომაც პოეტის ყოველ თხზულებასა და ლირიკულ შედეგში თითოეული მოხმობილი პასაჟი „საღვთოწერილითაა“ ნასაზრდოები. მეფე-პოეტის შემოქმედებით მსოფლალქმას ჰიმნოგრაფიულ, შუასაუკუნეების სასულიერო და საერო ლიტერატურასთან სათანადო პარალელები უხვად მოეძებნება.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები: ზოგადად, ქართული ლიტერატურის პერიოდებზე უამრავი კვლევა და ნაშრომი მოგვეპოვება, თუმცა აღსანიშნავია, რომ მეოცე საუკუნის კვლევებში ლიტერატურის მკვლევარები თავს არიდებდნენ სწორედ ამ კუთხით განეხილათ საკითხი, ეს კი ეპოქის გამოძახილი გახლავთ, რადგანაც, ამ დროს სარწმუნოებრივი, ბიბლიური საკითხები ტაბუდადებული იყო. ამიტომაც, თანამედროვე კვლევები საკითხს შედარებით განსხვავებულ ჭრილში წარმოგვიდგენს და განიხილავს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია თანამედროვე გადასახედიდან თეიმურაზ მეორის შემოქმედება განხილულ იქნას ავტორისეული ხედვით. კერძოდ, ის ხაზი „ბიბლიურ-სარწმუნოებრივი, რომელიც მისი შემოქმედების მთავარი მისია და მიზანი იყო.

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას კვლევის სხვადასვა მეთოდოლოგიური საფუძვლებია გამოყენებული: ისტორიულ-ქრონოლოგიური და ასევე კვლევის შედარების პრინციპი, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები. ყურადღება გამახვილებულ იქნა ისეთ საკითხებზე, რომელიც განსაზღვრავს ბიბლიურ მოტივებს პოეტის შემოქმედებაში. შევეცადეთ დაგვედგინა კავშირი ეპოქის

გამოძახილსა და არსებულ ლიტერატურულ მოტივებს შორის თეიმურაზ მეორის შემოქმედებაში.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა:ნაშრომი შედგება შესავალის, სამი თავის, ცხრა ქვეთავისა და დასკვნისაგან. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურა.

სადისერტაციო ნაშრომის შინაარსი: სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. ნაშრომის პირველ თავში განხილულია აღორძინების ხანის ქართული მწერლობის ჩამოყალიბების თავისებურებები, რამაც საფუძველი დაუდო ქართულ ლიტერატურაში სხვადასხვას, კერძოდ გაბაასებას. ძირითადი აქცენტები გადატანილია ქართველი ხალხის ბიბლიითა და სარწმუნოებით დაინტერესების გარემოებებზე,წარმომქმნელ მიეზებსა და მოტივებზე. განხილულია ქრისტიანობის,როგორც ფსიქოლოგიური, ასევე ისტორიული როლი და გავლენა ხალხის შემდგომ განვითარებაზე და ცნობიერების ჩამოყალიბებაზე.

ნაშრომის მეორე თავი ეძღვნება თეიმურაზ მეორის შემოქმედების ძირითად თემატიკას. კერძოდ, ძირითადი ყურადღება გადატანილია პოემა „დღისა და ღამის გაბაასება“-ზე, განხილულია თხზულების ავტორთნ, დაწერის თარიღთან, პოემის ორ სახელწოდებასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, განხილულია ლიტერატურული პარალელები.

საკვლევი თემის ძირითად ნაწილს ეძღვნება მესამე თავი, სადაც განხილულია თეიმურაზ მეორის შემოქმედებაში ბიბლიური ელემენტების დამკვიდრების აუცილებლობა და მისი დანიშნულება. განხილულია პოეტის შემოქმედება, სადაც თანმიმდევრულადაა გადმოცემული ძველი დ ახალი აღქმის საკითხები და სიუჟეტები. საკითხი განხილულია,როგორც ისტორიულ,ასევე ლიტერატურულ-პიროვნულ ქვაკუთხედში. ნაშრომის ამ პერიოდით დაინტერესება სწორედ საკითხის,კერძოდ, საკვლევი თემის აქტუალობიდან გამომდინარეობს.

თავი პირველი

საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ვითარება XVI-XVIII სსში და ქართული მწერლობა

ძველი ქართული, საერო ლიტერატურის ისტორია სამ პერიოდად იყოფა: ქართველ მეცნიერთა შორის ეს დაყოფა გარკვეულ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს და უამრავ კითხვას ბადებს. მიდის მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად მართებულია მწერლობის ამ მეთოდით დაყოფა და მიზანშეწონილია თუ არა ძველ მწერლობაში სასულიერო და საერო ხასიათის ნაკადთა ერთმანეთისგან გამოყოფა. ხომ არ უნდა დავუბრუნოთ სასულიერო მწერლობას მისი ფუნქციური დატვირთვის გამომხატველი ტერმინი - საეკლესიო || სამღვდელო. სადავოდ იქცა ქართული მწერლობის ცალკეულ პერიოდთა მიჯნებისა და მათი სახელდების საკითხიც. (ლ.გრიგალაშვილი; კვლავ ძველი ქართული მწერლობის პერიოდებისა და მიჯნებისათვის [.http://kartvelologybooks.tsu.ge/uploads/book/laura%20grigolashvili.pdf](http://kartvelologybooks.tsu.ge/uploads/book/laura%20grigolashvili.pdf)(8.07.2010) თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კლასიფიკაცია ეფუძვნება ლიტერატურის შინაარსობრივ-ფორმალურ დონეებს. ამ კლასიფიკაციის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინები: წინარეფლექსიური ტრადიციონალიზმი, რეფლექსიური ტრადიციონალიზმი და პოსტტრადიციონალიზმი. აქვე საყურადღებოა, რომ ახლისაგან განსვავებით ძველი მწერლობისათვის დამახასიათებელია მსოფლმხედველობითი სიმწყობრე და მთლიანობა. ამ წანამძღვრებზე დაფუძნებულია კონცეფცია ადამიანისა, ავტორისა და მკითხველის მსოფლშეგრძნებათა და ესთეტიკური ხედვის სრული თანხვედრა, ფაბულისა და სიუჟეტის ურთიერთმიმართების სპეციფიკა, რეალიზმი სთავისებური გაგება.

პ ი რ ვ ე ლ ი პ ე რ ი ო დ ი - ქართული ლიტერატურისა და კულტურის კლასიკური ხანაა, იგი "პატრონყმური" ფეოდალიზმისა და ფეოდალური მონარქიის ხანას ემთხვევა. ეს პერიოდი იწყება მეათე საუკუნის 80-იანი წლებიდან, როდესაც საფუძველი ეყრება საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებასა და პატრონყმურ ურთიერთობათა ჩამოყალიბებას. ამ პერიოდმა დაგვიტოვა შეუდარებელი თხზულებები, რომლებიც მისაბამი და სამაგალითო გახდა შემდეგი ეტაპისათვის, მაგ: "ვეფხისტყაოსანი". ეს პერიოდი არ დასრულებულა არც მე-12 და არც მე-13

საუკუნის მეორე ათეულის ბოლოს, პოემაში განვითარებულ იდეას არ დაუკარგავს აქტუალობა არც შემდგომ ეტაპებზე და არც დღეს.

მ ე ო რ ე პ ე რ ი ო დ ი - მე-13 საუკუნის 60-იანი წლებიდან მე-15 საუკუნის დამლევამდე გრძელდება.ის ემთხვევა ფეოდალური მონარქიის თანდათანობით რღვევასა და დაშლას, რამაც დიდი გავლენა მოახდინა ამ პერიოდის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე. ეს არის მწერლობის დაკნინებისა და დაცემის პერიოდი, რომლის მიზეზი იყო პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების დაცემა-დაქვეითება. განადგურდა განათლებისა და მწერლობის ცენტრები.დაიკარგა მრავალი ლიტერატურული ძეგლი.

მ ე ს ა მ ე პ ე რ ი ო დ ი - დაახლოებით სამ საუკუნე-ნახევარს გრძელდება, ეს არის საერო კულტურის გამოღვიძება-აღორძინების ხანა, ის დაიწყო მე-16 საუკუნის დამდეგიდან. მიუხედავად,იმისა,რომ საქართველოს ისევ მძიმე პერიოდი ედგა, ქართულმა კულტურამ იპოვა იმის ძალა,რომ კვლავ აღორძინებულიყო,მე-15 საუკუნის მეორე- ნახევრიდან იწყება და ძლიერდება ქართველების მისვლა-მოსვლა და კავშირი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან. ეს იყო დრო,როცა ევროპაში იწყებოდა ჰუმანიზმი და რენესანსი, ხელოვნებისა და მეცნიერების აღორძინება.ქართველები ამ კავშირების დროს ეცნობოდნენ ევროპული ჰუმანიზმის მიღწევებსა და მიმართულებას, ამიტომაც აღორძინების ეპოქის ქრონოლოგიის დასაწყისად საქართველოში ითვლება მე-16 საუკუნის დამდეგი.

მე-18 საუკუნის ქართული ლიტერატურის ზღურბლზე დგას ადამიანი,რომელიც მწერალი შეიძლება სრულიადაც არ გამხდარიყო, თუ ბედს მისთვის უფრო ფართო სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ასპრეზი არ წაერთმია ,ერთ-ერთი ყველაზე ვაჟკაცური იარაღის, ხმლის, გაცვლა ბატის ფრთის კალამზე ადვილი არ უნდა ყოფილიყო. სამწუაროდ, ასეთი ბედი ერგო თეიმურაზ მეორესაც,სხვა მეფე -პოეტების მსგავსად. ამოსავალი კი სწორედ მძიმე პოლიტიკური მემკვიდრეობა იყო, რომელიც წილად ერგო მეფეს.სწორედ ეს მძიმე ისტორიული ეპოქა აისახა ქართული მწერლობის მესამე პერიოდზე.

აღორძინების ეპოქა სრულდება მე-18 საუკუნეში,რადგან მე-19 საუკუნის დამდეგიდან იწყება ახალი ხანა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში და შესაბამისად, ლიტერატურაშიც.რათქმაუნდა,ძველი ქართული ლიტერატურის ტრადიციები ასე

უცებ არ შეწყვეტილა,მათი გამოძახილი მე-19 საუკუნის პირველ მეოთხედშიც აისახა. ამ დროს ლიტერატურაში ძველი ნაკადის წარმომადგენლები უფრო გვხვდება ,ისინი მეტად გავლენიანი და მრავალფეროვანია.

<http://intermedia.ge> ძველი ქართული საერო ლიტერატურის ისტორიის სამი პერიოდი/(30.06.2019).

მე-17 საუკუნეში საქართველო ირანის ვასალური საელმწიფო გახდა. თბილისში ტახტზე გამაჰმადიანებული ბაგრატიონები ისხდნენ. მთელი ქართული კულტურა, ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულებანი, მხატვრული მწერლობა, მუსიკა ფერწერა ირანის კულტურის ზეგავლენას დაექვემდებარა. ამ გავლენის შედეგი იყო ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულებებიც. ომის საშინელებასა და მისი მოლოდინის შიშში გამოატარეს და დაიცვეს ჩვენმა წინაპრებმა თავიანთი არსებობა და ეროვნება, ენა და კულტურა, მშობლიური მიწა-წყლის დიდი ნაწილი.უცხოელი დამპყრობლები ანგრევდნენ,ქართველი ხალხი კი თავიდან იწყებდა, ერთელ უკვე აშენებულს და აწ დანგრეულს მეორედ და მეთავე აგებდა დაყრუებულ სოფლებს აღადგენდა,კვლავაც შრომობდა და ისევ თავს იცავდა .აღბათ იმ „სისლის წვიმების“დროს იშვა დღემდე ცოცხალი სევდიანი ქართული სიმღერა -„რაც მტრობას დაუნგრევია,სიყვარულს უშენებია “.ნაღვლიან „ურმულსა“ და „ოროველას“ აყოლებდა ღრმა გულისტკივილს ველზე სამუშაოდ გასული მეურნე,რომელსაც საომარი იარაღიც ზურგზე ეკიდა. გვიანფეოდალურ ხანაში იყო სამართლიანი პერმანენტული ომი არსებობის შენარჩუნებისათვის.იგი, ჩვეულებრივ, არავის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას არ ემუქრებოდა, არავის არ იპყრობდა, მხოლოდ თავის მიწასა და სახლ-კარს იცავდა. სწორედ, ამაში გამოიხატებოდა მისი გმირული ისტორიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ღირსება. XV საუკუნის მიწურულში ქართლის მეფის გიორგი მერვის მეთაურობით მიმდინარე ბრძოლა ქვეყნის პოლიტიკური მთლიანობის აღდგენისათვის საბოლოო მარცხით დასრულდა. 1490 წელს სამეფო დარბაზმა ოფიციალურად გამოცხადა საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად და ამით ფაქტობრივად აღიარა ქართლის მეფის უძლურება, რადგან გაერთიანებისათვის საჭირო ძალები მას არ გააჩნდა და მეფე-მთავრების არსებობისადმი “დროებით” შერიგება გადაწყვიტა. მიუხედავად ამისა, ბრძოლა მაინც არ ცხრებოდა. XVI საუკუნე იყო ქვეყნის გამაერთიანებელ და გამთიშველ

ძალთა ჭიდილის ეპოქა, როდესაც გამთიშველთა ბანაკი საგარეო მტრების დახმარებით იზრდებოდა. ამ საუკუნის შუა წლებში კი ირან-ოსმალეთის სახელმწიფოებმა “საქართველოებად” დაშლილი ქვეყანა შუაზე გაიყვეს და ამით მისი შინაგანი ძალებით გაერთიანების დიდ საქმეს თითქმის გადაულახავი დაბრკოლება შეუქმნეს. XVI ს. შუა წლებამდე საქართველო მაინც დაშლილი “მთელი” იყო იმით, რომ “საქართველოები”, მიუხედავად მათ შორის არსებული პოლიტიკური მიჯნებისა, მაინც ქართველთა ქვეყნის მიწა-წყლის გარეგნულ მთლიანობას განასახიერებდნენ. ამის ერთ პირობას ისიც წარმოადგენდა, რომ პოლიტიკურ ერთეულებად დანაწილებას არც ერთი სამეფო კანონიერად არ თვლიდა. ქართველი ხალხი არ ცნობდა ირან-ოსმალეთის სახელმწიფოთა 1555 წლის ამასიის ზავით მიღწეულ შეთანხმებას, რომლის ძალითაც ორად გაყოფილი საქართველო მტაცებელთა ფარგლებში ცხადდებოდა და მათ შორის საზღვარი ლიხისა და სამცხის მთებს შორის გადიოდა. მდგომარეობა არსებითად შეიცვალა XVI ს. 80-90-იან წლებში. არაჩვეულებრივად გაძლიერებულმა ოსმალეთის იმპერიამ თითქმის მთელი ამიერკავკასია დაიპყრო და, კერძოდ, საქართველოს სამცხე-საათაბაგო წაართვა და ცალკე საფაშოდ გამოაცხადა. ქართველმა ხალხმა თავისი ქვეყნის ერთი მესამედი ნაწილი დაკარგა. მის მასაზრდოებელ ძალებს გამოეთიშა ეკონომიურად ძლიერი მხარე - პურეულითა და საქონლით მდიდარი ქვეყანა, რომელიც ამავე დროს ქართველთა სულიერი და მატერიალური კულტურის უმძლავრესი კერა იყო. დამპყრობლებმა საათაბაგოში სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს ქართულ სოციალურ-პოლიტიკურ წყობილებასა და კულტურას. იგი ოსმალურით შეცვალეს და ეროვნული გადაგვარების გზით წაიყვანეს. ასე დაირღვა საქართველოს ტერიტორიული და შედეგად სულიერი მთლიანობაც, დაბრკოლდა ქართველთა ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი. ქართველი ხალხის ბრძოლა არსებობის ობიექტური პირობების შენარჩუნებისა და ერთიანობის აღდგენისათვის უკიდურესად ძნელ პირობებში მოექცა. საგარეო მტრების მოძალების ეპოქაში ესოდენ აუცილებელი დამცველი ძალების რიცხოვრივი შემცირება და ეკონომიურ საშუალებათა თვალსაჩინო შეზღუდვა ეროვნული ტრაგედიის სავალალო სურათს ქმნიდა. არც XVII ს. პირველი ნახევარი ყოფილა დღებედნიერი საქართველოსათვის. ოსმალთა ძალმომრეობა XVII ს. დამდეგიდანვე შეცვალა შაჰ აბასის დროინდელი

ირანის ტირანიამ აღმოსავლეთ საქართველოში. ძალით აყრილი და ირანში გადასახლებული მშრომელი თუ მეომარი მოაკლდა სამშობლოს. დასავლეთ საქართველოში კი, ოსმალთა პოლიტიკური ბატონობის პირობებში, ათიათასობით ჯანსაღი ადამიანი ტყვეთა სახით მიჰყავდათ კონსტანტინოპოლისა და ეგვიპტის ბაზრებზე გასაყიდად. ქართველი მამლუქების რაზმები ოსმალეთში და გურჯთაგან შემდგარი მონა-სპა (ყულის ჯარი) ირანის შაჰის კარზე ამიერიდან საქართველოს მტრული სახელმწიფოების სამსახურში ლევდნენ სულს. მათ მშობლიურ ქვეყანაში კი, მეომართა რიცხვი წლითიწლობით მცირდებოდა. ქვეყნის ტერიტორიული რღვევის პროცესი გრძელდებოდა. შაჰ აბასის აგრესიის შედეგადაც შევიწროვდა ქართლისა და კახეთის სამეფოების ფარგლები. ვერაგმა დამპყრობელმა ქართლის მიწებზე, ლორედებედას ხეობაში სახანო შექმნა. ხოლო, კახთა მეფეს კაკ-ენისელის მხარე წაართვა და წახურელ ალიბეგს უწყალობა. ამ დროიდან (XVII ს. დამდეგი) კახეთის აღმოსავლეთის საზღვარმა ყანიყობიდან ქვეყნის შიგნით, მდ. ყაფუ-ჩაიზე გადმოინაცვლა. ძალით გავერანებულ კახურ სოფლებში დამპყრობლებმა ფართოდ გაუხსნეს გზა მომთაბარე თურქმანულ ტომებს, რომლებიც ქართველთა მიერ ნაშრომ-ნაღვაწ პურის მინდვრებსა და ზვრებს სპობდნენ და სამოვრებად აქცევდნენ, მკვიდრი მოსახლეობის ინტენსიურ მეურნეობას აჩანაგებდნენ. მიუხედავად ყოველივე ამისა, დამპყრობლებმა მაინც ვერ გატეხეს საქართველოს წინააღმდეგობა, რომელიც არაჩვეულებრივ გამძლეობას იჩენდა. საუკუნოვან და უღვევ ომებში დაღალულ, რიცხოვრივად შემცირებულ, მაგრამ ნაწრთობ ქართველ ხალხს საგარეო მტრებთან ბრძოლაში წარმატებებიც ჰქონდა. ხშირად ერთი ქართველი ოთხი თუ ხუთი და კიდევ მეტი მომხდურის წინააღმდეგ გამოდიოდა და ასევე ხშირად იმარჯვებდა კიდევ. XVI-XVII საუკუნეები აღსავსეა ქართველთა სწორუპოვარი ბრძოლის სურათებით. ჩვენს მატთანეს ამშვენებს გმირთა მთელი ლეგიონი ლუარსაბ პირველის, სიმონ პირველის, მანუჩარ ათაბაგის, თედორე კველთელის, გიორგი სააკაძის, ბიძინა ჩოლოყაშვილისა და სხვათა სახით. სოხოისტას ომი საათაბაგოში, გარისისა და მარაბდის ბრძოლები ქართლში, 1659 წ. ბახტრიონის აჯანყება კახეთში და სხვა მრავალი იმის უტყუარი მოწმეა, რომ საქართველოში არასოდეს არ ჩამქრალა ბრძოლისა და შრომის ჩირაღდანი. ქართველი ხალხი არასოდეს ნებით არ სთმობდა მშობლიურ მიწას და თავდადებით იცავდა თავის მაღალ სასოფლოსამეურნეო და

სამწერლობო კულტურას. ასეთი შეუპოვარი ბრძოლით აიხსნებოდა, რომ საქართველომ ძირითადად დაიცვა თავისი სამეურნეო და სოციალურ-პოლიტიკური წყობილება და სრული გათათრება-გაყიზილბამებას გადაურჩა. XVI-XVII სს. ქართველი ხალხის ისტორიულ ცხოვრებაში მარტოოდენ ნგრევა-აწიოკებისა და საგარეო მტრების წინააღმდეგ ომების ხანა როდი იყო. ეკონომიური განვითარების საერთო შეფერხების ვითარებაში აქა-იქ გამოჩნდებოდა ხოლმე შედარებით მშვიდობიანობის ცალკეული პერიოდი, როცა ესა თუ ის კუთხე, სხვათაგან განსხვავებით, აღორძინებას იწყებდა. ასე იყო, მაგალითად, XVI საუკუნის კახეთში, როდესაც ქართლის თავგამოდებულმა ბრძოლამ უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ, ობიექტურად “დაიფარა” მისგან პოლიტიკურად გათიშული კახეთი, რომლის მმართველები საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის აღდგენისათვის ბრძოლას დაუპირისპირდნენ - ”ქართლის ჭირისადმი” გულგრილნი აღმოჩნდნენ. მაშინ ქართლი ინგრეოდა, კახეთი კი დაწინაურდა. განვითარდა სოფლის მეურნეობა და ვაჭრობა-ხელოსნობა, გატარდა დროის შესაბამისი რეფორმები ქვეყნის მმართველობის გადახალისების, სამხედრო საქმის მოწესრიგებისა თუ სხვა დარგებში. XVII ს. 30- იანი წლებიდან ქართლსაც დაუდგა შედარებითი აღორძინების ეპოქა, როდესაც მისი საზოგადოებრივი და ეკონომიური ცხოვრება შეუჩერებელი დაწინაურების გზით მიდიოდა. XVII საუკუნეში აღორძინება დაეტყო ქართულ კულტურას, რამაც მკაფიოდ იჩინა თავი მხატვრულ ლიტერატურაში. განსაკუთრებით გაძლიერდა საერო პოეზია, რომელიც შეუჩერებლივ ავიწროვებდა სასულიერო მწერლობას. გაძლიერდა ეროვნულ-პატრიოტული მოტივები და რეალისტური ტენდენციები. საფუძველი ჩაეყარა ისტორიულ პოემას. შეიმჩნეოდა მხატვრული სტილის დემოკრატიზაცია და ბრძოლა ირანული ლიტერატურული გავლენის წინააღმდეგ, სწრაფვა ქართული, თავისთავადი ტრადიციებისაღორძინებისაკენ. თეიმურაზ პირველის, არჩილის, იოსებ თბილელისა და სხვ. სწორედ აღნიშნულმა პოლიტიკურმა და სოციალ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ განაპირობა ამ პერიოდის ქართული ლიტერატურის ჯანრის განსაზღვრა. ამ პერიოდის ქართული შემოქმედება ქართველ ხალხს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. ყოველივე ეს იმის უტყუარი მოწმე იყო, რომ ქართული ლიტერატურა დაშლილობის იმ მძიმე

პერიოდში საერთო-ეროვნული ინტერესების სამსახურში ჩადგა, იგი ხალხის კულტურულ მთლიანობას განასახიერებდა. ამავე დროს ლიტერატურაში მოჩანდა აჩრდილი პესიმიზმისა, რაც უმთავრესად ქვეყნის ეკონომიურსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში შექმნილი “ჩიხის” ანარეკლი იყო (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1973:4-5).

§ 1.1. აღორძინების ხანის მწერლობა და ძირითადი მიმართულებები

XVIII-საუკუნე ქართული მწერლობის საინტერესო მონაკვეთია, რომელიც ისტორიასა და ლიტერატურულ წყაროებში „აღორძინების ხანითაა“ ცნობილი. ამ პერიოდის მწერლობაზე საუბარი კლასიკური პერიოდთან მიმართებაში შესაძლებელია არ იყოს მართებული, თუმცა თუ გავითვალისწინებთ წინა საუკუნეებსა და დაქვეითება-განადგურების ეპოქას, შესაძლებელია ამყად ვუწოდოთ „აღორძინების“ ხანა. უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტიანობას ქართველი ხალხის ისტორიაში დიდი როლი აქვს შესრულებული. ქართული ლიტერატურაც ქრისტიანული სულისკვეთებითაა შექმნილი. ეს მრწამსი ამოძრავებდა არა მარტო ჰაგიოგრაფიულ, არამედ საერო ლიტერატურული ნაწარმოების გმირებსაც. ქრისტიანული თეოლოგიურ-ბიბლიური მიმართულება დაედო საფუძვლად, მეფე-პოეტ, თეიმურაზ მეორის შემოქმედებას, რომელმაც აწმყო დაინახა ბიბლიურ-ისტორიულ ჭრილში. მან შექმნა უწყვეტი ჯაჭვი კაცობრიობის, თავისი სატკივარი ეპოქის ტკივილთან გააიგივა. არსებულისა და შემოქმედის ნიჭიერი სინთეზით მან შექმნა გენიალური შემოქმედება, რამეთუ ახალი დროის შემოქმედსა და შემოქმედებას კაცობრიობის გმოცდილება და ზოგადი ფონი ქმნის.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ძველი მწერლობა თავისი ტრანსფორმაციით ქმნის საფუძველს ახალი, ესთეტიკური პრინციპების დამკვიდრებისათვის. აქვე საინტერესოა, როგორია ავტორის, შემოქმედის დატვირთვა შუასაუკუნეების კულტურაში და რა დატვირთვა ექნება მას ახალ დროში. შუასაუკუნეობრივი გაგებით, შემოქმედი, ისე, როგორც სოციუმის ყველა წევრი, თავს ორიგინალური მთლიანობის ნაწილად მიიჩნევს. შუა საუკუნეების კულტურას მსჭვალავს

თვალსაზრისი, რომ ჭეშმარიტი შემოქმედი და ერთპიროვნული ავტორი ღმერთია, სხვები ღვთაებრივი შემოქმედების ამხსნელები, კომენტატორები არიან.

აღორძინების ხანის ერთ-ერთ მახასიათებლად მეფე-პოეტა სიუხვე წარმოადგენს,მათ შორის უნდა აღინიშნოს თეიმურაზ მეორეც,ის არჩილ მეფის მსგავსად მართლის თქმის პრინციპის მიმდევარია,რაშიც გამოსჭვივის რეალიზმის ელემენტები,ამ ეპოქის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ისტორიული სინამდვილე,რადგან მათთვის მთავარია ისტორიული ფაქტის არსებობა ,ნაცვლად გამოგონილის.ქართული მატერიალური და სულიერი კულტურა უაღრესად ორიგინალურია ,გაპოხიერებულია ეროვნულ-ხალხურ ნიადაგზე. ქართული საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების სტრუქტურა გაჯერებულია საეკლესიო-ქრისტიანული იდეოლოგიით,გამონაკლისს, არც თეიმურაზ მეორის შემოქმედება წარმოადგენს,სადაც ქრისტიანულ იდეოლოგიას ,კერძოდ ბიბლიას მთავარი ადგილი უჭირავს,ბიბლია და ქრისტიანული იდეოლოგია ქვეყნის ცხოვრებაში მთავარი საყრდენი გახდა და შემდგომშიც ხელოვნების სხვადასხვა დარგებზე იქონია გავლენა .

„მსოფლიოში ძნელად მოიძებნება ისეთი წიგნი, რომელსაც ლიტერატურზე იმაზე მეტი გავლენა ჰქონდეს, ვიდრე ბიბლიას აქვს. ამ შემთხვევაში მხოლოდ ჰომეროსი თუ შეეჯიბრებოდა, ისიც ძალიან პირობითად. თომას მანმა, რომელიც აქტიურად იყენებს ბიბლიურ სიუჟეტებს, თქვა, რომ მსოფლიო ლიტერატურა არის ორგვარი: ბიბლიური და ჰომეროსული. ბიბლიური ილიტერატურა არის უფრო მუქი, სევდიანი, პესიმისტური. შედარებით უფრო ნათელი კი, ჰომეროსული ლიტერატურაა. მისი კლასიფიკაციით, მაგალითად, დოსტოევსკი-ბიბლიურია, ტოლსტოი,კი ჰომეროსული. ამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ფაქტობრივად, მსოფლიო ლიტერატურის ნახევარი ბიბლიის გავლენით არის შექმნილი. ბიბლიური ლიტერატურაც, თავის მხრივ, ორისახისაა: პირველი - ეს არის უშუალოდ ბიბლიური სიუჟეტები, მაგალითად, როგორცაა თომას მანის „იოსები და მისი ძმები“.ეს ნაწარმოები სრულად ბიბლიიდან არის აღებული და გადააზრებული. ბოლო პერიოდში დაიწერა უამრავი სახარება.მაგალითად, შმიტის „პილატესსახარება“, სარამაგუს „იესოსსახარება“. მეორე მხრივ, არსებობს ლიტერატურა, რომელშიც ბიბლიის ეპიზოდები პირდაპირ კი,არარის გადატანილი, არამედ , არაპირდაპირ გავ-

ლენას განიცდის. განათლებული მწერალი ბიბლიის ძიებისა და მინიშნებების გარეშე წიგნს ვერ დაწერს. ბიბლიის გარეშე არაფერი არსებობს და ეს მარტო ლიტერატურას არ ეხება. ასეა მხატვრობასა და ხელოვნების სხვა მიმართულებებშიც. ლიტერატურის ნაწილი სავსეა ფარული ბიბლიური მინიშნებებით, ბიბლია ისტორიის ქმნაა, ლიტერატურა კი ბიბლისთვის ქმნის ისტორიას.“(ბერძენიშვილი,2019:სტატია)

განსვავებულია რეალიზმის გაგებაც ძველ ქართულ მწერლობაში. აქ რელიზმი ზეგრძნობადი სინამდვილეა. შემოქმედის აღქმაში ერთიანდება სულიერი და მატერიალური ერთიანობა. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული მწერლობის დაყოფას ასეთ პერიოდებად,თავად ლიტერატურის განვითარების ეტაპები გვკარნახობს და კორნელი კეკელიძის მიერ დაყოფა ამ პერიოდებად ,ზოგადად არ მოითვს შესწორებას,გარდა იმისა ,რომ მეტ კონკრეტიკას თუ არ დავამატებთ.

როგორი იყო სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკურ-კულტურული ვითარება ჩვენი ქვეყანის დამწერლობის მესამე პერიოდში.ქართული დამწერლობის ეს პერიოდი იწყება მე-16 საუკუნეში და გრძელდება მე-18 საუკუნის დასასრულამდე.

ამ პერიოდის საზოგადოებაში სოციალური აზრი იგივე რჩება, როგორც წინა პერიოდებში. ფეოდალური ხაზი ორი მიმართულებით აისახება, ესაა საერო და სასულიერო., მიუხედავად თავისი პოლიტიკური მდგომარეობისა, საქართველოს ეკონომიკის დინამიურობა არასტაბილური იყო, განსაკუთრებით აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პერიოდში ვითარდება ალებ-მიცემობა, სოფლის მეურნეობა, ეს განსაკუთრებით მეთვრამეტე საუკუნის პირველი ნახევარიდან იჩენს თავს. ცნობილია,რომ ევროპის კაპიტალს აღმოსავლეთისაკენ გზას უკაფავდა ჯვარი და სახარება. განსაკუთრებულად ძლიერია ამ პერიოდში ვაჭართა წრე.ხოლო რაც შეეხება პოლიტიკურ ვითარებას საქართველო დაყოფილია სამ სამეფოდ: ქართლი კახეთი და იმერეთი. სამწუხაროდ, ამ პერიოდში ხშირი გახლდათ შიდა არეულობა ქიშპობა ძმათა შორის შუღლი,რომელსაც ართულებდა დაპირისპირება ეკლესიასთან,ეს უკანასკნელი ამ პერიოდში სახელმწიფოში სახელმწიფოს წარმოადგენდა. მთელ ამ მოუსვენარ და მგზნებარე კონტექსტში ჟამიდან ჟამს თავს წამოჰყოფდა ხოლმე ბნელეთის ძალების ნებაყოფლობითი მსახურება, როდესაც ძალაუფლებისა და ქონებისათვის სულის ხსნაზეც ამბობდნენ უარს. რადიკალური

რელიგიური დამაბულობა იმ ეპოქისა და გეოგრაფიული გარემოს ბუნებრივი მდგომარეობა იყო და ღვთის სასუფევლისაკენ სვლის ექსტატური ფორმების მრავალსახეობას აღძრავდა, სამწუხაროდ, ქვეყანაში შექმნილი ასეთი ვითარება ყურადღების მიღმა არ დარჩენილა, ამიტომაც წინა პლანზე წამოიწია ეროვნული მთლიანობის მისწრაფება. აღნიშნულმა ვითარებამ განსაზღვრა ეროვნული მოტივების შემოტანა ქართულ მწერლობაში, რომელთაც ზედმიწევნით ზუსტად აღწერეს ქართული ჭირ-ვარამი. ეს მოტივები სწორედ ჩვენი ქვეყნის ბედის გამომხატველია. ჩნდება ახალი ლიტერატურული მიმართულებანი, ფეოდალურ-რაინდული ფანტასტიკის გვერდით ამ დროს თავს იჩენს ახალი რეალისტური მიმართულება, ფანტასტიკის ნაცვლად ლიტერატურა თხოულობს ახალ, მართლის თქმის პრინციპს, რომელიც თანამედროვეთა პირით გმობს ნაჭორ ამბებს, რომელნიც ხარჯავდნენ დროს ისეთი საკითხის აღწერაზე, რომელიც არც იყო და არც მომხდარა (არჩილი, თეიმურაზ მეორე), სამეფისკარო არისტოკრატის ხელით საფუძვლი ეყრება ახალ კულტურას, რომელიც ეპოქის სულისკვეთებით იყო გამოწვეული. ადგილის, დროისა და მოქმედების ერთიანობა უკიდურესად ამცირებდა პოეტური ფანტაზიის განვრცობის მასშტაბს.

განსაკუთრებით საყურადღებოა ადამიანის როლი აღორძინების მწერლობის ზღურბლზე, რომლის ამოსავალიც მძიმე პოლიტიკური ვითარება იყო. აქედან გამომდინარე, ნაშრომში ძირითადი ყურადღება გადატანილია XVI-XVIII საუკუნის საქართველოს, როგორც სოციალურ, ასევე პოლიტიკურ ვითარებაზე, რომელმაც ახალი პოლიტიკური იმპულსები გაუხსანა ქრისტიანულ მწელობასა და მის როლს ქართულ ლიტერატურაში და შემდგომში ღრმა პოლიტიკური დატვირთვა მიიღო, როგორც ქვეყნის ერთიანობისათვის, მისი გამოფიზლებისათვის ბრძოლის ერთ-ერთმა სიმბოლომ. მიმოხილულია ის მიმართულებანი მწერლობაში, რომლის ჩამოყალიბების მიზეზებიც არსებულმა პოლიტიკურმა თუ სოციალ-ეკონომიკურმა ვითარებამ გამოიწვია. მაგალითად, ქება, იგავ- არაკი, გაბაასება და სხვა

მოცემულ თავში ხაზი გასმულია, იმ საკითზე, რომ თითოეული მიმართულება თუ პრობლემა, რომელმაც დაიმკვიდრა ადგილი ქართულ ლიტერატურაში, ხალხის პირქუში ბედის აღმწერია. ქართულმა მწერლობამ ყველა ეპოქაში აჩვენა ის ისტორიული გზა, რომელიც ქართველმა ხალხმა სირთულეებით

გაირა და ამ მხრივ გამონაკლისი არც აღორძინების ხანის მწერლობა ყოფილა. ქართულმა ლიტერატურამ აჩვენა გზა ხსნისა, რომელიც ქრისტიანულ იდეოლოგიაში, კერძოდ, „მზის ღმერთში“ ამოიკითხა.

პოეტიკური კანონების შედეგად ლიტერატურამ მიიღო დიდაქტიკური, მკვეთრად ლოგიკური, რაციონალური ხასიათი, ხოლო სალიტერატურო ჟანრები მკვეთრად გაიმიჯნა ერთმანეთისგან სტატუსის, ენობრივი მოდელისა და მკითხველის ნიშნით ახალ ეტაპთან ერთად ლიტერატურაში ჩნდება ახალი ჟანრები, ასეთებია: ა) საისტორიო ეპოსი

ბ) იგავ-არაკული ჯანრი

გ) მოგზაურობა მემუარები

დ) სატირა

ე) ქება

ვ) გაბაასება.

ქებაში ჩვეულებრივ შემოდის ისეთი თხზულებები, რომლებიც წარმოადგენენ ამა თუ იმ საგნის ქებას, ან შესხმას. შეიძლება ის საზოგადოდ ხოტბითი პოეზიის განვითარების გამოძახილი იყოს. განსაკუთრებით გავრცელებულია „ანბანთქება“, „ხილთაქება“, „სასახლისქება“. არანაკლებ საინტერესოა გაბაასება, სადაც მოქმედ პირებად გამოყვანილია ალეგორიული ფიგურები. მაგალითად, სიცოცლე, სიკვდილი, წუთისოფელი, გაჭირვება, სიღარიბე. ასეთი ჟანრის აქტუალობა გამოწვეულია ეპოქაში გაბატონებული დიდაქტიკურ-მორალური ტენდენციით, რომელსაც მიზნად ჰქონდა ამა თუ იმ მიმართულებით ცხოვრების გარდაქმნა (ქართული ლიტერატურის ისტორია, 1982:318).

საისტორიო ეპოსი განსაკუთრებული უნუგეშობით გამოირჩეოდა. ამ დროის მწერლები ცრემლსა ღვრიან ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალ-პოლიტიკური ვითარების გამო. ისინი მისტირიან წარსულს და წყევლა-კრულვას უგზავნიან იმ პირებს, ვისი ხელიც ურევია ამ საქმეში. პოეტები აღიარებენ, რომ პოლიტიკურ თუ სხვა არასასიამოვნო ვითარების გამძაფრების წყარო არანაკლები დამნაშავე მლიქვნელი ადამიანებია.

ამ დასკვნამდე პოეტები მიიყვანა მისმა თანამედროვე ცხოვრებამ, როდესაც ჩვენი ქვეყანა „ავის ენის“ წყალობით შულლის, მტრობისა და გაუტანლობის

ასპარეზად იყო გადაქცეული. თუ კი რამით გვაოცებს ჩვენი XVI-XVIII საუკუნეები, ეს არის ის დრამატული მოქნილობა, რომლითაც ჩვენი მოღვაწეები ცდილობდნენ თავს დამტყდარი ისტორიული გარემოებებიდან თავის დაღწევას და კულტურის სხეულში ცოცხალი წერტილების მოძებნას და გაღვივებას. ამ ვითარებაში მხოლოდ ერთეულებს ესმოდათ კარგად, რომ მთელი ყურადღების მიმართვა ძველ და უკვე ისტორიულ საზრისს მოკლებულ სახეთა, სიმბოლოთა თუ პარადიგმათა შენარჩუნებაზე შეუძლებელია. სწორედ, ამ ნიადაზე წარმოიშვა საისტორიო ეპოსი.

შუა საუკუნეების ყველა სხვა სახესთან ერთად პოპულარული იყო იგავ-არაკიული ჟანრი, რომლის ფუძემდებლად სულხან-საბა ორბელიანი გვევლინება. იგავარაკული ჟანრის ნაწარმოებები არ ატარებს მკითველისათვის განსაკუთრებული სიამოვნების მინიჭების დანიშნულებას, რადგან მათში უფრო მეტი სიბრძნე და დამრიგებლობაა ჩაქსოვილი, ვიდრე სხვა ნაწარმოებებში. იგავარაკები ყველა ისეთ ქვეყანაში, სადაც კულტურულ განვითარებას გარკვეული ისტორიული ეტაპები ჰქონდა განვლილი. მაგალითად, ძველ აღმოსავლეთში, ძველ საბერძნეთში, (ეზოპე), აღორძინების ხანის საფრანგეთში (ლაფონტე), იგავარაკული ჟანრი საქართველოში სათავეს იღებს აღმოსავლეთში სახელგანთქმული იგავარაკთა კრებულის „ქილილა და დამანას გადმოთარგმნით, რომელსაც საკმაოდ დიდი გზა გაუვლია, სანამ ქართველთა ყურადღებას მიიპყრობდა, ინდოეთი არაბეთი, ირანი. ეს არის ის გზა, რომელიც გამოიარა ამ ნაწარმოებმა, სანამ ქართულ-მხატვრულ ლიტერატურაში იპოვიდა სათანადო ადგილს. მის ქართულად გადმოღებაში დიდი წვლილი მიუძღვის ვატანგ მეექვსეს, საქართველოში გამოჩნდა ასეთი მეიგავე, რომელმაც შექმნა ბრწყინვალე კრებული იგავ-არაკებისა, რაშიც ნათლად იჩენს თავს ავტორის განმანათლებლური იდეები. ის ქადაგებს აღზდის დემოკრატიულ პრინციპებს და აკრიტიკებს მანკიერებას, ზნეობრივ და სულიერ დაცემულობას. იგავ-არაკი სიბრნის გადმოცემის საშუალებებია, რომელიც განსხვავდება სხვა ჟანრებისაგან. მასში ძირითადად არის მისწრაფება სოციალური ყოფისა და პრობლემის აღწერისაკენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავტორები არსებული რეალობის ასახვის სხვადასხვა ხერხს მიმართავდნენ. მაგალითად, სატირა, რათა ერთხელ კიდე მოეხდინათ ზემოქმედება თანამემამულეთა გადაგვარებული ეროვნული სულისკვეთების

გამოფხიზლებაზე. ისინი არ იშურებდნენ რჩევა -დარიგების პარალელურად გაექილიკებინათ, დაეცინათ მათი მანკიერი ბუნება და ამით გაეხსენებინათ ის წმინდა ადამიანური ბუნება, რომელიც ოდესმე არსებობდა მათ წინაპრებში, ისინი ცდილობდნენ ამ გზით განეკურნათ თანამემამულეთა „მანკიერი სული“.

უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ქილიკითა და ჭკუის სწავლებით არ შემოიფარგლება ქართული ლიტერატურის ეს პერიოდი. აქ არანაკლები პოპულარობით გამოირჩევა ქება, რომელიც გამოძახილი უნდა ყოფილიყო ხოტბითი პოეზიის განვითარებისა. ასეთ ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება „ანბანთქება“, „ხილთა ქება“ და „სასახლის ქება“. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში უპირატესობა ენიჭება პოეზიას.რადგან თვით ისტორიულ-პრზოაული ნაწარმოებებიც კი ილექსებოდა.

თითოეული მიმართულება, რომელმაც ქართულ ლიტერატურაში დაიმკვიდრა ადგილი, ქართველი ხალხის პირქუში ბედის აღმწერია. ეს არის ის გზა ,რომელიც ქართველმა ხალხმა სისხლითა და ოფლით მორწყო „თუ ქართველი ხალხი ცოდვილი და უბედურია. ეს იმიტომ, რომ მთელი კაცობრიობაა ცოდვილი და უბედური. საქართველოს ხსნა შეიძლება მხოლოდ მთელს მსოფლიოს ხსნასთან ერთად, ხოლო კაცობრიობის ხსნის საწინდარს წარმოადგენს სინათლის ღმერთის ... ,მზეთა -მზის საბოლოო გამარჯვება ბნელეთის ძალებზე“ (ქიქოძე,1963:59). ვფიქრობთ, ეს გამარჯვება საბოლოოდ დაკავშირებულია ქვეყნის ხსნის იდეასთან. ამ იდეას ემსახურებოდა თეიმურზ მეორის შემოქმედებაში ახალი სტილი-გაბაასება, აღორძინების ხანის მწერლები გაბაასებას თვითმიზნური გატაცებით კი არ მიმართავდნენ გაბაასების ამ ხერხით (არჩილი,თეიმურაზ II), ცდილობდნენ თავიანთი ეპოქის აქტუალური საკითხების გადაწყვეტას. ცხადია, რომ ძველი ქართული მწერლობა. კერძოდ ,აღორძინების ხანის მწერალი არ იყო ვიწრო დოგმატურ სალტეებში მოქცეული, ადამიანური მორალი მას ფართო ჰუმანისტური თვალსაზრისით ჰქონდა გაგებული. და ბოლოს, უნდა ითქვას, რომ ქართულმა ლიტერატურამ ზუსტად გადმოსცა ქართველი ხალხის პირქუში ბედი, ისტორიული გზა, რომელიც ქართველმა ხალხმა გაიარა.ერთგვარი ტრადიციის გამგრძელებელია აღორძინების ხანის მწერლობა,რომელმაც ქართულ საზოგადოებას აჩვენა გზა

ხსნისა, ამიტომაც აღორძინების ხანის მწერლობას გამართლებულად „განმანათლებლობის ეპოქას“ უწოდებენ. (ზოიძე, 2020:89)

§ 1.2. გაბაასება XVIII საუკუნის ქართულ მწერლობაში

ქართული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში უამრავი საინტერესო მემკვიდრეობაა შექმნილი, რომელიც მდიდარია ჟანრის მრავალსახეობით, რაც მეტყველებს ქართველი ხალხის უზადო ლიტერატურულ გემოვნებაზე და ამ შედეგში იქნა გამოხატული, გადმოცემული ქართველთა ნააზრევი. ქართული ლიტერატურა ზოგადად ჟანრთა მრავალსახეობით გამოირჩევა მე-16, მე-18 საუკუნეებში. სწორედ ამ პერიოდში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა გაბაასების (დიალოგის ფორმით გადმოცემული კამათი) ჟანრი.

XVI-XVIII საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში გაბაასება საკმაოდ გავრცელებული ფორმაა, ამ ეპოქის პოეტი წერს ერთ ან რამდენიმე გაბაასებას. მაგალითად, თეიმურაზ პირველი, რომლის კალამს ეკუთვნის “შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა”, “გაბაასება ღვინისა და ზაგისა“. მას შემდეგ გაბაასება გაბატონებულ ჟანრად იქცევა და მის კვალს მიჰყვება შემდეგში არჩილი;“ გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა, “გაბაასება კაცისა და სოფლისა“, თეიმურაზ მეორის კალამს ეკუთვნის ასევე „სარკე თქმულთა ანუ დღისა და ღამის გაბაასება“; დავით გურამიშვილის „კაცისა და საწუთროსაგან ცილობა და ბჭობა; ერთმანეთის ძვირის ხსენება“. გაბაასების ასეთ პოპულარობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ ამ ტიპის ნაწარმოებებში გამოიყენება შედარება, შეპირისპირება, ზაასი, ერთმანეთის ძვირის ხსენება, გაბაასების ჟანრის თხულებებში ასახულია ეპოქის ეთიკურ-ესთეტიკური და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებები. თუმცა ჩამოთვლილთაგან გაბაასების მთავარი ნიშანი მაინც დიალოგია. დიალოგი-ორ პირთა ზაასს ნიშნავს, რომელიც ასევე ხელს უწყობს ჭეშმარიტი აზრის ჩამოყალიბებას. დიალოგი ასევე, საშუალებას აძლევს მწერალს ობიექტურად გამოხატოს თავისი აზრი. კერძოდ, შესაძლებელია პიროვნებისა და შეხედულებების დახასიათება. აღორძინების ხანის მწერლობაში ლიტერატურული ჟანრის - „გაბაასების“ პოპულარობა განპირობებულია სპარსულის გავლენით, როგორც ნიკო

მარი აღნიშნავდა თავის ნაშრომებში, თითქოს სპარსული პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების პერსპექტივები ქართულ საერო მწერლობაზე ახდენდა გამძვინვარებულ გავლენას. თუმცა, გარკვეული დროის შემდეგ ის ამ შედეგებს ცვლის და ქართულ ლიტერატურაზე სპარსულის გავლენას ასევე უმატებს თურქულის გავლენასაც, რომელიც 1917 წლის კვლევებში აღწერა. ნიკო მარმა მაშინ გამოიკვლია ხალხური სიტყვიერების მნიშვნელობა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გაბაასება ჩვენში ძველთაგანვე ყოფილა პოპულარული. განსაკუთრებით ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში. გაბაასების პოპულარობას ხელს უწყობს ისიც, რომ აქ შესაძლებელია ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრის გამოთქმა, რომელიც ჭკმდარიტი აზრის ჩამოყალიბების ერთ-ერთი საშუალებაა. ამიტომაც გაბაასებაში მოპირისპირე მხარეებად წარმოდგენილები არიან ისეთი პირები ან საგნები, რომლებიც ერთმანეთისადმი სრულ კონტრასტს წარმოადგენენ. სინტერესოა ის ფაქტი, რომ ჩვენში საკმაოდ გავრცელებული ყოფილა „სიკვდილისა და სიცოცხლის გაბაასება“. საყურადღებოა ისიც, რომ გაბაასებისას ასევე მნიშვნელოვანია „ცა და დედამიწის“ გაბაასება. თუმცა, დიალოგურად შექმნილი ყველა ლექსი გაბაასებად არ ჩაითვლება. გაბაასების უმარტივეს ნიმუშს წარმოადგენს ფშავ-ხევსურეთში გავრცელებული „კაფიობა“. ხალხური გაბაასება უფრო ადრეული უნდა იყოს, ვიდრე XVI-XVIII საუკუნეების ლიტერატურული ჟანრი. გაბაასება უცხო არ ყოფილა ანტიკური და შუა საუკუნეების ხალხთა ისტორიისათვის. ის დიდი პოპულარობით სარგებლობდა არც ისე შორეულ წარსულშიც. რაც შეეხება გაბაასებას ქართულ ლიტერატურაში გვხვდება XVI საუკუნის დასაწყისში. ეს იყო სერაპიონ საბაშვილის სამ სტროფიანი ლექსი. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ამ ლიტერატურულ მიმდინარეობას საფუძველი მაინც თეიმურაზ პირველმა ჩაუყარა და მას შემდეგი პერიოდის მწერლები აქტიურად იყენებდნენ. კერძოდ, არჩილი, თეიმურაზ მეორე, დავით გურამიშვილი.

თეიმურაზ მეორემ, ადრე არსებული თემატიკის მიმდევრობის გარდა, ფართოდ გამოიყენა თეიმურაზ პირველისა და არჩილის მიერ ქართულ ლიტერატურაში დამკვიდრებული გაბაასების ჟანრი. თეიმურაზ მეორის ნაწარმოებთაგან ამ ჟანრის არის „სარკე თქმულთა „ანუ“ დღისა და ღამის გაბაასება“, რომელსაც ხელნაწერებში საკმაოდ დიდი სათაური აქვს: „დღისა და ღამის გაბაასება ,თქმული მეფის ერეკლეს

მის, მეფის თეიმურაზისაგან, რომელი იქმნა ცხებული შემდგომად წელიწადისა ცხრისა თქმისა ამისა „ამ წიგნსა ამას ეწოდების სარკე თქმულთა“.

„დღისა და ღამის გაბაასება“ ,როგორც თემა, სპარსულ „ლიტერატურაშიცაა ცნობილი. ასეთი თხზულება დაუწერია ჯერ კიდევ XI საუკუნის პირველ ნახევარში პოეტ ასადი ტუსელს. მიუხედავად იმისა, რომ ასადი ტუსელის გაბაასება უფრო ადრეა შექმნილი, ვიდრე თეიმურაზ მეორის „დღისა და ღამის გაბაასება“, ასევე ორივე ნაწარმოებს ერთნაირი სახელი აქვს. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თეიმურაზ მეორეს გადმოუთარგმნია, რამდენადაც მისი შინაარსი მეტყველებს ქართულ წარმოშობასა და ორიგინალობაზე. ასადი ტუსელის თხზულება „მუნაზარე ღამისა და დღისა“, თეიმურაზის თხზულებასთან შედარებით მცირეა, სულ 82 სტროფისაგან შედგება და ასევე, არც შესავალი არ აქვს. სპარს ავტორს ასადი ტუსელს ეს თხზულება დაუწერია გასართობად „ანუ კერძოდ, იმის გამოსარკვევად, რომელს შეიძლება მიენიჭოს უპირატესობა დღესა თუ ღამეს. თხზულებაში ღამე თავგამოდებით ცდილობს დაამტკიცოს მისი უპირატესობა, რადგან ყურანში ღამე უფრო ადრეა დასახელებული ვიდრე დღე და ასევე ღამეს თავისი თავი მეფედ გამოჰყავს, ვარსკვლავები კი მსახურებად. აქვე, არგუმენტად იმასაც მოიშველიებს, რომ არაბული წლის გამოთვლა მთვარით იწყება. შემდეგ მოკამათის პოზიციაში შემოდის დღე, რომელიც ცხარე კმათში შესული არგუმენტებს არ იშურებს ღამის დასამარცხებლად და ღამის მიერ მოყვანილ არგუმენტებსაც დამაჯერებელი კონტრარგუმენტებით პასუხობს. თუმცა, დასასრულს ავტორს არ აქვს ნაჩვენები გამარჯვებული მხარე. მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად ეს ორი თხზულება გავს ერთმანეთს, რადგან ორივეში მოქმედი პირები არიან დღე და ღამე, მათ შორის დიდი შინაარსობრივი განსხვავებაა. ეს სხვაობა კი იმდენად დიდია, რომ არ შეიძლება მთელი მისი შინაარსის თხზულების ორიგინალობის, მისი ქართულ ნიადაგზე წარმოშობის მაჩვენებელობის გამო მიმსგავსება. (კეკელიძე, 1958:610). ამ კამათის მიზეზი გამხდარა თეიმურაზ მეორის ლექსი, რომელიც სათავგადასავლო ხასიათისაა და 14 სტროფისაგან შედგება. ზოგი მეცნიერი მას მიიჩნევს, როგორც დანამატს, ზოგიც კი ცალკე ნაწარმოებად. გ.ჯაკობიას მისთვის „თავგადასავალი“ დაურქმევია და ცალკე მოუთავსებია კრებულში. ზოგი მკვლევარი ასევე,

მიუთითებს, რომ 14 სტროფიანი ლექსი ბიოგრაფიული ხასიათისაა და ის 1738 წელს უნდა იყოს დაწერილი .

როგორც აღვნიშნეთ, ნაწარმოები ორი ნაწილისაგან შედგება: ესაა საღმრთო, რომელშიც გალექსილია ბიბლიური ეპიზოდები და მეორე ნაწილი, რომელიც წარმოადგენს ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებისა და ჩვენი ქვეყნის ბუნების ასახვას. ასევე, გაბაასებაში გადმოცემულია ყოფა-ცხოვრების და ზნე-ჩვეულების ამსახველი ეპიზოდები.

ქართული გაბაასება უცხო ქვეყნების გაბაასებისაგან გამოირჩევა იმითაც ,რომ აქ დასკვნის გამოტანის უფლება რჩება მკითხველს,რაც კიდევ უფრო აძლიერებს ინტერესს გაბაასების ჟანრის ნაწარმოებების მიმართ.ამის დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ ისიც ,რომ გაბაასების ჟანრის ნაწარმოებები ინტერესს მოკლებული არც დღეს არის.ამიტომაც ზემოთ მოხსენებული მიზეზები უფლებას გვაძლევს ,დიდი უპირატესობა მივანიჭოთ უცხოურ ლიტერატურასთან შედარებით.

ამრიგად, შეგვიძლია ვიფიქროთ,რომ ქართული კულტურა ,რომელიც ქართულ წიაღშია აღმოცენებული,მხარს უსწორებს მოწინავე ქვეყნების ლიტერატურულ შედევრებს.ის ასახავს ქართველი ხალხის ისტორიულ ეპიზოდებს და პროცესებს. შესაბამისად მას ქმნიდა ქართველი ხალხი და ვარაუდი იმის შესახებ,რომ რომელიმე მიმდინარეობა გადმოღებული ,ან ნასესხებია, საფუძველს მოკლებულია.

საქართველო, როგორც განსაკუთრებულად გამორჩეული თავისი ისტორიული წარსულით და გეოპოლიტიკური მდებარეობით ხშირად განიცდიდა სხვა კულტურების გავლენა. თუმცა უამრავმა კვლევამ ნათელჰყო ის ფაქტი,რომ გაბაასება საქართველოში ძველთაგანვე გაბატონებული ჟანრი იყო ,ამას ადასტურებს ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები,მაგალითად კაფიობა..ზოიძე ი.,CONVERSATION IN OLD GEORGIAN WRITING,ჟურნალი“ ISPEC“თურქეთი,ანკარა,2020:563

§ 1.3.ბიბლიური სიუჟეტების მნიშვნელობა ძველ ქართულ მწერლობაში

რელიგია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „კავშირის აღდგენას“,რომელიც ოდესმე არსებობდა და რაღაც მიზეზების გამო შეწყდა ,ეს არის კავშირი ადამიანურ

და ღვთაებრივ (უხილავ) სამყაროს შორის. პიროვნების ცნება, უპირველეს ყოვლისა, ეთიკურ და რელიგიურ განზომილებას მოიცავს; მხოლოდ პიროვნებას შეუძლია ჰქონდეს ფასეულობათა იერარქიული სისტემა; აქედან გამომდინარე, გააჩნდეს ეთიკური იდეალი და გრძნობდეს მორალურ პასუხისმგებლობას საკუთარ საქმეებსა და მისწრაფებებთან დაკავშირებით. ასევე, მხოლოდ პიროვნების ცნების საფუძველზეა შესაძლებელი რელიგიის რაობის სრულყოფილი განმარტება, რადგან ეს უკანასკნელი გულისხმობს ღვთაებრივი და ადამიანური პიროვნებების მისტიურ შეხვედრას; მათ შორის ადამის ცოდვამდელი კავშირის აღდგენასა და ერთმანეთთან შეურყვნელი, მაღლისმიერი ერთობის დამყარებას. უფრო მეტიც, როგორც შემდგომში ვნახავთ, პიროვნებისა და მისი თავისუფლების სათანადო განმარტება თავისთავში გულისხმობს ქრისტიანული რელიგიის ფუნდამენტალურ ჭეშმარიტებას, რომლის მიხედვით, ყოველი ადამიანი გაღმრთობისათვის ანუ ღვთაებრივ ყოფაში მაღლისმიერი თანაზიარებისთვისაა მოწოდებული. ერთი სიტყვით, ამ თანაზიარებისაკენ მოწოდების ანტროპოლოგიური საფუძველი ადამიანის პიროვნულობაა, მისი განხორციელების შესაძლებლობა კი, უფლის განკაცებით, ჯვარცმით, მკვდრეთით აღდგომით და „მამის მარჯვენით დაჯდომით“ მოგვეცა.

რელიგია უნივერსალური მოვლენაა, რომელიც ნებისმიერ ცივილიზაციურ სამყაროში იპოვება. კაცობრიობის უძველესი შრეების არქეოლოგიური მონაცემები (არტეფაქტებისა ხოლო) და დამწერლობის გამოგონების შემდეგ უკვე სიტყვიერი ტექსტებიც მოწმობენ, რომ რელიგია არსებობდა კაცობრიობის განვითარების ყოველ ეტაპზე და იგი გასდევს ამ ისტორიას და, რომ არ დასტურდება ისეთი პერიოდი ამ ისტორიაში, როცა რელიგია არ არსებობდა. რელიგიის განვითარება უმჭიდროესად არის სდაკავშირებული ადამიანის სულიერ, ინტელექტუალურ განვითარებასთან. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/8483/1/Religiebi_Saqartveloshi.pdf (27.06 .2019)

კაცობრიობის რელიგიური გამოცდილება მრავალგვაროვანია და ისტორიაც მრავალ რელიგიურ სისტემას იცნობს, მათგან ზოგი დავიწყებას მიეცა და მხოლოდ ისტორიული აზრი აქვს შერჩენილი, ზოგიერთმა დღემდე გაძლო და მიმდევრები ჰყავს და აქტუალურია. რელიგიური განსვავებები გამოწვეულია ჯგუფებს შორის კულტურული, ეთნიკური, სოციალ-პოლიტიკური „წეს-ჩვეულებით თუ

მსოფმედველობით. ყოველ რელიგიას ორი მხარე აქვს: შინაგანი და გარეგანი. შინაგანია, რწმენა- წამოდგენები ღმერთზე, სამყაროზე და მის შექმნაზე. ადამიანზე, ღვთაებასა და ადამიანს შორის ურთიერთობაზე, ადამიანის ზნეობრივ მოვალეობებზე, მის მოლოდინზე და სხვა. მოძღვრება შეიძლება ზეპირი სახით გადავიდეს თაობიდან თაობაზე ან მოძღვრება შეილება გადმოცემული იყოს წერილობით თუ კი ხალში არსებობს დამწერლობა ან ანდობენ დამწერლობას რელიგიურ საიდუმლოებებს. მაგრამ მიუხედავად იმისა, არის თუ არა წერილობით გამოხატული მოძღვრება, ის მაინც რელიგიის შინაგან მხარეს შეადგენს, მენტალობის სფეროს ეკუთვნის და ამდენად, როგორც სულიერი რამ უხილავია, რელიგიის გარეგანი ანუ ხილული მხარეა რიტუალები, ინსტიტუციები, ორგანიზაცია და სხვა. შეილება ითქვას, რომ ერთგვარად გარეგანი მხარე შინაგანის გამოატულებაა. უხილავის ხილული მხარეა, რიტუალს საფუძვლად უდევს წარმოდგენები ღვთაებაზე, მის შემძლეობაზე, მის „ფსიქოლოგიაზე“. რიტუალში ერთი ნაბიჯიც არ არის ისეთი, რომელიც ზედმეტი ან არასაკმარისი იყოს მიზნის მისაღწევად, მიზანი კი ყველა რელიგიაში ღვთაების მომადლიერებაა, რაც ისევ და ისევ ღვთაების ბუნების „ცოდნაზე“ დამოკიდებული. არსებობს გარიგება ადამიანსა და ღმერთს შორის, რაც შემდეგი ფორმულით გამოიხატება „გაძლევ, რათა მომცე“, წარმართულ რელიგიებში ადამიანი არაფერს გაიღებს ღვთაებისათვის უსასყიდლოდ, ისე, რომ არ მოელოდეს ანაზღაურებას, შირად არა იმ ზომით, რა ზომითაც გასცა, არამედ ერთი ათად. ასე, რომ ურთიერთობა სავსებით რაციონალურია, უფრო სწორად ადამიანს სურს, რომ ურთიერთობა ღვთაებასთან რაციონალური და პროგნოზირებადი იყოს. ისევე, როგორც მიწის მუშაკი თესავს თესლს იმ იმედით, რომ თესლი მიწაში არ დაეკარგება, ასევე იმედოვნებს იგი, რომ ღვთისადმი შეწირულიც არ დაეკარგება.

საქართველოში თავისი გეოპოლიტიკური და ისტორიული ფაქტორების გამო სხვადასხვა კულტურა და რელიგია კვეთდა ერთმანეთს, მიუხედავად იმისა, რომ არქეოლოგიურმა ძიებებმა ცხადყო საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური კულტების არსებობა, ქართული ეთნოსისა და კულტურის დვრიტა მაინც ქრისტიანობა (მართლმადიდებლობა) იყო. ის ფაქტი, რომ საქართველოში ქრისტეს კვართი იქნა ჩამოტანილი ქართველების მომავალი ბედი გამსჭვალა. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო ძველი წელთაღრიცხვის დასაწყისში

უკვე მზადაა ახალი რელიგიური აღმსარებლობის მისაღებად. კერძოდ, იმისთვის, რომ აქ სახარება ექადაგათ, ეს ფაქტი აღწერილია შემდეგნაირად: ებრელებმა - ელიოზმა და ლონგინოზმა, რომლებიც ქრისტეს გასამართლებას დაესწრნენ, საქართველოში ქრისტეს კვართი ჩამოიტანეს. ეს ფაქტი ქრისტიანობის უწყვეტი ჯაჭვის დადასტურებაა. შემდეგში ეს სიწმინდე ქართველთა მფარველი და სახელმწიფოებრივი მთლიანობის სიმბოლო ხდება. ამიტომაც, საქართველოს გერბზე გამოხატეს უფლის კვართი და ამ რელიქვიას სამეფო გერბის ძირითდი, მთლიანი ნაწილი დაუთმეს (თამარაშვილი, 1995:56).

ქრისტიანობამ საქართველოში მრავალ კულტურულ წამოწყებას დაუდო სათავე. ქართულ ენაზე იქნა ამეტყველებული ლიტურგიკული წიგნები და საღვთო წერილი. ამან წარმოშვა ქართული, ქრისტიანული მწერლობა. მალევე მაღალ საფეხურზე ავიდა საღვთისმეტყველო ცოდნა, რომელსაც ხელს სწორედ, ქართველი მწერლები უწყობდნენ.

ქართველი ერის ქრისტიანულ არსზე დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწე და მწერალი ილია ჭავჭავაძე წერს: „ქრისტე ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენ ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავუღელეთ მკერდი და ამ მკერდზე როგორც კლდეზე, დაუდგით ქრისტიანობის საყდარი. ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი. გავწყდით, გავიჟლიტენით, თავი გავწირეთ, ცოლშვილნი გავწირეთ, უსწორო ომები ვაწარმოეთ ხორცი მივეცით სულისათვის და ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შემოვიწინა...“ „ყველა ეს შევძელით და საკითხავად საჭიროა, რამ შეგვადლებინა? რამ გვიხსნა? ჯვარცმული ქრისტესათვის როგორ გადავრჩით... რამ გვიხსნა? რამ შეგვიწინა?...“ და პასუხობს იგი, რომ ქართველები მართლმადიდებელმა ქრისტიანობამ, სარწმუნოებამ გადაგვარჩინა (ჭავჭავაძე, 1984: 74).

ქართველი ერი ეკუთვნის იმ ერების ჯგუფს, რომელთაც თავის ენაზე შექმნეს მდიდარი ქრისტიანული კულტურა და დაამუშავეს შინარსიანი საეკლესიო მწერლობა. მაშინ, როცა აღმოსავლეთი და დასავლეთის ერები ერთგვარად მხოლოდ ქრისტიანული მწერლობის ტყვეობაში იყვნენ, ქართველმა მწერლებმა შექმნეს ისეთი მდიდარი, საერო ლიტერატურა, რომლის მთვარი ფიგურა არის ადამინი, თავისი ამქვეყნიური მისწრფეებით, ხორციელი მოთხოვნილებებითა და ასევე,

რელიგიური წარმოდგენებით ადამიანი მუდმივად უნდა ესწრაფოდეს სრულყოფილებისაკენ. კერძოდ, ემსგავსებოდეს უფალს. ქართულ ლიტერატურაში ამგვარი სწრაფვა ნიშანდობლივია, რომ ჰაგიოგრაფიული სახის ძეგლებისათვისაა დამახასიათებელი: „ და ემსგავსებოდა მოძღუარსა კეთილსა, ვითარცა მოძღუარი მათი ემსგავსებოდ აქრისტესა, რომელიცა იტყვს: კმა არს მოწაფის ამის, იყოს თუ ვითარცა მოძღუარი თვისი“ (მათე 10,25)/ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“/. (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები 1964: 260) . ქრისტიანობა არის ბაძვა ღვთაებრივი ბუნებისა, აგიოგრაფიული თხზულების გმირი ემსგავსება ღმერთს, რამდენადაც ეს “დასატევნელია” კაცობრივი ბუნებისათვის. „განღმრთობა არს ღმრთისა მიმართ ირაოდენ და სატევნელ არს მსგავსებად და ერთობად“ (წმ.დიონისეარეოპაგელი 1991: 223). წმინდა მამების აზრით, ადამიანი გაღმრთობისათვის არის მოწოდებული, მისი მოვალეობა საკუთარი ბუნების დაძლევა და მასზე მაღლისმიერი ამაღლებაა. აქედან გამომდინარე, სწორად გაგებული პიროვნული თავისუფლება გაღმრთობას ანუ უმაღლესი მოწოდების თავისუფალ მიდევნებას გულისხმობს (ბუაძე,2014:25). საეკლესიო იერარქიაც „ბაძავს“ ზეციურ იერარქიას, „ბაძვა“ სრულყოფილების მოპოვების ერთ-ერთი გზაა. ქართულ აგიოგრაფიაში იგი ხშირად მოიხსენიება „საღმრთო შურად“ - რაც არის შეუწელებელის წრაფვა ღმერთთან ერთობისათვის: 1. „წმიდამან და ნეტარმან ჰაბო, ვითარცა იხილა კაცთა მის ადგილისაჲთ აგარდამეტებული ღმერთის მოყვარებაჲ დალოცვა ყოვლისა მის ერისაჲ და უცადებელი შური საღმრთოდ აღიღო, რამეთუ მოიკსენა მან სიტყუად იგი წმიდისა მოციქულისაჲ, ვითარმედ: „კეთილ არს ბაძვად კეთილისაჲ მარადის“ (გალატ. 4, 18) /„აბოსწამება“/; (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები 1964: 66) 2. „...სადიდებლად წმიდათა მოწამეთა და აღსაბაძველად, რომელთა იგი შური საღმრთოდ აქუნდეს“/„კონსტანტი კახის მარტვილობა“/; (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები 1964: 115) 3. „რათა ხედვითა და სმენითა სათნოებათა მათთაჲთა შურად და ბაძვად ღირსებისა მათისა აღვიძრვოდით“ („გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“); (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები 1964: 107)„...ჰნატრიდეს გულს მოდგინებასა მისსა და ძალისაებრ ბაძვად მისსა აღვიძრვიდეს` („გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“) (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის

მეგლები 1964: 118), და ამგვარი სწრაფვა გახდა პიროვნების სრულქმნილების საფუძველი. ერთი სიტყვით ქართულმა მწერლობამ სათვე დაუდო ჰუმანიზმს.

ჰუმანიზმის ცნება ფართო გაგებით გულისხმობს შეხედულებათა სისტემას, რომელიც აღიარებს ადამიანის, როგორც პიროვნების ღირებულებას, მის უფლებას თავისუფლებაზე, ბედნიერებაზე, თავისი უნარების განვითარებასა და გამოვლენაზე იგულისხმება აღორძინების ეპოქის კულტურული მოძრაობა, რაც ნათლად გამოვლინდა XV საუკუნის იტალიაში. აღორძინების ეპოქისთვის ნიშანდობლივია ბუნების, მეცნიერების დარგში მოპოვებული დიდი წარმატებები, ახალი შეხედულებები საზოგადოებასა და მის ისტორიაზე, სახელმწიფოსა და სამართალზე (ნ. მაკიაველი, ჟ. ბოდენი), რელიგიისადმი ახლებული (სკეპტიკური ან ინდიფერენტული) დამოკიდებულება, ახალი, ჰუმანისტური ისტორიოგრაფიის შექმნა (ლ. ბრუნი, ნ. მაკიაველი, ს. ფრანკი), ისტორიულ მოვლენათა ბუნებრივი მიზეზების ძიება. აღორძინების ეპოქაში უპირატესი მნიშვნელობა მაინც გამოჩენილი ადამიანების ნებისყოფასა და მისწრაფებებს ენიჭებოდათ. [https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%98\(23.06/2019\)](https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%98(23.06/2019)).

მკვლევრი ლ. ბრაგინა ჰუმანიზმის მთავარ დამახასიათებელ ნიშნად მიიჩნევს ამქვეყნიური ბედნიერებისთვის ზრუნვას, რაც უპირველესად ვლინდება იმ ეპოქის ისტორიულ-პოლიტიკურ, ესთეტიკურსა და პედაგოგიურ სფეროებში. ავტორს ჰუმანიზმი წარმოდგენილი აქვს, როგორც კულტურის იდეოლოგიური საფუძველი - ანტიდოგმატური, საერო ხასიათის ანტისქოლასტიკური მსოფლმხედველობა, რომელიც თავის განვითარებაში ასახავდა ღრმა ცვლილებებს გვიანი შუა საუკუნეების იტალიის საზოგადოებრივსა და იდეოლოგიურ პირობებში. ხოლო, რაც შეეხება ამ იდეოლოგიის მატარებლებს - ჰუმანისტებს, ისინი „ცოდნის ახალის სისტემის მატარებლები და შემოქმედნი იყვნენ, რომლის ცენტრშიც იდგა ადამიანი, მისი მიწიერი დანიშნულება“.

ვ.ლაზარევი ჰუმანიზმის იდეოლოგიაში ადამიანის, როგორც ძირითადი ღირებულების, ფაქტორს, რა თქმა უნდა, არ უარყოფს, მაგრამ, მას მხოლოდ ქრისტიანულ რელიგიას უკავშირებს და ეს, მისი აზრით არის ქრისტიანული ჰუმანიზმის არსი, რომელიც შემდგომში მდგომარეობს: „ადამიანურისა და

ადამიანური ღირებულების მაღალი მნიშვნელობის აღიარებიდან და ამის საფუძველზე გამოცხადების რელიგიის, ზეადამიანური, ზეგონებრივი, ღვთაებრივი უმაღლესი ღირებულებებისკენ; ადამიანის აღორძინებისა და განახლებიდან ქრისტიანობის აღორძინებისა და განახლებისკენ; წარმართული სიბრძნის ხელახალი აღდგენიდან, სახარებისდროინდელი რწმენის რესტავრაციის მცდელობამდეც კი, ქრისტიანობის სავარაუდო პირველსაწყის სიწმინდეზე გადასვლა“ [http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&c=civil2&cl=CL2.19&d=HASHdb7c5f9bd0370187c6ed7e.2.2.2\(ნანახია 23.06.2019 .24.00\)](http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&c=civil2&cl=CL2.19&d=HASHdb7c5f9bd0370187c6ed7e.2.2.2(ნანახია 23.06.2019 .24.00))

უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ჰუმანიზმის შესახებ კვლევები არ გვაქვს თუ არ ჩავთვლით შალვა ხიდაშელის ნაშრომს, რომელშიც განილულია ქართული ჰუმანიზმის ზოგიერთი ელემენტი. ის ჰუმანიზმის პრინციპად მიიჩნევს ხილულ სინამდვილეს. ასევე აღიარებს ადამიანის მიწიერ დანიშნულებას და დასძენს, რომ კვშირი რენესანსსა და ჰუმანიზმს შორის სულც არ ნიშნავს მათ შორის განსხვავების უგულებელყოფას. თავის ნაშრომში ავტორი გამართლებულად მიიჩნევს გზას ჰუმანიზმიდან რენესანსისკენ.

მკვლევართა ერთი ნაწილისათვის საინტერესოა ის მოსაზრება, თუ რა კავშირშია ჰუმანიზმი რელიგიასთან. დასადგენია ქრისტიანობის ის იდეოლოგია, რომელიც ჰუმანიზმმა გამოიყენა ამქვეყნიურის ღირებულად გამოცხადებაში.

რელიგიური წარმოდგენით, ადამიანის უმთავრესი მოწოდება ამქვეყნად არის ის, რომ მუდმივად ესწრაფვოდეს ღვთაების მიმსგავსებას. სწორედ, ამგვარი სწრაფვა პიროვნების სრულქმნილების საფუძველი. ქრისტიანული მოძღვრება ასე ქადაგებს: „იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამა თქუენი ზეცათა სრულ არს“ (მათ. 5,48).

როგორც აღინიშნა, ქართული როგორც საეკლესიო, ასევე საერო მწერლობის საფუძველი იყო ძველი და ახალი აღქმა და ეს მოტივი აღორძინებრის ხანის შემდეგაც გაგრძელდა, თუმც ცოტათი სახეცვლილი ფორმით. მათი გავლენა მხოლოდ ასახვის თავისებურებასა და გამოხატვის ფორმაზე ვლინდება და არა მსოფლმხედველობაზე. აღიარებულია, რომ ქრისტიანობა საერთაშორისო რელიგიაა, რომელიც თავდაპირველად ბერძნულ-რომაულ სამყაროში აღმოცენდა. ამიტომაც მისი ლიტერატურა თავიდანვე ამ ენებზე იყო შექმნილი, ქართველების

დაინტერესება ბიბლიით უძველესი დროიდან მომდინარეობს. ამიტომაც დაიბადა საჭიროება მისი გადმოთარგმნისა თითოეული ქრისტიანი ერის ენაზე, მათ შორის ქართულზეც, ხოლო ის, თუ როგორ, რა დონითა და რა მოცულობით ითვისებდნენ ამ ლიტერატურას, მაჩვენებელი იყო ამა თუ იმ ერის კულტურის დონისა, ხოლო შემდეგში ლიტერატურაში გაბნეული ქრისტიანული იდეალები მაჩვენებელია უკვე ბიბლიისადმი ქართველთა დამოკიდებულებისა.

ბიბლია ქართველი ხალხის სულიერი კულტურის წყაროა, ქართულმა მწერლობამ შეძლო აღეწერა ქართველი ხალხის -ერის მრავალსაუკუნოვანი წარსული. ისტორიულ-კულტურულ, თუ ეკონომიურ ვაკუუმში მყოფი საზოგადოებისათვის ეს ერთგვარი გამოწვევა და გამოფხიზლებაა. ეს მაშინ, როცა ევროპელი მეცნიერები საპირისპიროს ფიქრობენ, რომ მეცნიერება დაეხმარება ხალხს ამოიცნოს ბუნების კანონი, განათლება თვად მოსპობს ცრურწმენებს. ისინი ფიქრობენ, რომ რელიგიის სწავლებას საზოგადოებაში ადგილი არუნდა ჰქონდეს. ამ დროს, საქართველოში პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოება გადაწყვეტს მოზარდ თაობაში რწმენის განმტკიცებას შეუწყოს ხელი, რაც დიდაქტიკურ მოძღვრებაში ქრისტიანობის შერწყმით გააკეთეს. ისინი ცდილობდნენ მოზარდებში რწმენა ნებისმიერი გზებითა და ხერხებით გაეღვიძებინათ. ეს ტენდენცია აშკარად შეინიშნება :არჩილის, თეიმურაზ მეორის, ვახტანგ მეექვსის, გურამიშვილის შემოქმედებაში.

საინტერესოა აღორძინების ხანის მწერლების ასეთი მძაფრი დამოკიდებულება რელიგიისადმი, თუმცა თუ გავიხსენებთ საქართველოს ისტორიულ ყოფას, არ გაგვიჭირდება მიზეზების პოვნა, რამეთუ არასდროს არ მდგარა საქართველოს საელმწიფოებრიობის ყოფნა-არყოფნის საკითხი ისე მძაფრად, როგორც ეს მე-17 მე-18 საუკუნეებში იყო. ეროვნული თვითშემეცნება საოცრად იყო დაკნინებული, მაჰმადიანურ სამართალს ჰქონდა მეტი უპირატესობა, ვიდრე ქრისტიანულს. თეიმურაზ მეორე თავის გაბაასებაში განსაკუთრებულ ყურდლებას უთმობს საეკლესიო კრებათა საქმიანობის აღწერას, მან ამით კიდევ ერთელ ხაზი გაუსვა მართლმდიდებლობის უპირატესობას კათოლიკობასთან, ნათელია პოეტის მოკრძალებული შეხსენება, კრებების მსვლელობის აღწერისას ჩანს, თუ რა მიზანს ისახავდა, ამით მას სურს ჩააგონოს მკითხველს სარწმუნოებრივი ვალი და აჩვენოს

თუ რა შეუძლია სარწმუნოებისაგან განდგომას. ტრადიციული მოსზრებით, ბაგრატიონთა სამეფო დინასტია მიჩნეულია იესიან-დავითიან-სოლომონიანად, ანუ ქართველი მეფეები ქრისტეს შთამომავლები არიან. და მათი მისია იყო მთელი საქრისტიანო სამყაროს დაცვა.

იობის განსაცდელის გადმოღებას დამოდღვრითი ხასიათი აქვს. თეიმურაზს სურდა რწმენა ჩაენერგა სარწმუნოებადაკარგული, გულგატეხილი საზოგადოებისათვის, იობის სიტყვები ბიბლიიდან “უკუეუ კეთილი იგი მოვიღე ხელისაგან უფლისა, ბოროტი ესე ვერ მოვითმინოთა? (იობი, 2, 10, გვ. 102), ნათლად გვაჩვენებს ჩვენს მოვალეობას. პოეტი გვმოდღვრავს: რაც არ უნდა სატანჯველი მოგაწიოს განგებამ, უფლის გამობა არ უნდა დაგცდეს და იობის თვალთა და მოთმინებით შეხედო. (როგავა, 2009: 17)

ქართული, როგორც საეკლესიო-სასულიერო, ასევე საერო მწერლობის საფუძველი არის ძველი და ახალი აღქმა, ეს მოტივები მეტ-ნაკლები სახეცვლილი ფორმით გადაეცა შემდეგი პერიოდის მწერლობას, როგორც ახალს, ასევე უახლესს. მაგრამ მათი გავლენა მხოლოდ ასახვის თავისებურებასა და გამოხატვის ფორმაზე ვლინდება და არა მსოფლმხედველობაზე. ზოგადად, ქრისტიანობას და ქრისტიანულ კულტურას ქართველი ხალხის განვითარების ყველა ეტაპზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

საღვთო ისტორიის სიუჟეტების, იგავების სიმბოლური გააზრებისა და ნაწარმოებების ავტორები, სწორედ ქრისტიანული მორალით მოძღვრავდნენ საზოგადოებას, რათა განემტკიცებინათ მათში რწმენა ერთიანობისა და სიმტკიცისა. სწორედ, ასეთ ნაწარმოებებში ბიბლიურ სიუჟეტებს განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი. ბიბლიური სახისმეტყველება არა მხოლოდ ძველი ქართული მწერლობის განმსაზღვრელია, არამედ მთელი შემდგომი ლიტერატურული ეპოქის სააზროვნო სისტემად გვესახება. (ზოიძე, 2020: 117).

ამ მიმართულებამ აღორძინების ხანის მწერლობაში განსაკუთრებულად მაშტაბური ხასიათი მიიღო და ეს ბუნებრივია, რადგან ეს მოტივი ეპოქის აუცილებლობიდან გამომდინარეობდა, ამ ტენდენციისა და მოთხოვნის შედეგია, ალბათ ისიც, რომ ცალკეულ პოეტებს ისტორიის გარკვეული დეტალები გაუღიქსავთ კიდევ. ამათგან განსხვავებით თეიმურაზ მეორის ბიბლიის ეპიზოდების გაღიქსვა

გარკვეული გზავნილია რწმენადაკარგული საზოგადოებისათვის და ის წყევლა-კრულვასაც უგზავნის მათ, ვინც ვერ გამოიცნობს უმეცრების გამო გარკვეულ ადგილებს. ეს კი თავის მხრივ მოითხოვს ბიბლიის ცოდნას. ქართული მწერლობის შთაგონების წყარო ოდითგანვე ბიბლია იყო, ამიტომაცაა ის ქართველი ხალხის სულიერი კულტურის წყარო, რამეთუ ქართულმა მწერლობამ შეძლო აღეწერა ქართველი ხალხის -ერის მრავალსაუკუნოვანი წარსული.

<http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/164294/2/Avtoreferati.pdf>(ნანაია 01.07 2019).

თავი მეორე

თეიმურაზ მეორის შემოქმედების ძირითადი თემატიკა

მწერლის უკვდავება მისი სიტყვის გენიალურობაშია, რაც სიტყვის თავისებურ კონსტრუქციებად გარდაქმნასა და მკითხველისადმი ინდივიდუალური ხელწერით მიწოდებაში ვლინდება. ამიტომაც ამბობენ, დიდი კალმოსანი ისაა, ვინც გაიძულებს, არა იკითხო, არამედ იფიქროს. მკითხველიც სწორედ ამის მიხედვით აფასებს მწერალს, ლიტერატურაშიც კუთვნილ ადგილს იჭერს უფლისაგან ხელდებული შემოქმედი. ასეთ შემოქმედთა რიცხვს თამამად შეგვიძლია მივაკუთვნოთ მეფე-პოეტი თეიმურაზ მეორე.

თეიმურაზ მეორის შემოქმედებით დაინტერესება ადრეული პერიოდიდან შეინიშნება. მის მიმართ ინტერესი გამოწვეულია მისი ორიგინალური ხელწერით. თეიმურაზ მეორის შემოქმედებაში წამოჭრილი პრობლემები ქართული მწერლობისთვის ბიძგის მიმცემია, რადგან მისი მსოფმხედველობა მყარადაა მორგებული ქრისტიანულ ნიადაგს. მისი შემოქმედების თავისებურებანი ბიბლიური წიაღიდანაა, რომელიც ქვეყნის ხსნას ქრისტიანულ რელიგიაში ხედავდა. ამიტომაც გააცოცხლა მან ბიბლიური პასაჟი. ნაწარმოებში მოხმობილი თითოეული მაგალითი „სადვრთო წერილთაა ნასაზრდოვები“. თეიმურაზ მეორის შემოქმედებაში იგრძნობა შუასაუკუნეების, კერძოდ, რეალისტური ნაკადის გავლენა, მის შემოქმედებაში წარმოდგენილია, როგორც საერო, ასევე სასულიერო მოტივები. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია მოქცეული „დღისა და ღამის გაბაასება“. სწორედ გაბაასების ფონზეა გაშლილი ბიბლიური სიბრძნე, რომელიც მის შემოქმედებას განსაკუთრებულ ელფერს სძენს. მეფე-პოეტის შემოქმედება ეხება აღორძინების პერიოდის საზოგადოებაში ბიბლიური გამოღვიძების აუცილებლობის თემატიკას.

ისტორიულ - კულტურულ, თუ ეკონომიურ ვაკუუმში მყოფი საზოგადოებისათვის ეს ერთგვარი გამოწვევა და გამოფხიზლებაა. ეს მაშინ, როცა ევროპელი მეცნიერები საპირისპიროს ფიქრობენ. ჯერ კიდევ ძველ დასავლურ ტრადიციაში სულიერი ავტორიტეტები იყვნენ წმინდა მამები და სულიერი წინამძღვრები. როდესაც დასავლეთში იწყება რელიგიური და საკრალური

ტექსტების არატრადიციული ინტერპრეტაცია, იცვლება რელიგიური, სოციალური და მეცნიერული ფაქტორებისადმი მიდგომებშიც, განსაკუთრებით მაშინ, როცა დასაბამი დაედო ნიუტონის ფიზიკის კანონებს, რაც ეფუძვნებოდა ექსპერიმენტებს, დაკვირვებასა და ლიგიკურ აზროვნებას.

ძირეული ცვლილებები განიცადა ასევე სოციალურმა ფაქტორმაც. კერძოდ, მოხდა მემკვიდრული სოციალური და კულტურული კაპიტალის შესუსტება და გასაქანი მიეცა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. თუ კი მანამდე ადამიანები მემკვიდრეობით ღებულობდნენ სოციალურ მდგომარეობას და პროფესიას კი, ამჯერად ინდივიდუალური შესაძლებლობების წინ წამოწევამ გამოიწვია სოციალური მობილობის ხარისხის გაზრდა და უკვე მნიშვნელობა აღარ ქონდა თუ რა სოციალურ წრეში, როგორი ეკონომიკური შესაძლებლობის გარემოში, როგორი ღირებულებების წიაღში, ან რომელი რელიგიური მრწამსით აღიზარდა ადამიანი..

განიცადა ცვლილებები რელიგიურმა ფაქტორებმაც, რაც განაპირობა რეფორმაციულმა მოძრაობამ. რადიკალურად შეიცვალა პროტესტანტების მიდგომები წმინდა წერილებისა და ზოგადად რელიგიური ტექსტებისადმი. პროტესტანტიზმის წარმოშობამდე ადამიანები მემკვიდრეობით ღებულობდნენ კათოლიკურ ქრისტიანულ ღირებულებებს, ხოლო რეფორმაციის შემდგომ ადამიანებს ეძლევათ საშუალება თავად აირჩიონ წმინდა წერილების განსხვავებული ინტერპრეტაციები. (ბუაძე თ., რენესანსი და ქრისტიანობა, ჟურ. „გული გონიერისა, # 9, თბ., 2014). მოგვიანო პერიოდში კი მათი მოდგომები ჩამოყალიბდა შემდგომნაირად: რომ მეცნიერება დაეხმარება ხალს ამოიცნოს ბუნების კანონი, განათლება თავად მოსპობს ცრურწმენებს. ისინი ფიქრობენ, რომ რელიგიის სწავლებას საზოგადოებაში ადგილი არუნდა ქონდეს. ეს განსაკუთრებით განმანთლებელთა მოსაზრებებში აისახა. მაგალითად, ო. კონტის მოსაზრების მიხედვით საზოგადოებამ გაიარა განვითარების სამი სტადია, მისი თეორია ე.წ. „სამი სტადიის კანონით“ არის ცნობილი: 1. თეოლოგიური სტადია, 2. მეტაფიზიკური სტადია და 3. პოზიტიური სტადია. კონტის მიხედვით საზოგადოებამ განვითარების სწრაფი სვლა სწორედ თეოლოგიური სტადიის დასასრულის შემდეგ დაიწყო. ფუნდამენტალური ქრისტიანული ელემენტები არ იძლეოდა ლოგიკური და მეცნიერული განვითარების საშუალებას. ხოლო რელიგიური ფუნდამენტალიზმის მსხვრევის შემდეგ

საზოგადოებრივი განვითარება გეომეტრიული პროგრესით გაიზარდა, რამდენადაც ინდივიდუალური აზროვნების განვითარებას მიეცა დასაბამი. ამან კი გამოიწვია მეცნიერული პროგრესი(ერიაშვილი,2011:16). მოგვიანებით მიდგომები შეიცვალა და ეკლესია არა თუ უარყოფილი იქნა,არამედ გაბატონდა აზრი იმის შესახებ,რომ რწმენას უნდა დაახმაროს ადამიანმა შესაბამისი ინტელექტუალური ინსტრუმენტალიები. თეოლოგიამ უნდა გახსნას წმინდა მამათა საუკუნეებით დაგროვილი გამოცდილება,მათი ნააზრევი,სადაც ღმერთი და მათდამი რწმენა განიხილება არა, როგორც მხოლოდ იდეარამედ, როგორც პიროვნება,რადგან არ შეიძლება გქონდეს ურთიერთობა იდეასთნ. განსაკუთრებით საინტერესოდ წარიმართა სიტუაცია ამ მიმართებით აღმოსავლურ მართლმადიდებლურ ეკლესიებში. აღმოსავლური მართლმადიდებლური ეკლესიის თეორია გარკვეული სტაგნაციის შემდეგ მე-19 საუკუნის მე-2 ნახევარში აღორძინების გზას ადგება. იწყება ეკლესიის წმინდა მამათა უდიდესი მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლა და გააზრება ,რომელიც თავის აპოგეას მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში აღწევს. თეოლოგიურმა მოძრაობამ კვლევის გზაზე დაისახა შემდეგი დებულებანი :პირველი-მინელეზული ბიბლიური ინტერესის გამოცოცხლება; მეორე-ჯანსაღი ტრადიციონალიზმისადმი შემობრუნება; მესამე-განყოფა საკუთარი და დასავლური ტრადიციებისა და ასე შემდეგ.

მე-20 საუკუნეში აღმოსავლურმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ სცადა თავის დახსნა დასავლური თეოლოგიის „ბიბლიური ტყვეობიდან“.ის განსაკუთრებით ჩანდა ისეთ ქვეყნებში, როგორცაა (საბერძნეთი,რუმინეთი,სერბეთი და ა.შ.),რომელიც თავისთავში მოიცავდა საკუთარი ტრადიციის შენარჩუნებას და ამავედროულად განახლებას. ამან კი, საშუალება მისცა მართლმადიდებლურ თეოლოგიას გამხდარიყო თანამედროვე სამყაროს ნაწილი და დიალოგში გამოეხატა საკუთარი შემოქმედებითი ნიჭი, რამაც განსაზღვრა მართლმადიდებლური თეოლოგიის ეგზისტენციალური პირობა (ჯიჯიეშვილი, 2016:305-310). ამდენად ,თუ გვიან შუა საუკუნეებამდე საზოგადოებას ბრმად სწამდა ,რომ რელიგია გადამწყვეტ როლს თამაშობდა ადამიანის მომავალ განვითარებაში, შემდეგ პერიოდში მეცნიერებამ უარყო თეოლოგია და თანამედროვე ეტაპზე კი დაიწყო თეოლოგიური პრინციპების მეცნიერული შესწავლა.

ნიშანდობლივია, რომ, რეფორმაციული მოძრაობის პარალელურად საქართველოში პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოება გადაწყვეტს მოზარდ თაობაში ხელი შეუწყოს რწმენის განმტკიცებას, რაც დიდაქტიკურ მოძღვრებაში ქრისტიანობის შერწყმით გააკეთეს. ისინი ცდილობდნენ მოზარდებში რწმენა ნებისმიერი გზებითა და ხერხებით გაეღვიძებინათ. ეს ტენდენცია აშკარად შეინიშნება :არჩილის,თეიმურაზ მეორის,ვახტანგ მეექვსის და გურამიშვილის შემოქმედებაში. საგულისხმოა, რომ თეიმურაზ მეორეს იმ გარდამავალ ეპოქაში უხდებოდა მოღვაწეობა ,როცა მეცნიერება ჯერ კიდევ არ იყო სათანადო დონეზე , თუმცა თეოლოგიური ხანა ითვლებოდა სტაგნაციის ეპოქად, ადამიანის განვითარების შემაფერხებლად. სწორედ ამ რთულ ვითარებაში ,მეფე-პოეტის შემოქმედებაში ბიბლიური ელემენტების წინა პლანზე წამოწევა ვეფიქრობთ, უდიდესი პასუხისმგებლობა იყო, რამდენადაც საამისოდ ხელშემწყობი ფაქტორის როლს ვერც სოციალურ გარემო თამაშობს და ვერც გეოპოლიტიკური. სამეფო-სამთავროებად დაშლილი საქართველო მოქცეულია ისლამურ რკალში.

თეიმურაზ მეორის რწმენა რელიგიური მოტივის შესახებ ეფუძვნებოდა მოსაზრებას,რომ „ღმერთისადმი დაუმორჩილებლობით შეუძლებელია საკუთარი ნება თავს არ დაატყდეს ადამიანს დაცემის დიდი სიმძიმით, თუ კი მას ქედმაღლურად დააყენებს უმაღლეს ნებაზე წინ. სწორედ, ეს განიცადა ადამიანმა,როდესაც ღვთის ნებას გარდავიდა ..."(ნეტარი ავგუსტინე), მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო საბოლოო კავშირის გაწყვეტა ღმერთთან, ადამიანს შეეძლო მონანიებით თავისი თავდაპირველი ღირსების დაბრუნება,სამოთხიდან გამოგდებულ ადამს რომ ეთქვა „შევცოდეთ“,იგი უეჭველად მიიღებდა შენდობას,მაგრამ ადამი თავს იმართლებს და უფალს მიმართავს:რადგან დედაკაცი შენ მომეცი დამნაშავეც შენა ხარო.ცოდვით დაცემის შემდეგ შეიცვალა ადამიანის ირგვლივ არსებული სამყარო. დაირღვა თავდაპირველი ჰარმონია ბუნებასა და ადამიანს შორის.ადამისა და ევას შემდეგ ცოდვა სწრაფად ვცრცელდება ადამიანთა შორის.თუ კი მათ ამპარტავნობითა და დაუმორჩილებლობით შესცოდეს ,მათი შვილი კენი კი ძმისმკვლელობით სცოდავს.(ალფეევი,2013:131-135).

თეიმურაზ მეორის შემოქმედებაში ბიბლიური ელემენტების განხილვისას განსაკუთრებით საინტერესოა კენისაგან აბელის მოკვლის ამბავი. ძმის მიერ ძმის

მოკვლის ტენდენცია სწორედ ამ ეპოქაში იხლართებოდა..პოეტი ამ ეპიზოდის გალექსვით ძმათა შორის შუღლის შეჩერებას ისახავს მიზნად.

იობის განსაცდელის გადმოღებას დამოდღვრითი ხასიათი აქვს. თეიმურაზს სურდა რწმენა ჩაენერგა სარწმუნოებადაკარგული, გულგატეხილი საზოგადოებისათვის, იობის სიტყვები ბიბლიიდან“უკუეუ კეთილი იგი მოვიღე ხელისაგან უფლისა ,ბოროტი ესე ვერ მოვითმინოთა? (იობი,2,10:102),ნათლად გვაჩვენებს ჩვენს მოვალეობას.პოეტი გვმოდღვრავს:რაც არ უნდა სატანჯველი მოგაწიოს განგებამ ,უფლის გმობა არუნდა დაგცდეს და იობის თვალითა და მოთმინებით შეხედო.

<http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/164294/2/Avtoreferati.pdf>(01.07 2019).

ქართულ მწერლობაში ბიბლიური ელემენტების დიდაქტიკურმა ხასიათმა გაგრძელება ჰპოვა მომდევნო პერიოდებშიც, მიუხედავად იმისა, რომ არსებითად შეიცვალა ქვეყნის სოციალ-პოლიტიკური ფონი და შესაბამისად, ქართველი ხალხის სულიერი და კულტურული ყოფა.ამ მხრივ აღსანიშნავია მცხრამეტე-მეოცე საუკუნის მწერლობა, სადაც, ასევე ბიბლიური ელემენტები კვლავ აქტუალურია მაგრამ სახეცვლილი ფორმით. კერძოდ, თუ კი აღორძინების ხანის ეპოქაში ბიბლიური ელემენტების გააქტიურებას ქონდა საზოგადოების გამოფხილვის, მეცხრამეტე საუკუნის მწერლობაში კი, ბიბლიამ მონანიების ფუნქცია იტვირთა.

შუა საუკუნეების ეპოქის საქართველოში არსებულ სულიერ კრიზისს განაპირობებდა სოციალ-პოლიტიკური ცხოვრება.ბიზანტიის დაცემამ და ოსმალეთის იმპერიის ჩამოყალიბებამ საქართველო მოაქცია ისლამურ რკალში და საბოლოოდ მოწყვიტა ევროპულ და ქრისტიანულ ცივილიზაციას, რამაც საფრთხე შეუქმნა საქართველოში ქრისტიანული რელიგიის სიმტკიცეს, მაშინ, როცა ქრისტიანული რელიგია ქართველი ხალხის ეროვნულ სიმბოლოს წარმოადგენდა.პრობლემა აისახა მაშინდელი ეპოქის ქართულ ლიტერატურაში ბიბლიური ელემენტების გააქტიურებით, რასაც ქართველი ხალხის გამოფხილვის მისია დაეკისრა. სწორედ თეიმურაზ მეორემ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება და პოლიტიკური მოღვაწეობა იმაზე ფიქრს შესწირა, რომ საქართველო ესხნა მაჰმადიანი დამპყრობლებისაგან და იმჟამად ერთადერთ ნათელ წერტილს ის ერთმორწმუნე რუსეთში ხედავდა. მართალია ეს მისი გარდაცვალების შემდეგ

მოვიდა სისრულეში, მაგრამ შემდგომი ეპოქის (XIXსაუკუნე) მოვლენებმა აჩვენა, რომ არც ეს იყო ქართველთათვის გზა ხსნისა. ისლამური იმპერიის ბატონობას ჩაენაცვლა ქრისტიანული რუსეთის იმპერიის ბატონობა, რამაც არანაკლები საფრთხე შეუქმნა ქართველების ეროვნულ თავისუფლებასა და სახელმწიფოებრიობას. სწორედ ამის გამოძახილი იყო, რომ ბიბლიური ელემენტები კვლავ აქტუალურ მიმართულებად დარჩა ქართულ მწერლობაში. განსხვავება მდგომარეობდა მხოლოდ იმაში, რომ აღნიშნულ ეტაპზე ეს გამოვლინდა მონანიების ფორმით, რაც ქართველ კლასიკოსებთან იგი მთელი სრულყოფილებით აისახა. ცოდვისა და მონანიების პრობლემატიკა განხილვის ახალ საფეხურზე ავიდა, რომანტიზმის მწვერვალის, ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში. აღნიშნული პრობლემა ნიკოლოზ ბარათაშვილის ფილოსოფიური შემოქმედების, მისი მწერლური მიზანსწრაფვის ქვაკუთხედს წარმოადგენს. ეს დასტურდება კიდევ ერთხელ თეოლოგიური ხასიათის ლექსით „ჩემილოცვა“. შესავალში პოეტი სთხოვს უფალს: „ღმერთო მამაო, მომიხილე მე შეცდომილი და განმასვენე ვნებათა განბოროტელვილი.“ ასევე, ამ საკითხმა გაგრძელება პოვა მეცხრამეტე საუკუნის სხვა მწერლებთანაც. მაგალითად, „ილია ჭავჭავაძე ცოდვისა და სინანული საკითხს ასახავს პოემაში „განდეგილი“, მოთხრობებში—„გლახის ნაამბობში“, „სარჩობელაზედ“. ილიას ნაწარმოებებში ადამიანის მიმართება ყოფიერებასა და შინაგან სულიერ სამყაროსთან, მათი ურთიერთდამოკიდებულების საკითხის გარკვევა ღრმა ფილოსოფიურ–თეოლოგიურ ჭრილში ხდება. ხოლო, მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ მწერალმა დასვა უმნიშვნელოვანესი პრობლემა— მისი აზრით, ადამიანმა უნდა იგრძნოს პასუხისმგებლობა არა მარტო თავის მოქმედებებზე, არამედ ნიბისმიერ ბოროტებაზე, რომელიც ხდება საზოგადოებაში“ (ბალაძე მ., მხატვრულ სახეთა სისტემა აკაკი წერეთლის პოემებში, სადისერტაციო ნაშრომი, ბათუმი, 2017). რელიგიური ელემენტების მონანიების პრინციპით ასახვას არანაკლები დატვირთვა აქვს აკაკის შემოქმედებაშიც. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ პოემები: „გამზრდელი, „თორნიკე ერისთავი“ და სხვა.

მართალია, პოლიტიკური პროცესების კვალდაკვალ დამძიმდა საქართველოში ქრისტიანული რელიგიის და ზოგადად საეკლესიო ცხოვრების მდგომარეობა, თუმცა არანაკლებ მძიმე იყო ამ მიმართულებით ვითარება თვით ქრისტიანულ ქვეყნებშიც.

ოტომანთა იმპერიის ჩამოყალიბების შემდგომ, სადაც ეთნიკური და რელიგიური იდენტობები გაიგივებული იყო, ქრისტიანობას საკუთრივ ბერძნულ საქმედ განიხილავდნენ, რაც ბერძნული ნაციონალიზმისათვის სრულიად მისაღები ვითარება იყო. თურქებმა ყველაფერი მოიმოქმედეს საიმისოდ, რომ ბერძნული რელიგიური აზრი ნაციონალიზმის ჩარჩოებამდე დაევიწროებინათ და სახელმწიფოებრივი კატასტროფის შემდეგ თავისი იდენტობა ნაციონალურისა და რელიგიურის თანხვედრაში ეძიათ. თუ ეს ვითარება გამართლებული იყო ნაციონალური იდეის გადარჩენის აზრით, მას მძიმე შედეგები მოჰქონდა რელიგიური ცხოვრებისათვის, რადგან ქმნიდა ქრისტიანული უნივერსალიზმის ნაციონალურ მნიშვნელზე დაყვანის პრეცედენტს. თუ გავიხსენებთ, რომ ბიზანტიის სულიერი გავლენის მთავარი განმსაზღვრელი იყო ის უნივერსალიზმი, რომლის მატარებელიც იყო აღმოსავლეთის ეკლესია, იოლი გამოსაცნობია, თუ როგორ მახეს უგებდნენ ამით თურქები ქრისტიანული ერთობის იდეას და როგორ აქცევდნენ ეკლესიას სხვადასხვა ხალხთა გეოპოლიტიკურ ინსტრუმენტად. თურქებმა თავის მიზანს მიაღწიეს, ხოლო შემდგომში, როდესაც დასავლეთი საბოლოოდ გულგრილი გახდა აღმოსავლეთი ქრისტიანობის ბედის მიმართ, ხოლო თურქეთსა და რუსეთს ევროპული ქვეყნები უკვე განიხილავდნენ, როგორც ორ ურთიერთდამაბალანსებელ მტრულ ძალას, პატრიარქის უფლებები მკვეთრად იქნა შეზღუდული. XVIII საუკუნის 73 წლის განმავლობაში შეიცვალა 48 პატრიარქი (ფირალიშვილი, 2012:19). ზოგმა მათგანმა ხუთჯერაც კი დაიკავა პატრიარქის ტახტი. ბერძნული რელიგიური ნაციონალიზმი, რომელიც ისედაც ყოველთვის იყო ბიზანტიზმის ხან აშკარა, ხან კიდევ ფარული მოტივი, როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს, სწორედ თურქების ბატონობის დროს იქცევა წამყვან ძალად. არ შეიძლება, ამაშიც საკმაოდ კარგად გათვლილი პოლტიკური ანგარიში არ დავინახოთ. მას ბიზანტიის კრახი თანამედროვეთა თვალში დაჰყავდა კონკრეტული ხალხის ტრაგედიამდე და ფარავდა გეოპოლიტიკური კატასტროფის მასშტაბებს. ამას უფრო ადრე ჯვაროსნულმა ომებმა და ჯვაროსნებს შორის არსებულმა ანტიბიზანტიურმა განწყობილებებმაც შეუწყო ხელი. ბერძნები კარგავდნენ არა მხოლოდ მონოფიზიტი სომხებისა და სირიელების მხარდაჭერას, არამედ, რაც გაცილებით მძიმე იყო ამ ახალ ისტორიულ ვითარებაში, ქართველებისა და სლავური მოდგმის ხალხთა

თანაგრძნობასაც. ბიზანტიური სამყარო ჰკარგავდა უნივერსალური სამყაროს კონტურებს და საკუთრივ ბერძნულ სამყაროდ იქცეოდა. მსოფლიო პატრიარქი თანდათან ელინური პატრიოტიზმის სიმბოლოდ იქცა (შემემანი 1953: 150).

თურქებისთვის ხელსაყრელი იყო ამ პროცესების გაღრმავება. ისინი ყოველგვარად უწყობდნენ ხელს ბერძნების პრიმატს ყველა, განსაკუთრებით დაპყრობილი სლავური ქვეყნების ეკლესიებში და ბერძნებიც სარგებლობდნენ ამ გარემოებით (შემემანი, 1953: 149). სლავურ საპატრიარქოებს აქცევდნენ ეპარქიებად და იქ ბერძენ იერარქებს ნიშნავდნენ. თურქები ხელს შველოდნენ ბერძნებს იერუსალიმის, ანტიოქიისა და ალექსანდრიის საპატრიარქოებში გაბატონებაშიც. აღმოსავლეთის ეკლესია იქცა ერთმანეთთან დაპირისპირებული და ერთმანეთის მიმართ ეჭვიანი და ზოგჯერ მტრული დამოკიდებულების მქონე ეკლესიების ნაკრებად.

§2.1. პოემის „ დღისა და ღამის გაბაასება“ ლიტერატურული პარალელი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თეიმურაზ მეორის შემოქმედება ადრევე გამხდარა კრიტიკოსების განხილვის საგანი. თითოეულ მათგანს სხვადასხვა დროს,სხვადასხვა ჭრილში აქვს ის განხილული. ისინი მხატვრულად აცოცხლებენ იმ ეპოქას,რომელშიც ცხოვრობდა ავტორი, მათ მოახდინეს მისი თხზულებების პერიფრაზირება,რომელსაც თან ერთვის ანალიზიც. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევარებს პოეტის შემოქმედების შესახებ აზრთა სხვადასხვაობა ჰქონდათ.ეს ეხება, როგორც ლიტერატურულ პარალელებს ,ნაწარმოების დაწერის თარიღსა თუ სათაურს.რაც შეეება ლიტერატურულ პარალელებს ამის საფუველს იძლევა ის გარემოება,რომ მე-11 სუკუნეში პოეტ ასადი ტუსელს მიაკუთვნებენ მსგავს ნაწარმოებს,“მუნაზადე“,რაც გაკამათება ,გაბაასებას ნიშნავს. ისინი მიიჩნევენ, რომ ეს ჟანრი თავისი წარმოშობით აღმოსავლურ-სპარსულია, თუმცა შემდგომი პერიოდის სხვა კვლევებმა აჩვენა რომ, ლიტერატურულ ჟანრში კმათის ხელოვნების დამკვიდრება სათავეს ჯრ კიდევ ადრეული ეპოქებიდან იღებს. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ აპოლოგეტური ჟანრი ბერძნულ ლიტერატურაში, რომელიც ქრისტიანული რელიგიის დაცვის მიზნით გამოიყენებოდა. ძველ რომში, კერძოდ

მეორე საუკუნეში ქრისტიანულმა საზოგადოებამ გარკვეულწილად მოიკიდა ფეხი, თუმცა ამ დროისათვის მნიშვნელოვანი იყო იუდაური და წარმართული საზოგადოების უნდობლობისა და მტრული განწყობის გარღვევა. საჭირო იყო პროპაგანდისტული მუშაობა ახალი რელიგიის უპირატესობის წარმოსაჩენად და მისთვის ახალი მიმდევრების მოსაპოვებლად. მნიშვნელოვანი იყო, ის რომ სისხლიანი დაპირისპირება, რასაც მანამდე ქონდა ადგილი შეიცვალა დაპირისპირებულ მხარეთა დიალოგითა და კამათით და ეს როლი იტვირთა ლიტერატურულმა შემოქმედებამ, რომელიც ამ დროისათვის მისიონერულ დანიშნულებას ატარებდა. სწორედ, აქედან იღებს სათავეს ბერძნულ ლიტერატურაში აპოლოგეტური ჟანრი ანუ დაპირისპირება ვერბალურად არგუმენტების ჭიდილით. აპოლოგეტურ ლიტერატურაში ბუნებრივი იყო პოლემიკური ტონი, მოწინააღმდეგეების არგუმენტების მოშველიება და მათთან კამათი(გიორგაძე,2009:165-176)

ბერძენ აპოლოგეტთა შორის ერთ-ერთი არისტიდე ათენელი იყო, რომლის აპოლოგიაც იმპერატორ ადრიანესთვის(117-138)დაიწერა. ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ ძალიან მწირია და ძირითადად ემყარება ევსევი კესარიელის გამოცემას“საეკლესიო ისტორიიდან”. რომლის მიხედვით არისტიდე ათენელი ყოფილა ფილოსოფოსი და შემდეგ გამხდარა ქრისტიანი. როდესაც იმპერატორი ადრიანე იმყოფებოდა ათენში ელევსინის მისტერიებში მონწილეობის მისაღებად, არისტიდეს მისთვის მიუმართავს აპოლოგიით ქრისტიანული სარწმუნოების დასაცავად. საინტერესოა არისტიდეს აპოლოგიის ტექსტის ისტორია, თხზულება დიდხანს დაკარგული იყო და მიუწვდომელი მკვლევართათვის. 1878 წელს ვენეციის წმ. ლაზარეს სომხური მონასტრის ბერებმა არისტიდეს დაკარგული აპოლოგიის სომხური თარგმანის ფრაგმენტი აღმოაჩინეს. ხოლო, 1889 წელს კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორმა ჟ. რენდელ ჰარისმა სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის საცავებში არისტიდეს აპოლოგიის სირიული თარგმანი იპოვა. შემდეგ კი, „პროფესორმა ა. რობინსონმა არისტიდეს აპოლოგიის ბერძნული ტექსტი აღმოაჩინა. არისტიდეს „აპოლოგიის“ თარგმანი ძველ ქართულ მწერლობაში არ მოგვეპოვება, მაგრამ ქართული ქრისტიანული ძეგლების შესწავლა ცხადყოფს, რომ ქართველი ავტორები, განსაკუთრებით კი ჰაგიოგრაფები იცნობდნენ ამ ავტორს და

მის თხზულებას, რადგან აპოლოგეტური მოტივები „არაერთ ჰაგიოგრაფიულ ტექსტში იჩენს თავს. სწორედ, ამ მონაცემებზე დაყრდნობით არისტიდეს აპოლოგიის ფრანგულ გამოცემაში (2003) პროფესორი ბერნანდ პუდერონი საუბრობს არისტიდეს აპოლოგიის ქართულ ფრაგმენტებზე.

როგორც ცნობილია, ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები ასახავს ქართველთა სარწმუნოებრივ ბრძოლას სპარსელთა წინააღმდეგ (IV-VI სს). ქართული ეკლესიის პირველი წმინდანები, ეპოქის პოლიტიკური პროცესებიდან გამომდინარე, სარწმუნოებრივ ბრძოლას უცხადებენ მაზდეანიზმს (ზოროასტრიზმს), სპარსელთა უძველეს სარწმუნოებას. ამ პერიოდის ჰაგიოგრაფიული ტექსტები შეიცავს პოლემიკას, როგორც ზოგადად წარმართობის, ასევე, მაზდეანობის-ზოროასტრიზმის წინააღმდეგ, რომლის გავრცელება საქართველოში აქემენდური ირანის (ძვ.წ.-ის VII ს.) ეპოქას უკავშირდება, როგორც ისტორიული წყაროებით დასტურდება „ქართლში, მცხეთაში ქრისტიანული ეპოქის დასაწყისისათვის სპარსი მოგვების თემები სახლობდნენ და მაზდეანობა ადგილობრივ წარმართულ კულტურებთან თანაარსებობდა. სასანიდების ეპოქაში კი რელიგიათა ადრინდელი ტოლერანტული თანაარსებობა მკვეთრი დაპირისპირებით შეიცვალა. (გიორგაძე 2007:288-298)

ქართული ჰაგიოგრაფიის ცნობილ, უძველეს ძეგლში დედოფალ შუშანიკის მიმართ წართქმულ სიტყვებში- „შენ ღმერთი ჭეშმარიტი უარ ჰყავ და ცეცხლსა თაყვანის- ეც. და ვითარცა შენ შემოქმედი შენი უვარ-ჰყავ, ეგრეცა მე შენ შეურაცხ - გყავ.“), (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები I, 1963:15), აქ კარგად ჩანს აპოლოგეტური მოტივი („ცეცხლი არა ღმერთი“), რომელიც თითქმის ყველა ბერძენი აპოლოგეტის თხზულებაში ჩანს

ცეცხლთაყვანისმცემლობის წინააღმდეგაა მიმართული 13 ასურელ მამათაგან ერთის, აბიბოს ნეკრესელის პოლემიკაც (VI ს.), რომელიც, ასევე ამჟღავნებს სიახლოვეს აპოლოგეტურ თემებთან და ლოგიკურია ვარაუდი, რომ მის პირველწყაროს არისტიდეს აპოლოგია წარმოადგენს. არისტიდეს აპოლოგიის ტექსტის გავლენა ყველაზე მაშშტაბურად დასტურდება ერთ-ერთ უძველეს აგიოგრაფიულ ტექსტზე- „ევსტატი მცხეთელის მარტვილობა VI ს., რომელშიც აისახა ეპოქის მთავარი კონფლიქტი ქრისტიანობასა და მაზდეანობას შორის საქართველოში. მარზპანის წინაშე დაკითხვაზე მიყვანილი დატყვევებული ევსტატი

წარმოთქვამს სიტყვას ქრისტიანული სარწმუნოების დასაცავად, რომელშიც ამხელს ცეცხლთაყვანისმცემლობას. შეიძლება ითქვას, რომ ევსტათი ამ ეპიზოდში ამხელს ცეცხლთაყვანისმცემლობას. გიორგაძე 2007:288-298

სპარსულ ლიტერატურაში დასახელებული ჟანრი გაკამათება, გაშირება-გაჯიბრებას ნიშნავს. ასადი ტუსელის თხულება „მუნაზარე ღამისა და დღისა“, თეიმურაზის თხზულებასთან შედარებით მცირეა, სულ 82 სტროფისაგან შედგება და ასევე, არც შესავალი არ აქვს. სპარს ავტორს ასადი ტუსელს ეს თხზულება დაუწერია გასართობად „ანუ კერძოდ, იმის გამოსარკვევად, რომელს შეიძლება მიენიჭოს უპირატესობა დღესა თუ ღამეს. თხზულებაში ღამე თავგამოდებით ცდილობს დაამტკიცოს მისი უპირატესობა, რადგან ყურანში ღამე უფრო ადრეა დასახელებული ვიდრე დღე და ასევე ღამეს თავისი თავი მეფედ გამოჰყავს, ვარსკვლავები კი მსახურებად. აქვე, არგუმენტად იმასაც მოიშველიებს, რომ არაბული წლის გამოთვლა მთვარით იწყება. შემდეგ მოკამათის პოზიციაში შემოდის დღე, რომელიც ცხარე კმათში შესული არგუმენტებს არ იშურებს ღამის დასამარცხებლად და ღამის მიერ მოყვანილ არგუმენტებსაც დამაჯერებელი კონტრარგუმენტებით პასუხობს. თუმცა, დასასრულს ავტორს არ აქვს ნაჩვენები გამარჯვებული მხარე. მიუედავად იმისა, რომ გარეგნულად ეს ორი თხზულება ჰგავს ერთმანეთს, რადგან ორივეში მოქმედი პირები არიან დღე და ღამე, მათ შორის დიდი შინაარსობრივი განსხვავებაა. ეს სხვაობა კი იმდენად დიდია, რომ არ შეიძლება მთელი მისი შინაარსის თხზულების ორიგინალობის, მისი ქართულ ნიადაგზე წარმოშობის მაჩვენებლობის გამო მიმსგავსება. (კეკელიძე, 1981:610). თვითონ ასადს შეუთხზავს „გაბაასება დღისა და ღამისა“, „მშვილდისა და ისრისა“, „მუსულმანისა და სპარსელისა“ „თუმცა აქვე აღნიშნავენ, რომ ამ მსგავსებით ოდნავადაც არ ადგება ჩრდილი თხზულების ორიგინალობას. თეიმურაზ მეორის ნაწარმოების სპეციფიკური თავისებურება (ქრისტიანული ტენდენცია, საეკლესიო ისტორია, ეთნოგრაფიული მასალა), ადასტურებს მის ორიგინალობას, რადგან ავტორის პირდაპირი წყარო ბიბლიაა, ბ.ქიქოძეს თხზულებათა იდენტობის დასადგენად სპეციალური კვლევა-ძიება ჩაუტარებია, რის საფუძველზეც ასკვნის, რომ ძველი ქართული ლიტერატურა თავისი ჟანრებით, მოტივებითა და ლიტერატურული ფორმებით არ შექმნილა უცხო, კერძოდ ირანული ლიტერატურის გავლენით.

პირიქით, ჩვენი ძველი ლიტერატურის ჩასახვა და აღორძინება უშუალოდ დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის იმდროინდელ სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ ვითარებასთან. ის უაღრესად ეროვნული ხასიათისაა და ქართველი ხალხის ცხოვრების დამახასიათებელი თავისებურების ამსახველია.

§2.2. თხზულების ორსახელწოდებასთან დაკავშირებული საკითხები და დათარიღების წყაროები

„მან გამოხატა ქართველთა ზნენი და ჩვეულებანი
საღმრთო,საერო ყოველი,აქამომდე თქმულენი.

ლექსად და ტკბილად გამოსთქვა,ჰყო სწორად შეთანხმებანი.

ამისთვის მის მწერლობას მისცა სარკის წოდებანი“. [23, 6]

თეიმურაზ მეორის შემოქმედებამ მკვლევარებში განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია. ყურაადღების ცენტრში მოქცეულია „დღისა და ღამის გაბაასება“,პოემას „სარკე თქმულის „სახელითაც მოიხსენიებენ,მას ხელნაწერებში საკმაოდ დიდი სათაური აქვს :“დღისა და ღამის გაბაასება ,თქმული მეფის ერეკლეს მის,მეფის თეიმურაზისაგან,რომელი იქნა ცხებული შემდგომად წელიწადისა ცხრისა თქმისა ამისა ,ამ წიგნსა ამას ეწოდების სარკე თქმულთა“. მკვლევართა ნაწილი ფიქრობს,რომ ეს უნდა იყოს შერქმეული გადამწერთაგან ,ხოლო ნაწილი კი,მაგ:ალ.ცაგარელი აღწერს რა ალექსანდრე ბატონიშვილის წიგნსაცავს,ახსენებს თეიმურაზ მეორის ნაწარმოებს :“წიგნი სარკე თქმული,სტიხებად,რომელსაცა შინა მოიხსენიებიან მრავალი საღვთისმეტველონი სიტყვანი და საუფლოსა დღესასწაულთა და წმიდათანი ,ანბანთ ქებანი და სხვადასხვა გვარნი ლექსი მრავალნი ამის წიგნსა შინა და საერონიცა ქართული ზნეობანი და საღალღობენი ,ქმნილი საქართველოს მეფისა თეიმურაზ მეორისა მიერ ,სახელად „სარკეთქმული“დაურქმევია“ ,ეს კი გვაფიქრებინებს,რომ ალექსანდრე ცაგარელი ორივე სათაურს ავტორს მიაკუთვნებს (როგავა,2009:9). უნდა ვივარაუდოთ ისიც, რომ ნაწარმოების სტრუქტურა დიდაქტიკური ჟანრისაა და სავარაუდოდ მკვლევარებმაც გადაწერა-გადანუსხვის დროს ამიტომ დაასათაურეს ნაწარმოები მეორე სახელითაც.

ბუნებრივია, საერო ცხოვრების საეკლესიო თემებით ფოტოგრაფიული სიზუსტით გადმოცემამ ნაწარმოებს რეალისტური ფუნქცია მიანიჭა. სარკე თქმულთა იმიფრება, როგორც ადრე ნათქვამის ანარეკლი. ზემოთ მოხსენიებული ლექსის ბოლო ტაეპს თუ დავაკვირდებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ ორივე სათაური ეკუთვნის ავტორს. საკითხზე მუშაობისას მართებულად უთითებს გრ. ქორქიშვილი, რომ პოეტმა „ჰყო სწორად შეთანხმებანი და `გამოხატა... საღმრთო, საერო ყოველი, აქამომდე თქმულეზანი. ბუნებრივია, საერო ცხოვრების აღნუსხვისა თუ საეკლესიო თემების ფოტოგრაფიული სიზუსტით გადმოტანის შემდეგ თხზულებას რეალისტურად აღწერილი ამბის ფუნქცია მიენიჭა. გამომცემელი `აქამომდე თქმულეზანში ბიბლიურ სიუჟეტებს, ასევე ქართული ზნე-ჩვეულებები სშემცველ თხზულებებს გულისხმობს. ამდენად, „სარკე თქმულთა იმიფრება, როგორც ადრე ნათქვამის ანარეკლი. ლექსის ბოლო ტაეპში გატარებული აზრი, არ გამორიცხავს იმას, რომ აქ თვით პოეტს თვლიდეს ამ მეორე სახელწოდების ავტორადაც, რადგანაც გარკვევით უთითებს „ამისათვის მის მწერლობას მისცა სარკის წოდებანი“ (როგავა, 2009:11)

აქედან გამომდინარე მივდივართ დასკვნამდე, რომ ნაწარმოებს თავიდანვე უნდა ქონოდა ორი სათაური.

სადავოა პოემის დაწერის თარიღიც, რომელთან დაკავშირებითაც წყაროებში სხვადასხვა ცნობაა დაცული. კ. კეკელიძეს, რაკი ეჭვი შეაქვს პოემის ვრცელი სათაურის ორიგინალურობაში, აქ დაცულ თარიღებსაც კვლევისთვის არა საიმედოდ მიიჩნევს. იგი თვლის, რომ ისინი, როგორც შემდგომში დართული, ზედმიწევნითი სიზუსტით არ გამოირჩევა. მას 1736 წელი თხზულების დაწყების, 1738 წელი კი დამთავრების თარიღად მიაჩნია. პოემის დაწერის თარიღთან დაკავშირებით იმავე მოსაზრებას გამოთქვამს ლ. მენაბდე, იმ განსხვავებით, რომ ის მხოლოდ პოემის დაწყების თარიღს ასახელებს. ასევე, 1736 წელს. სამეცნიერო წრეებში კამათის მიზეზი გამხდარა თეიმურაზ მეორის 14 სტროფიანი სათავგადასავლო ხასიათის ლექსი: „დღისა და ღამის გაბაასება, თქმული მეფის ირაკლის ძის, მეფის თეიმურაზისაგან, რომელი იქნა ცხებული შემდგომად წელიწდისა ცხრისა თქმისა ამისა“. თეიმურაზი ცხებული იქნა მეფედ 1745 წლის 1 ოქტომბერს. მაშასადამე, თხზულება მას დაუწერია 1736 წელს, დამთავრების თარიღი კი 1738 წელი უნდა იყოს, მაგრამ ნუსხების ცნობა

არ შეიძლება ჩაითვალოს ავტორისეულად. ის შემდეგ უნდა იყოს მიწერილი. ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა შემდეგი ფრაზა: „აწ წიგნსა ამას ეწოდების სარკე თქმულთა“ გვიჩვენებს, რომ თეიმურაზის დროს მას ეს სახელი არ რქმევია. „ახლა ეწოდების მას ეს სახელიო-ამბობს წამწერი;წარწერით თხზულება თქმულია მეფის, თეიმურაზის მიერ .1736 წელს თეიმურაზი ჯერ კიდევ არ ყოფილა მეფედ, ამიტომ, ამ ცნობას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონია დაწერის თარიღის დასადგენად. ის შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც გამოძახილი პოემის დაწყების დროის შესახებ, ხოლო თხზულება დამთავრებული უნდა იყოს 1738 წელს, როგორც ეპილოგშია აღნიშნული.

„ვიყავ ყანდაარს მჭმუნვარე, არა გულითა ლინობით,
ვთქვი ლექსი მცირე რაიმე, სევდისა მოსათმინობით;
იქ დავასრულე, ვინც ნახოთ, ნუ ვინ იქნებით წყინობით,
მაშინ ჯდა ქორონიკონი უნი, კანი და ვინობით“

(კეკელიძე, 1958:609)

სწორედ, მოუცლელობით შეიძლება გაჭიანურებული იყო პოემის დასრულება და მხოლოდ ყანდაარში განეახლებინა მასზე მუშაობა. მოცალეობის ჟამს ეთქვა „მცირე რამ, სევდისა მოსათმინობით.“ აქ საუბარი უნდა იყოს „დღისა და ღამის გაბაასებაზე“, თორემ 14 სტროფიან ლექსს ნამდვილად არ უნდა დასჭირვებოდა ამდენი დრო. ფაქტი კი ერთია, სამეცნიერო წრეებში 14 სტროფიანმა ლექსმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ზოგიერთი მათგანი ამ ლექსს ავტობიოგრაფიული ხასიათის ლექსად მოიხსენიებს. საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ თხზულების დაწერის თარიღადაც 1737-1738 წლები შეიძლება ჩაითვალოს. მეფის მშფოთვარე ცხოვრების გათვალისწინებით, ამის სარწმუნო წყაროს ზემოთ მოყვანილი ლექსის ამონარიდი იძლევა.

§2.3. პოემის „დღისა და ღამის გაბაასების“ ავტორთან დაკავშირებული საკითხები

სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად ადგილი აქვს მეფე-პოეტის შემოქმედების ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობას. ზოგჯერ მის ნაწარმოებებს მიაწერენ სხვას, ან

კიდევ, პირიქით. გ.ჯაკობია ერთ ფაქტზე ამახვილებს ყურადღებას:ლიტერატურაში იყო მცდელობა,რომ პოემა „სარკე თქმულთა“ მიეწერათ თეიმურაზ პირველისათვის ,თუმცა ის მალევე უარყოფილ იქნა. ნაწარმოები, რომ თეიმურაზს ეკუთვნის ,ეს შესავალშიაც არის აღწერილი : „აწ დაიწყებს თეიმურაზ არ კახურად ტრაბახსაო“.სწორედ, ამ ფრაზამ აფიქრებინა ექვთიმე თაყაიშვილს,რომ პოემის ავტორი არა თეიმურაზ მეორე,არამედ თეიმურაზ პირველიაო. თუმცა,,ცხადია,ეს შეხედულება სიმართლეს არ შეესაბამება და მცდარია. ზოგ ნუსხაში ნათქვამია; ირაკლის ძის მეფის თეიმურაზისაგან“არის ეს დაწერილიო. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ნაწარმოებს დართული აქვს ბოლოსიტყვაობა და ის 14 სტროფისაგან შედგება. ბოლოსიტყვაობა ავტობიოგრაფიული ხასიათისაა და აქ აღწერილია თეიმურაზის გამგზავრება სპარსეთს, სეფეხანის ბრძანების თანახმად. ეს კი,მეტყველებს თეიმურაზ მეორის უპირობო ავტორობას ამ ნაწარმოებისა და არა თეიმურაზ პირველის. მოცემული პროლოგი გ.ჯაკობიას გარკვეული მოსაზრებით ცალკე მოუთავსებია და მისთვის,,თავგადასავალი“დაურქმევია. ამით ის ფიქრობს ,რომ მას არაფერი აქვს საერთო,,გაბაასებასთან. „მისი აზრით „გაბაასება“ და ეპილოგი სხვადასხვა დროსაა დაწერილი. ლ.მენაბდის აზრით კი,ეს 14 სტროფიანი ლიტერატურული ნაწარმოები 1738 წელს უნდა იყოს დაწერილი და გვაწვდის ავტორისბიოგრაფიულ ცნობებს.

„მინდა აღმოვსთქვა მცირე რამ არა სიბრძნისა სადარი,
თუმცა დამცალდა სოფლისგან,ან დღე მომეცა სადარი,
არ მოგეწონოთ ,იკითხეთ:“ესე ნათქვამი სად არი?“

ვწერდი ცხენს მჯდომი ვლაშქრობდი იქით და აქეთ,სად არი!“

მკვლევარი ექვთიმე თაყაიშვილი, ძველი ქართული ხელნაწერების აღწერისას, რაღაც მიზეზით თეიმურაზ მეორის „სარკეთქმულთას თეიმურაზ პირველს აკუთვნებს. თუმცა მოგვიანებით მას აზრი შეუცვლია. სხვაგან კი, პირიქით, თეიმურაზ მეორეს ასახელებს თეიმურაზ პირველის თხზულების ავტორად.

1959 წელს გამოცემულ „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში ვკითხულობთ: „მ _#536 თეიმურაზ პირველი, „შვიდთა კრებათათვის"...თეიმურაზ მეორე, „სარკე თქმულთა..." [115, 603].სავარაუდოა, რომ ტექსტი სწორად არის აღწერილი, რადგან მეფე პოეტების თხზულებათა სრული კრებულის გამომცემლები, ერთიმხრივ, გ.ჯაკობია და, მეორე მხრივ, ალ. ბარამიძე, არაფერს ამბობენ ამ

უზუსტობაზე.http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/164294/1/Disertacia.pdf?fbclid=IwAR2LtPWve051RCpfVMjv6f_Ufd_dfz1iN6mFwT8c2okSZ0mQqCs8dre8b_U 30.06.2019).

ამდენად, პირველი თავის დასასრულს შეგვიძლია მსჯელობიდან გამომდინარე გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები: რაც შეეხება ლიტერატურულ პარალელებს, რომელსაც მკვლევარები ასადი ტუსელის სახელთან აკავშირებდნენ და კვლევების ერთი ნაწილი ემხრობოდა იმ შეხედულებას, რომ გაბაასება, როგორც ჟანრი, სპარსული ლიტერატურიდან უნდა იყოს შემოსული. თუმცა, ახალი კვლევებით ნათელი მოეფინა იმ შეხედულებას, რომ გაბაასება ჯერ კიდევ ძვ.წელთაღრიცხვიდან იღებს სათავეს როგორც „აპოლოგეტიკირი“ ჟანრი, ასე რომ ამკარაა ქართულ ლიტერატურაზე ევროპული შეხედულებების გავლენა და არა მხოლოდ სპარსული. ასევე, თავად ტექსტის განხილვა საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ პოემის ორივე სათაური ავტორისეულია და არა გადამწერების მიერ მიწერილი, რომლის დადგენაშიც ჯაკობის კვლევები და თეიმურაზ მეორის ხელნაწერები დაგვხმარა, „პოემა დღისა და ღამის გაბაასება „რომელსაც შესავალის სახით დართული აქვს 14 სტროფიანი ლექსი გვაწვდის უტყუარ ინფორმაციას დაწერის თარიღთან დაკავშირებით, რომელიც პოეტს სევდის განსაქარვებლად დაუწერია. ასე რომ არანაირი ეჭვი არარ უნდა იყოს, როგორც ავტორის იდენტობის, ასევე დათარიღებისა და სათაურთან დაკავშირებით, რომელიც გვხვდება ლიტერატურათმცოდნეობაში.

თავი მესამე

თეიმურაზ მეორის ცხოვრება და ქრისტიანული უნივერსალიზმი

მეფე თეიმურაზი ქართველი ერისთვის ყველაზე მძიმე ეპოქაში ფარად და დარაჯად ედგა თავის სამშობლოს, ქართველობასა და ეროვნულ სარწმუნეობას. ის ღირსეულად ებრძოდა ქრისტიანობის უსასტიკეს მტრებს, შეიძლება ითქვას, რომ წარმატებითაც. უნდა აღინიშნოს, რომ ის ღრმადმორწმუნე ქრისტიანი იყო, რომელიც თავიდანვე აისახებოდა მის ხასიათსა და მოქმედებებში.

მეფე თეიმურაზის ფილოსოფიურ იდეალს ცხადად ატყვია ქრისტიანული რელიგიით ნაკარნახევი ზნეობრივი ხასიათის უმნიშვნელოვანესი კორექტივი. ის არა მხოლოდ ქრისტეს მოყვარული, არამედ ისაა, ქრისტეს ერთგული მეომარიც, რომელიც ებრძოდა, არა მარტო სპარსეთს, არამედ მათი პოლიტიკის გამტარებელ, გადარჯულებულ ქართველებსაც, რომელებიც საქართველოსათვის არანაკლები უბედურების მომტანნი იყვნენ. აღსანიშნავია, რომ იმ დროის ქართველმა ერმა ბევრი „გათათრებული“, „გაფრანგებული“ „გასომხებული“ შვილი დაკარგა, რამეთუ სარწმუნოების გამოცვლით მათი ეროვნული თვითშემეცნება იცვლებოდა და იმ ერებს ემატებოდნენ, რომელი ერის აღმსარებლობასაც ღებულობდნენ. რწმენა არის გზა, რომელსაც ღმერთი და ადამიანი ერთმანეთის შესახვედრად გადიან პირველ ნაბიჯს დგამს ღმერთი. მას ყოველთვის და უპირობოდ სწამს ადამიანის, რატომ ხვდება, რომ ერთი ადამიანი პასუხობს ღმერთის მოწოდებას, რატომ ხდება, რომ ერთნი, როგორც კი თავიანთ გზაზე ღმერთს შეხვდებიან, მაშინვე ყოველივეს ტოვებენ და მას მიჰყვებიან, სხვანი კი მას ზურგს აქცევენ და სულ სხვა მხარეს მიდიან. სამწუხაროდ, სარწმუნოება და ეროვნება ერთმანეთში აითქვიფა, რამდენადაც რელიგია განსაზღვრავდა პოლიტიკას და პირიქითაც, პოლიტიკური ფაქტორებით განისაზღვრებოდა რელიგიური ორიენტირი. გამომდინარე აქედან, „...ქართველობის შენარჩუნებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ეკლესიისა და ქრისტიანული აღმსარებლობის გაძლიერებასა და ზოგადად არსებობას, როგორც ერთადერთ ბურჯს ქართული ეროვნებისა, ამიტომაც მაჰმადიანური ქვეყნები პირდაპირ ებრძოდნენ სარწმუნოებას, რაც არა მხოლოდ ქართული ეკლესიის დაკნინებას, არამედ „ქართველობის“ დეგრადაციას მოასწავებდა. ამის გაკეთება

სპარს-ოსმალებმა ვერ შეძლეს, ეს თავად შაჰ-აბასმაც ვერ მოახერხა. მთელი რიგი ქართველებით, მაგრამ ქართლი სახელმწიფო მაინც არსებობდა. ქართულ ეკლესიებს საფუძველი ეცვლებოდა მაჰმადიანურ ქვეყნებში, რადგან მაჰმადიანი მმართველები იქ მცხოვრებ თუ ჩამოსულებს აიძულებდნენ უარეყოთ ქართველობა და ქრისტიანობა. ქართველი, რომელიც გათათრებას არ ისურვებდა ის მაშინ კათოლიკურ, ან გრიგორიანულ მრევლად უნდა ქცეულიყო. მაჰმადიანურმა ქვეყნებმა მოსპეს ბერძნული სახელმწიფო, ხოლო ვერ შეძლეს ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობა. მაჰმადიანურ ქვეყნებს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიების გარდა საფრთხეს უქმნიდა რუსეთის იმპერიაც, რომელიც მოიწევდა თანდათან სამხრეთისაკენ, ამიტომ ყველა ხერხით ცდილობდა მაჰმადიანური ქვეყნები, არ დაეშვათ მართლმადიდებელი ქვეყნების კავშირი საქართველოსთან, რათქმუნდა თეიმურაზის კავშირი რუსეთთან მოსვენებას უკარგავდა სპარსეთს. ამიტომაც იყო, რომ მაჰმადიანური ქვეყნები, საქართველოს დასაკნინებლად, ეროვნულობის წასაშლელად და რწმენის შესარყევად ყველა გზას მიმართავდნენ. მათ შორის იყო ტყვეთა ყიდვა-გაყიდვა, გადასახლება საქართველოდან, რამაც მნიშვნელოვნად შეარყია ქართული სახელმწიფოებრიობა. მიუხედავად ქვეყანაში არსებული ამ მძიმე მდგომარეობისა, მცირე ნაწილი ქართველებისა, რომელთაც შერჩენოდათ ქვეყნისა და ქრისტიანობის სიყვარული ფარ-ხმალს არ ყრიდნენ და იბრძოდნენ მთელი ძალ-ღონის მოკრებით და რომელთა მთავარი დევიზიც „აღდგომა“ და „გამოხსნა“ იყო.

აღმოსავლეთი საქართველო ირანის ვასალურ ქვეყანას წარმოადგენდა, ქალაქებში ძირითადად ირანული გარნიზონები იდგა, ქვეყნის მეთაურებს არ შეეძლოთ დამოუკიდებელი პოლიტიკა ეწარმოებინათ. სპარსელები ხშირად ცვლიდნენ ქართლისა და კახეთის „მეფეებს“ და თავიანთი შეხედულების მიხედვით ნიშნავდნენ, და რაც მთავარია გამაჰმადიანებულებს. (ჯაფარიძე, 2009:61.). ქართველ ერში დაიწყო დენაციონალიზაციის პროცესი. ქართველთა ერთი ნაწილი იძულებით“ თათრდებოდა“ ,თუმცა ქართველთა ნებაყოფილობით გამაჰმადიანების საფრთხეც გაჩნდა. ეს კი გარკვეული სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზებით იყო განპირობებული. უამრავი ომი გადაიხადა საქართველომ სპარსეთის ოსმალეთის, თუ საქართველოს თავგასული მტრების წინააღმდეგ. ამას

ემატებოდა შიდადაპირისპირებები და პიროვნული ინტერესებიდან გამომდინარე მიდგომები.

სპარსელების გაბატონებამ მეტად მძიმე კვალი დააჩნია საქართველოს, რადგან ქართველებს, უფრო სარწმუნოებისა და ქრისტიანობის ზნეობის მხრით, თავიანთი გახრწნილობით და ურწმუნობით ქართველს შეურყიეს ძველი დროიდან გულში ღრმად ჩანერგილი ქრისტეს სარწმუნოება. სარწმუნოების შესაცვლელად საჭირო აღარ იყო ქართველის დატყვევება, ოჯახის აკლება და არც სიკვდილით დამუქრება. ბევრი მათგანი თავისი ნებით ტოვებდა ქრისტიანობას და გადადიოდა მაჰმადიანობაზე, ამას კი ცხადად აკეთებდნენ საქართველოში და არა სხვაგან, ფარულად. ამის გამო გულისტკივილით წერდა ქართველთა მეფე თეიმურაზ პირველი:

„ არვის უნდა სახარება ,არცა „წიგნი მოციქულთა“ ,

არ გიკვირს, რომ დაივიწყეს შემოქმედი მისგან ქმნულთა ?!

განკითხვა და საუკუნო არც სიკვდილი უძეს გულთა

უნახავთა არას მიკვირს -ბრძენთა მიკვირს მონახულთა „

იმავეს ადასტურებს არჩილ მეფეც:

„სადმართო წიგნი ბევრი წახდა ,უყდოთა და უბედობით

საშაიროდ ინახავენ სტავრის ბუდით, ან ნახლობით.“

ასეთ სამწუხარო ეპოქაში ქართველ ხალხი ეროვნული გადაგვარებისა და დეცენტრალიზაციის, ეროვნული თვითმყოფადობის საფრთხის წინაშე იდგა. ნიშანდობლივია, რომ ყოველივე ამის მიუხედავად, ქვეყანაში მაღალი წოდება საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობდა. საქართველოში არსებული ვითარება კარგს არაფერს მოასწავებდა, თუ კი ის მთელ სულიერ ძალას არ მოიკრებფა და ამ განსაცდელის თავიდან აცილებას არ ეცდებოდა .

ქართველმა ერმა თავისი ძალა და ენერჯია უპირველესად გამოავლინა შემოქმედებითი ნიჭში და წინ აღუდგა გამანადგურებელ მიმართულებას. ამისათვის პირველ რიგში ქრისტიანული სარწმუნოების დაცვა ,აღდგენა და განმტკიცება უპირობო მოვალეობა იყო. საჭირო გახდა რწმენაზე შესაბამისი ინტელექტუალური ინსტრუმენტალიების დახმარება. ეს ქრისტიანული სარწმუნოების კვლავ პოპულულარიზაციის მიზნით ერთადერთი ძირითადი ამოცანა იყო, რადგანაც

სარწმუნოებას უნდ ეთამაშა ერის გაერთიანებისათვის მთავარი იდეოლოგიის როლი. ამიტომაც უნდა აღმდგარიყო რწმენა იმისა ,რომ არსებობს ღმერთი „ჭეშმარიტი“და ,რომ ეკლესია არის ორგანიზმი,რომლის თავია ქრისტე,ხოლო სხეული-ყოველი ქრისტიანი „ცათა შინა და ქვეყანათა ზედა ,ვინც კი განეკუთვნება ,ან მოზეიმე ,ან მებრძოლ ეკლესიას, რომელშიც არსებობს სული წმიდა“. ქრისტიანული ეკლესიის ღმერთი არის ღმერთი ისტორიული გამოცდილებისა.“

ქართველობა და ქრისტიანობა სინონიმურ ცნებებად გადაიქცა,რადგან ქართველობა ქრისტიანობის გარეშე წარმოუგენელი იყო,და პირიქით.ა საგულისხმოა, რომ ქართველს უწოდებდნენ მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წევრს ,მართლმადიდებლური სარწმუნოების მქონე ეთნიკურ ქართველს. სწორედ ამიტომაც იყო საჭირო დაცვა და გაძლიერება ქართული ეკლესიისა. ზემოთ ჩამოთვლს ემატებოდა ისიც, რომ დაკნინებული იყო ქართული ,ეროვნული თვითშეგნება და საჭირო იყო მისი გამოღვიძება და განმტკიცება. სამწუხარო მოვლენაა ის ფაქტიც, რომ ქართველები ქართულ და სპარსულ სიტყვებს ერთმანეთში ურევდნენ, იბღლებოდა ქართული ენის ბუნება და კანონები. გარკვეული ვაკუუმი შეიქმნა XIV-XVII საუკუნეების საქართველოს ისტორიულ განვითარებაში, დავიწყებას იყო მიცემული ძველიც. აღსანიშნავია,რომ მწერლები სპარსული მოტივებით იყვნენ დაინტერესებულნი და არა ქართულით, უპირატესობა, სამწუხაროდ, სპარსულ-მაჰმადიანურ სამართალს ეთმობოდა და ეს კიდევ ერთი დამატებითი მიზეზი იყო ეროვნული სულისკვეთების დაკარგვისა. თუმცა „სადაც გამრავლდეს ცოდვა ,მუნ უფრო გარდაემატოს მადლი“. ამავე ეპოქაში მრავლად ვხდებით ქრისტესათვის წამებულთა ,თავდადებულთა ,აღმსარებელთა ,ღირსთა ...ბიძინა შალვა,ელიზბარ,თეიმურაზ პირველის დედა -წამებული ქეთევან დედოფალი და მრავალი ჩვენგან მივიწყებული და ვერდაფასებული.

ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებაში დიდი როლი ითამაშა ქართველ ბაგრატიონთა შტომ. მათმა პირველმა წარმატებამ აფიქრებინა დაესახათ შემდეგ პოლიტიკოსებსა და პროგრესულად მოაზროვნე ქართველობას,საქართველოს გამოხსნის ,აღდგომის ვრცელი პროგრამა. ეს კი ეროვნულ -სახელმწიფოებრივ აღდგომას გულისხმობდა. ქართლისა და კახეთის სამეფოს ამ პერიოდში მართავდნენ მაჰმადიანი „მეფეები“ და შესაბამისად, მათი იდეოლოგიაც არაეროვნული იყო.

ამიტომ უპირველეს მიზანს წარმოადგენდა ქართლისა და კახეთის სამეფო ტახტზე ქართველი მეფეების დასმა და შემდეგ მაჰმადიანური იდეოლოგიისაგან გათავისუფლება. შემდეგი ეტაპი იქნებოდა „აღდგომა“ ,ანუ საქართველოს გაერთიანება, ერთიანი სახელმწიფოებრიობის აღდგენა. მართალია, ქართველი ეროვნული იდეით გამსჭვალული მცირერიცხოვანი ხალხი ხვდებოდა ,რომ გზა ხსნისა მარტო შეუძლებელი იყო ,ამიტომ ისინი ცდილობდნენ დახმარების ხელი ეთხოვათ ევროპისათვის ან რუსეთისათვის. თუმცა ამ მცდელობამ კრახი განიცადა,მაგრამ საბედნიეროდ გზა ხსნისა ისევ ქართველებში აღმოჩნდა. “ქართველმა ერმა ეროვნული სახელწიფოებრიობის აღორძინება ქრისტიანი ქართველი მეფის კურთხევის წესის აღდგენით და აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანებით თეიმურაზ მეორისა და ერეკლე მეორის დროს შეძლო. (ჯაფარიძე,2009:65).

ქართველი ისტორიკოსები თვლიდნენ, რომ ქვეყნის ბედის გაუკუღმართებას საფუძველი როსტომ-ხანის მეფობისას დაედო და ეს თეიმურაზ მეორის ,ანუ ქრისტიანი მეფის ტახტზე ასვლამდე გრძელდებოდა. რწმენის შესუსტებით ხსნიდნენ ქვეყნის ზნეობრივ დაცემას და ქართული წეს-ჩვეულებების მოშლას. საქართველომ ცალკეული ადამიანებისგან ეშმაკისათვის სულის მიყიდვის არაერთი შემთხვევა იხილა და განიცადა, მაგრამ ერი უწინარესად იმან შეამრწუნა, რომ ამან გლობალური ხასიათი მიიღო და მის თანამედროვეთა უმრავლესობის წესი გახდა, რაც ქართველთაგან ქრისტიანობის უარყოფასა და მაჰმადიანობის რჯულის ზიარებაში გამოიხატა. სწორედ, თეიმურაზ მეორე თავის შემოქმედებაში გულისტკივილით აღნიშნავს, რომ მამულის სჯულის აბუჩად აგდება, ეროვნული გრძნობებისაგან დაცლა, ძმასთან ძმის მტრობა, სატანისათვის სულის გაბარების ტოლფასი იყო. ცხადია,საინტერესოა ის, რომ სატანის წაქეზებით ადამიანი ეზიარა ბოროტების ნაყოფს, ვერ გაარჩია ერთმანეთისაგან კეთილი და ბოროტი. ესე იგი ის ატარებდა უკეთურ სულს, ხოლო როცა გამოვლენის საშაუალება მიეცა, შედეგმაც არ დააყოვნა. აი ამ ბიბლიური ეპიზოდის გარდაქმნით ჭეშმარიტი ქართველი ცდილობდა სჯულისა და ქვეყნის მოღალატეებს შეეგნოთ, რომ ამ ღალატით მათ თითქმის პირველცოდვის ტოლფასი სიმძმე ადევთ, ეს იყო მკაცრი გაფრთხილება

თანამემამულეებისა, რასაც ფსიქოლოგიური გარდატეხა უნდა შეეტანა მათ ცოდვილ სულში.

ამ მძიმე ისტორიულ პერიოდში ქართული ეკლესიაც დიდად დაზარალდა, მრავალი საეპისკოპოსო და ეპარქია საერთოდ გაუქმდა, თუმცა ქართულმა ეკლესიამ შეინარჩუნა ეროვნული დვრიტა, რომელიც 1744-45 წლებისათვის ქართული, ქრისტიანული სახელმწიფოსათვის აღორძინების საფუძველი გახდა. ასეთი „იწრო გზით“ ვიდოდნენ ქართველნი და ვითარცა ოქრო ცეცხლით, იწრობოდნენ მრავალი განსაცდელით. ამ განსაცდელის ჟამს გადამწყვეტი მისია მაინც ბაგრატიონებს ეკისრებოდათ. ქართველი მეფეები, ბაგრატიონები, დავით წინასწარმეტყველის მემკვიდრეებად და შთამომავლობად მიიჩნეოდნენ, ამიტომაც მათი უმთავრესი მისია ქრისტიანული სამყაროს დაცვა იყო. ტრადიციული მოსაზრებით ქართველი მეფეები ქრისტეს ჩამომავლები არიან, რაც სამეფო გერბზე უფლის კვართის გამოსახვით აისახება. ისრაელის იტორიაში ღმერთი იღებს ცხოველ და ქმედით მონაწილეობას, როდესაც მოსეს თავისი ერი გამოჰყავს ეგვიპტიდან და აღთქმული მიწისკენ მიჰყავს, ღმერთი თავად მიუძღვის ერს ცეცხლოვანი სვეტის სახით და ეს გადარჩენისა და გათავისუფლების მისია იკისრა თავის თავზედ მეფე თეიმურაზ მეორემ, რომელსაც არ დაუშურია ძალები, როგორც შემოქმედებით, ასევე პოლიტიკურ სარბიელზე. თეიმურაზ მეორე თავისი შემოქმედებით ემსახურება ქართველი ხალხის პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ინტერესს. მისი შემოქმედებაც რელიგიური ხასიათისაა, თუმცა, სწორედ ამ ფაქტის გათვალისწინებით, თეიმურაზ მეორის შემოქმედებაც საფუძვლიანად არ იყო შესწავლილი ეპოქის თავისებურებიდან გამომდინარე.

მეფე თეიმურაზის დაბადება დაემთხვა საქართველოში რთულ პოლიტიკურ ვითარებას. რის გამოც ქართველ უფლისწულებს ხშირად შაჰის კარზე აგზავნიდნენ აღსაზრდელად. განსხვავებული იდეოლოგიით აღზრდილი უფლისწულები სამწუხაროდ, ხშირად რჯულს დალატობდნენ, ამას კი თან სდევდა მორალური დაქვეითებაც.

თეიმურაზ მეორე დაიბადა თბილისში 1700 წელს, ამგვარად გადაურჩა თეიმურაზი გამაჰმადიანებას და ნათელილო ქართლში. ის დაიბადა ისნის ციხეში

,მტკვრის პირას . მამამისი იყო ქართლის მეფე ერეკლე პირველი (1688 — 1703), ხოლო დედა — ანა ჩოლოყაშვილი.

1703 წ. სპარსეთის შაჰმა ერეკლე პირველი ქართლის მეფობიდან გადააყენა, გაიწვია ისპაჰანს და ძველი სამფლობელოს ნაცვლად კახეთი და ყულარაღასობა (სასახლის გვარდიის სარდლობა) უბოძა. ერეკლე ბედს შეურიგდა და სპარსეთის დედაქალაქში დარჩა, ხოლო კახეთის მმართველობა მისმა ძემ დავითმა (იმამ-ყული-ხანმა) მიიღო. იმამ-ყული-ხანი იმთავითვე შეუდგა ლეკთა თარეშის ალაგმვას. პატარა თეიმურაზი კახეთში იყო და იქაურ კულტურულ-ლიტერატურულ გარემოში იზრდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ თავად , თეიმურაზი თავის თავს “უსწავლელს” უწოდებს (“დღისა და ღამის გაბაასება”, “გაბაასება რუსთველთან”):

„ ვით ხელვჰყო აღძვრად სიტყვითა ვერ სიბრძნით ღირსმან სწავლობით,
ვერცა ღრმად გამომეტყველი რიტორმან ენა მრავლობით
ვბედავ კრძალვით და რილობით გამოთქმად ართუ მძლავრობით
მადიდებთ ერთ- არსებითა ჩვენ ღმერთსა სამბრჭყინვალობით.“

მაგრამ ეს თავმდაბალი პოეტის მორიდებული განცხადებაა. თეიმურაზის ლიტერატურული მემკვიდრეობა საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ მას საკმაოდ კარგი განათლება მიუღია. კერძოდ, ღრმად შეუსწავლია ძველი ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობა და საერო-მხატვრული ლიტერატურა,

მეფე-პოეტი თეიმურაზ მეორე ,შესაძლოა თავისი შემოქმედებით ქართული სიტყვის დიდოსტატებს ვერ უტოლდება,მაგრამ როგორც ორიგინალური ხელწერის პოეტი დიდ ინტერესს იწვევს. მეფის თხზულებით დაინტერესება ,როგორც ჩანს, საკმაოდ დიდი ყოფილა თანამედროვეთა შორის. ამაზე პოეტის ცალკეული ლექსების ხელნაწერები მეტყველებს. აღსანიშნავია, რომ “დღისა და ღამის გაბაასების“ ორმოცამდე ხელნაწერით უსარგებლია ჯაკობიას, რომელმაც მოუყარა თავი მის მთლიან შემოქმედებას და ერთიან ნაშრომად გამოსცა.

მეფე-პოეტი“ მართლის თქმის“ პრინციპის დამცველია და არჩილის ლიტერატურული სკოლის ღირსეული წარმომადგენელი.

თეიმურაზ მეორეს ღვთისმეტყველება და საეკლესიო ისტორია შეუსწავლია, გაუვლია საერო-სარაინდო წვრთნა, გაწაფულა სამხედრო ხელოვნებაში, ახლოს გასცნობია ხალხის ცხოვრებას, მის ადათებსა და ზნე-ჩვეულებებს. ამიტომაც მის

შემოქმედებაში ნიშანდობლივია ქვეყნის ეროვნულ-ლიტერატურული-საკითხები. ქვეყნის პრობლემების მოგვარებას ის არა მხოლოდ ლიტერატურულ სარბიელზე, არამედ პოლიტიკურადაც ცდილობდა.

თეიმურაზმა ცოლად შეირთო ვახტანგ მეექვსის ასული თამარი, ეს იყო პოლიტიკური ქორწინება, რამაც რამდენადმე გააუმჯობესა ურთიერთობა ქართლსა და კახეთს შორის. ის ადრევე ჩაება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. სპარსეთში მყოფი ერეკლე I მალე გარდაიცვალა. დავითი ისპაჰანის გზას გაუდგა (1711 წ.), ხოლო კახეთის გამგედ თეიმურაზი დატოვა. უფლისწულის მცირეწლოვანების გამო ერთ ხანს სამეფოს დედა-დედოფალი განაგებდა.

1715 — 1722 წლებში კახეთს ისპაჰანიდან დაბრუნებული დავითი მართავდა. თეიმურაზი მხარში ედგა თავის ძმას და აქტიურად მონაწილეობდა საქვეყნო საქმიანობაში. დავითის გარდაცვალების შემდეგ კახეთის ტახტის გამო ცილობა შეიქნა, ზოგი თეიმურაზს უჭერდა მხარს, ზოგი მის ძმას კონსტანტინეს (მამად-ყული-ხანს).

1723 წელს შაჰმა კახეთის მეფედ კონსტანტინე დანიშნა. მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. ლეკთა თარეშმა იმატა. თავგასულ მებატონეთაგან შევიწროებული და გამწარებული გლეხობა ზოგჯერ თავისი მოსისხლე ლეკების მხარეზეც კი გადადიოდა. ქვეყანა ნადგურდებოდა. ოსმალნი მიემალნენ კახეთს, მოკლეს კონსტანტინე, დაარბიეს მოსახლეობა. თეიმურაზი ფშავს გაიხიზნა და რუსეთს წასვლას აპირებდა, მაგრამ კახელებმა თელავს დააბრუნეს (1731 წ.). მან მოახერხა ოსმალთა მეთაურთან საერთო ენის მოძებნა: ისაყ-ფაშამ თბილისს მოიწვია, “კეთილად შეიწყნარა და წარავლინა კვალად კახეთსავე, რათა დაადგრეს ერთგულებასა ზედა და იყოფებოდეს თელავს”.

ამასობაში სამოქმედო ასპარეზზე გამოჩნდა ნადირ-შაჰი, რომელმაც ოსმალთა წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა გააჩაღა. თეიმურაზი ნადირ-შაჰს მიემხრო. თეიმურაზსა და მის დასს, ოსმალთაგან შევიწროებულ ქართველობას სპარსეთის ბატონობა, შედარებით, მსუბუქ უღლად და ნაკლებ ბოროტებად მიაჩნდა, მაგრამ მალე გამოვლინდა “ყიზილბაშობის” ნამდვილი სახე, რის შედეგად გაძლიერდა ქართველთა ბრძოლა თვითმყოფლობისათვის.

1737 წელს თბილისისა და ქართლის სპარსელმა მმართველმა სეფი-ხანმა თეიმურაზი მზაკვრულად მიიწვია გორში, შეიპყრო და უცხოეთის შორეულ გზას გაუყენა. მწარედ მოტყუებული, სამშობლოსა და ოჯახს დაშორებული თეიმურაზი გულისტკივილითა და მწუხარებით მოგვითხრობს: ნადირ-შაჰის მიერ “საქართველოს მცველად” დადგენილმა სეფი-ხანმა “ზაკვით მიგვინდო”; შეგვიპყრო მე, ამილახვარი, ერისთავი და სხვანი და “ხელ-ხუნდებით” სპარსეთს გაგვისტუმრა. ჩაგვიყვანეს ისპაჰანს. სიკვდილს ველოდით, მაგრამ გადავრჩით; “ღმერთმან დაგვდვა საფარველი”, თუმცაღა მცირე ხანს გაგრძელდა ჩემი სიხარული; “სოფელმან უარესი მოაწია განსაცდელი”, შაჰმა შვილები მომთხოვა, კახეთში ჩაფარი გაგზავნა და ჩემი ქალ-ვაჟი დაიბარა. საგულისხმოა, რომ თეიმურაზის რელიგიისადმი წრფელი დამოკიდებულებაც სწორედ აქ ჩანს, როცა მის გადარჩენას, რაც განაპირობა ირანში დაწყებულმა შიდაარეულობამ, უფლის მფარველობად აცხადებს.

გულის სიღრმიდან ამოხეთქილი სიტყვებით გოდებს თეიმურაზი:

„სხვა ძე არ მყვანდა, გასინჯეთ, ვინც იყოთ კაცი ბრძენია,
აღარვინ მრჩება ოჯახში, ვით მოვითმინო, ძნელია?!“

ნადირ-შაჰმა თეიმურაზი ყანდაარს წაიყვანა, აჩვენა “ავი გზებია”, განაცდევინა „გზაზედა სიცხე და სიცივებია“. მალე მაშათს მისი შვილები ქეთევანი და ერეკლე ჩაიყვანეს. მამას თავზარი დაეცა, “დაუწყლულდა გული მრთელია”. მას განსაკუთრებით ის აწუხებდა და აღელვებდა, რომ “უმკვიდროდ გახდა კახეთი”. შაჰმა ქეთევანი თავის ძმისწულს მიათხოვა, ხოლო ერეკლე თან იახლა ინდოეთის ლაშქრობაში...

მძიმე მდგომარეობა მალე შეიცვალა: 1738 წელს ნადირ-შაჰმა თეიმურაზი გამოისტუმრა და მისცა კახეთი. ამ ფაქტს ასახავს პოეტის სიტყვები:

“ჯერ მფლობელ მყო კახეთისა, მერმე ქართლში მემკვიდრობით”.

თეიმურაზმა ენერგიულად მიჰყო ხელი კახეთის მართვას, წარმატებაც მოიპოვა — ქართლის ტახტი მიიღო. ქართველთა აჯანყებებით თავმოებურებულმა და რუს-ქართველთა ურთიერთობის გაცხოველებით შემფოთებულმა ნადირ-შაჰმა 1744 წელს ქართლი თეიმურაზს მისცა, ხოლო კახეთი — მის ვაჟს, ერეკლეს დაუმკვიდრა. ეს იყო ქართველ მამულიშვილთა დიდი გამარჯვება. “ციხილბაშობა” დამარცხდა, ნადირ-შაჰმა თავის ჯიქურ პოლიტიკაზე ხელი აიღო და ქართული

წესწყობილება აღადგინა, “ქართველობა შეიქმნა”. ამ ფაქტს პოეტი ორიოდ სიტყვით გვაუწყებს:

„ღმერთმან მომცა ეს სიმაღლე ნადირ-შაჰის მიზეზობით,
ჯერ მფლობელ მყო კახეთისა, მერმე ქართლში მემკვიდრობით,
კახეთშია ჩემს ძეს დასვამს, — ერეკლესა, — მეფედ ხმობით.“

1744 წელი უბედნიერესი პერიოდია ქართველი ერის ისტორიაში-აღდგა ქრისტიან მეფეთა ტახტი.“აღდგომისა და გამოხსნის „ერთი ნაწილი შესრულდა ,საქართველოს სამეფო ტახტზე ქრისტიანი მეფე დაჯდა.

ქართველებმა კარგად იცოდნენ, რომ მირონცხეზული მეფის ტახტზე ასვლა ყველა უბედურების ბოლოს მოუღებდა,ქართული სახელწიფოებრიობა ქართველ ერსა და ქართულ ეკლესიას დარაჯად დაუდგებოდ(ჯაფარიძე,2009:124)

ქრისტიანი მეფის ტახტზე დასმის ბედნიერება წილად ერგო კახელ ბაგრატიონთა სახლის შვილს -თეიმურაზ მეორეს.მემატიანე ასე ახასიათებს თეიმურაზ მეორეს -„მეფე და მპყრობელი კახეთისა ,ტომობით დავითიანი ,მოზაძავი სოლომონისა ,ზნესრული და მოყვარე ქრისტიანობისა ,მსრველი უცხო თესლთა,სადგური კეთილისა და საუნჯე რჯულისა ,მე მაღალი ხელმწიფისა ერეკლესი ,პატრონი თეიმურაზ.“(ქართლის ცხოვრება1973:68)

ამიტომაც იწება ღმერთმა ტახტი ქრისტიანული წესით დაეკავებინა ,მემატიანე მას მოსეს ადარებს ,რომელმაც ეგვიპტელთა მიერ დამონებული ებრაელები იხსნა „მსგავსადვე ღმერთმა „სცხო საცხებელი მეფობისა „თეიმურაზ მეორეს.

საგულისხმოა, რომ ჯერ კიდევ ქრისტიანული წესით კურთხევამდე მეფე თეიმურაზს ეწოდებოდა არა,“ქრისტიანი მეფე“, არამედ“ ქრისტესმოყვარე მეფე“.

ის რომ ბაგრატიონები დავით წინასწარმეტყველის სულიერ მემკვიდრეებად და შთამომავლებად მიიჩნევიან ,ეს მათ თითქოს ავალდებულებს ქრისტიანული სამყაროს დაცვას.მათი წოდებაც ამიტომ იყო „მესიის მახვილი“.

ქართველთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. კარგა ხნის მანძილზე ქართლის ტახტზე ქრისტიანი მეფე აღარ ასულა, თითქმის საუკუნის განმავლობაში ქართლი სპარსეთიდან თუ ოსმალეთიდან მოსულ მაჰმადიან მმართველებს ან გამაჰმადიანებულ ქართველ ბაგრატიონებს ეპყრათ. ამიტომაც თეიმურაზის ქართლის მეფედ კურთხევა ეროვნულ დღესასწაულად გადაიქცა.

ანტონ კათალიკოსმა მოიძია უძველესი ქართული წესები მეფეთ კურთხევისა და საგანგებო დღესასწაულისათვის მოემზადნენ, გახარებულმა მოსახლეობამ მორთო მოედნები, ქუჩები, სახლები. მეფის კურთხევის ცერემონიალი სვეტიცხოველში გაიმართა. რამდენიმე დღე გრძელდებოდა ეს ცერემონიალი დიდი ზეიმისა და ღონისძიებების შემდეგ მეფე აკურთხეს: მირონი სცხეს შუბლზე გულსა და ბეჭებზე, შემოსეს სამეფო შესამოსლით, დაადგეს გვირგვინი, აზიარეს და წირვის შემდეგ ეკლესიაშივე საგანგებო ტახტზე დააბრძანეს. ეს ყოფილა სვეტიცხოველობას, ანუ 1744 წლის 1 ოქტომბერს. ხოლო, იმავე წლის დეკემბერს საქართველოს ცაზე სასწაული გამოჩენილა: „ერთი უცხო და საკვირველი ვარსკვლავი გამოჩნდა, რომელი არასოდეს ნახულიყო, ცისკრის ოდენი სიბრჭყინვალეც მას უგვანდა, ასეთი სხივი აეშვირა, რომ მაშხალასავით მისდევდა, უცხო რამ იყო, რომ ყოველს უკვირდა, პირველსავე ღამეს ამოვიდის, ისევ დასავლეთის კერძო მალე ჩავიდის მიმავალსა გვანდა, რომ ყოველმან მაყურებელმან შეიტყვიან მიმავლობასა, დეკემბერს გამოჩნდა, თებერვლის ნახევრობამდისინ ჩანდა ქვეყანასა ქართლისასა და მერე უჩინარ იქნა.“ (პაპუნა ორბელიანი).

საზეიმო კორონაციამ ქართველებზე ძლიერი შთაბეჭდილება მიახდინა, ყველა აქებდა ღმერთს, რომელმაც ხალხს თეიმურაზის სახით მხსნელი მოუვლინა აგარიანთა ტყვეობისაგან (ყორდანია „ანტონ I“)

„ადასრულა ბრძანება სახარებისა, მიუტევა შემცოდეთა ცთომა თვისი, მხიარულყო ყოველნი, ადიდებდნენ ღმერთს დასნი სამღვდელონი ანუ გუნდნი ერთანი,“ ვითა გამოგვიჩინა ესე მოწყალე თკბილგონებითა მეეო“

თეიმურაზამდე საუკუნე-ნახევრის მანძილზე არც ერთი მეფე სჯულის შეუცვლელად არ ასულა ტახტზე. ალბათ ეს იქნებოდა ტახტის მაძიებლის გზაზე თეიმურაზის პასიურობის მიზეზი. უნდოდა მიწიერი დიდება, რადგან უფალი ამბობს: „პირველად ეძიებდეთ სასუფეველსა ღმრთისასა და დანარჩენი ყოველი მოგეცემაო“, ამიტომაც მისცა მას მიწიერი მეფობა უმტკივნეულოდ. საქართველოს სამეფო ტახტზე ბაგრატიონთა დინასტიის დამკვიდრება ჭეშმარიტად ბიბლიური პარადიგმაა, საქართველოში მეფობა ერთადერთ დინასტიას – ბაგრატიონებს დაუმკვიდრა, როგორც გრიგოლ ხანძთელი ამბობდა: „მეფის არჩევანი არის საქმე ღვთის განგებისა“ (კეკელიძე, 1956:318).

ქართველი ერის ქრისტიანულ არსზე დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწე და მწერალი ილია ჭავჭავაძე წერს: „ქრისტე ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენ ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის ,ამ პატარა საქართველოს გადავუღღებთ მკერდი და ამ მკერდზე, როგორც კედელზე დავუდგით ქრისტიანობას საყდარი,ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ,კირად ჩვენი სისხლი და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი.გავწყდით გავიჟლიტენით ,თავი გვწირეთ ,ცოლშვილნი გავწირეთ უსწორო ომები ვაწარმოეთ ,ხორცი მივეცით სულისათვის და ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შემოვინახეთ „.....ყველა ეს შევძელით და საკითხავად საჭიროა ,რამ გვიხსნა?,რამ შეგვაძლებინა? ჯვარცმული ქრისტესათვის როგორ გადავცრჩით ...რამ გვიხსნა ?რამ შეგვინახა „....და პასუხობს იგი ,რომ ქართველები მართლმადიდებელმა ქრისტიანობამ ,სარწმუნოებამ გადაგვარჩინა (ჭავჭავაძე, 11984:74)

აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიაში ახალი ხანა დაიწყო, თეიმურაზი თანდათან აწესრიგებდა შიდა არეულობას. ქართლ-კახეთი არსებითად გაერთიანდა მამა-შვილის ხელში. თეიმურაზისა და ერეკლეს ბრძნული პოლიტიკით, შეთანხმებული საქმიანობითა და გონივრული მმართველობით მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა. ქვეყანა აღმავლობის გზას დაადგა. თავდაცვისუნარიანობის გაზრდამ და მოძალებული მტრის მრავალგზისმა დამარცხებამ ქართლს, ნაწილობრივ, აღუდგინა ძველი სახელი.

ვიყავ ქართლშიგან, მტრისაგან ერთს ალაგს ვერ დავდგებოდი,
იქით და აქით მუდამით ვლაშქრობდი, ვიარებოდი,
ავისა დროს და ჟამისგან ჯარშიგან ვიარებოდი, —

აღნიშნავდა პოეტი და, მართლაც, დღენიადაგ ქართლის კეთილდღეობის სადარაჯოზე იდგა და მის დაცვასა და ძლიერების განმტკიცებაზე ზრუნავდა. თეიმურაზ მეორე თავის პოემაში განსაკუთრებული ფსიქოლოგიური განცდებით აღწერს იმ ადგილებს, სადაც გადმოცემულია პოეტის მშობლიური ქვეყნის გაპარტახებით გამოწვეული სევდა-ნალველი. დიდმა პოლიტიკოსმა და მგრძნობიარე პოეტმა სამარეში ჩაიტანა დამსხვრეული იმედები და სამშობლო ქვეყნის ღრმა სიყვარული. მის ხანგრძლივ ბრძოლას სპარსეთის წინააღმდეგ უნაყოფოდ არ ჩაუვლია,თავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში გამოიბრძმედა და გამოიჭედა ქართველი ხალხის ნებისყოფა. თეიმურაზმა მტერს ქედი არ მოუხარა ,შეუბღალავად

შეინარჩუნა თავისი ეროვნული და სახელმწიფოებრივი ღირსება. ქვეყნის ბედით დამწუხრებული პოეტი ლიტერატურული საქმიანობით იქარგებდა მოწოლილ სევდას. ამის მიუხედავად უყურადღებოდ არ რჩებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება. ის ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა მტრების მოსაგერიებლად. მეფე-პოეტი, ამავდროულად, აქტიურ საგარეო პოლიტიკას ეწეოდა. სამწუხაროდ, ამ მცდელობამ ნაყოფი ვერ გამოიღო. განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდა ერთმორწმუნე რუსეთზე, რომელთანაც ელჩების საშუალებით მიმოწერა გააჩაღა და ცოცხალი კავშირი დაამყარა სამეფო კართან. ის იმ დროისათვის სწორად ხედავდა რუსეთის როლს ამიერკავკასიის ხალხების დაცვის საქმეში სპარსეთ-ოსმალეთის აგრესიისგან. თუმცა, იმ დროისათვის არ შედიოდა რუსეთის საგარეო პოლიტიკურ ინტერესებში აღმოსავლეთის ქვეყნებთან დაპირისპირების წამოწყება.

გარდა მტრებთან გაუთავებელი ბრძოლებისა, თეიმურაზ მეორე ზრუნავდა ერის სულიერ გადარჩენასა და აღდგენაზე. გაიხსნა ახალ-ახალი საპატრიარქო სკოლები და ეპისკოპოსები ვალდებულები იყვნენ ხალხისათვის წერა-კითხვა ესწავლებინათ. გაიხსნა სასულიერო პირების მოსამზადებელი სკოლებიც. ასე, თანდათან თავისუფლდებოდა საქართველო აზიური უღლისაგან. თეიმურაზ მეორის დაინტერესება რელიგიური საკითხებით განპირობებული იყო იმ იდეით, რომ რწმენაშერყეულ ქართველებში გაეცოცხლებინა რელიგიის სიყვარული. მან შექმნა თხზულება, რომელიც ერთობ სამომდგროცაა. ამით მან სცადა გამოეხატა თავისი მოქალაქეობრივი ვალი. ეს ნაწარმოები გახდა ჭეშმარიტი ქართველისთვის თვისებების სახელმძღვანელო ქრისტიანული მრწამსის ჩამოსაყალიბებლად.

თეიმურაზ მეფის მოღვაწეობა სამეფო ტახტზე ადვილი ნამდვილად არ ყოფილა. გარდა პოლიტიკური ომებისა, ქვეყანაში თავი იჩინა ეკლესიათა შორის განხეთქილებამ, რაშიც დიდი როლი ითამაშეს კათოლიკე მისიონერებმა. თეიმურაზ მეორემ მათ წინააღმდეგ ომი გამართა, რამაც მალე ცუდი შედეგი გამოიღო. კათოლიკე მისიონერები ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ მეფისათვის, მათი მტრობა მართლმადიდებლობის მფარველი მეფისადმი საუკუნეების შემდეგაც გრძელდება.

საოცარი ბრძოლის უნარი და გამძლეობა აღმოაჩნდა მეფე-პოეტს, რადგან ის იყო უდიდესი შინაგანი ბუნებით დაჯილდოვებული, არ გატეხილა და არ შეშინებია არანაირ წინააღმდეგობას, არ გათელილა ცხოვრების მძიმე მარწუხებში. მას მკაცრ და

არეულ დროში მოუწია ცხოვრება და ამ რეალობას ვერსად გაექცევოდა. ამიტომაც, ეს გზა მის სულსა და გონებასაც დაემჩნა .ეს იყო გზა ,რომელმაც ბევრი ადამიანის ბედი განსაზღვრა ,მაგრამ მეფეს გულში შიში მაინც არ შეუშვია,ბედის წინაშე ქედი არ მოუხრია. აღორძინების ხანის ეპოქაში არაერთი ქართველი მეფე-პოეტი თავისი ნიჭისა და უნარის შესაბამისად იღწვის ეროვნული ლიტერატურის სარბიელზე. საისტორიო მწერლობამ მოგვცა მრავალფეროვანი ნააზრევი,რომელთა შორისაც განსაკუთრებული ადგილი თეიმურაზ მეფის თხზულებებს უჭირავს. ის თავის შემოქმედებაში,მხოლოდ აწმყოთი გამოწვეული ტკივილის დაამებას კი არ ცდილობდა,არამედ მიზნად ისახავდა თანამედროვეებში განემტკიცებინა შინაგანი ძალების რწმენა,რომ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას გადაშენება არ ეწერა..მეფე-პოეტ თეიმურაზ მეორის შემოქმედება ჯერ კიდევ არაა სათანადოდ შესწავლილი და გაანალიზებული. ამიტომ ყოველი ახალი კვლევა ახალი კუთხით წარმოაჩენს ამ უდავოდ გამორჩეული ხელწერის მქონე შემოქმედს.

თეორიულად ბევრი რამის თქმა შეიძლება, ვარაუდი სწორ დასკვნებს არ გამორიცხავს, მაგრამ მაინც ძნელია იმის დანახვა და სააშკარაოზე გამოტანა,რასაც ნიჭი ჰქვია ,რაც ამოუხსნელი იდუმალებითაა მოცული ,და ეს იდუმალება ,ეს თვალთ დაუნახავი კაცური სიდიადე ნიჭით დაჯილდოვებულ ადამიანს გაჭირვებისაგან და უამრავი საფრთხისაგანაც კი იცავს .

თეიმურაზი და ერეკლე გარეგნულად სპარსული ორიენტაციის გზას ადგნენ, სინამდვილეში კი რუსეთისაკენ ისწრაფოდნენ. წინააღმდეგ რეაქციული წრეებისა, რომლებიც სპარსეთსა თუ ოსმალეთს ემხრობოდნენ, ქართლ-კახეთის მეფეები საქართველოს დამხმარედ მხოლოდ რუსეთს თვლიდნენ. მათ კარგად იცოდნენ, როგორ დაისაჯა კახეთი ალექსანდრე მეორისა და თეიმურაზ პირველის რუსეთისაკენ სწრაფვის გამო. ნათლად ახსოვდათ, რა დღე დაადგა რუსეთთან კავშირისათვის ვახტანგ მეექვსეს, მაგრამ, მწარე გაკვეთილების მიუხედავად, თეიმურაზმა და ერეკლემ სპარსეთ-ოსმალეთის გარემოცვის პირობებში კვლავ რუსეთი აღიარეს საიმედო ძალად. მათი სამართლიანი დასკვნით, ქართველთა თვითმყოფობის შესანარჩუნებლად აუცილებელი იყო რუსეთთან დაკავშირება.

თეიმურაზი და ერეკლე გრძნობდნენ, რომ კულტურულად და ეკონომიურად ჩამორჩენილი მაჰმადიანური აღმოსავლეთის საპირისპიროდ რუსეთი ერთადერთი

ძალა იყო, რომლის მფარველობითაც ქართველობას შეეძლო ეროვნულ-კულტურული თვითმყოფობის შენარჩუნება

მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდისათვის რუსეთი საკმაოდ ძლიერი ქვეყანა იყო, ძლიერი არმიითა და კარგი შეიარაღებით, მას პრუსიის მეფე დიდ საშიშროებას უქმნიდა, ამასთან ოსმალეთი მისგან მოითხოვდა არ ჩარეულიყო საქართველოს საქმეებში. ის მუდმივად აკონტროლებდა რუსეთის ყველა ქმედებას, რათა არ ეწოდებინათ ქართველი მმართველებისათვის მეფეები.

თეიმურაზმა ადრევე დაამყარა კავშირი ჩრდილოეთის ერთმორწმუნე ქვეყანასთან და არაერთი ელჩი გაგზავნა რუსთა სამეფო კარზე (1736 წელს - ოსებ გიორგის ძე, 1752 წელს — ათანასე ამილახვარი და ა. შ.), ხოლო 1760 წელს თვითონ გაემურა პეტერბურგისაკენ, გაიარა საქართველოს სამხედრო გზა და 130 კაცის თანხლებით ყიზლარში ჩავიდა .

ქართლის მეფის რუსეთის საზღვრებში გამოჩენამ პეტერბურგის სამეფო კარზე დაბნეულობა გამოიწვია: რუსეთი შვიდწლიან ომში იყო ჩაბმული და ოსმალეთის გაღიზიანებას ერიდებოდა; ქართლის მეფესთან კეთილ დამოკიდებულებას შეეძლო უარყოფითი გავლენა მოეხდინა რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობაზე... თეიმურაზი კარგა ხანს ყიზლარში გააჩერეს, შემდეგ ასტრახანში გადაიყვანეს და მთელი შემოდგომა იქ აცდევინეს.

დიდი წვალეების შემდეგ თეიმურაზი ჩავიდა პეტერბურგში და რუსეთის სამეფო კარს სპარსეთის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის გეგმა წარუდგინა, მაგრამ ამას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია...

ელისაბედ პეტრეს ასულმა პატივით მიიღო ქართლის მეფე. თეიმურაზი ახლოს იყო სამეფო კართან, მონაწილეობდა იქაურ საზეიმო შეკრებულებებში, ესწრებოდა სპექტაკლებსაც (პეტერჰოფში) რუსეთში ჩასული თეიმურაზ მეფის პირველი თხოვნა გუბერნატორისადმი იყო, საკათედრო ტაძარში წირვაზე დასწრება. აქ პირველად ხვდება ის ასტრახანისა და სტავროპოლის ეპისკოპოსს. ამის შემდეგ წირვას ესწრება წმ.ნიკოლოზის სასწაულმოქმედის სახელობის ეკლესიაში, მეორე დღეს ფერიცვალების მონასტერში, ასევე ესწრება წირვას ასტრახანის კრემლის საკათედრო ტაძარში, სადაც ეპისკოპოსს მეთოდეს წირვას მოისმენს, რომელთანაც მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს, აშკარაა მათ შორის, სწორედ მას მოუწია უკანასკნელი

სავანის მიცემა მეფისათვის, სადაც საუკუნეების შემდეგ მეფის ნეშოს უხრწნელად მოიპოვეს.

ასტრახანიდან მეფე მოსკოვს მალე გაემგზავრა, დიდად ჩქარობდა მეფე, თუმცა გზაზედ შესვენებებისას ის ესწრებოდა წირვას.საინტერესოა ის ფაქტი,რომ მეფეს დიდი პატივით ხვდებოდნენ ეკლესიაში მღვდელმთავრები.1761 წლის აპრილს შემდგარა აუდიენცია თეიმურაზ მეფესა და იმპერატრიცა ელისაბედს შორის. იმპერატორზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია თეიმურაზ მეორის ნახვას,რომ მას მაშინვე ბრძანება გაუცია მისი პორტრეტის დახატვისა,მეფის სურათი დაუხატავს სასახლის კარის მხატვარს,ალექსი პეტრეს ანტროპოვს. საოცარია, ორი საუკუნის შემდეგ მეფის აკლდამის გახსნისას ეს სამოსელი ემოსა. რაც შეეხება პორტრეტის ბედს, როგორც ვიცით, ქართველი მეფეებისა და წარჩინებული ადამიანების სურათებით,ფერწერული ტილოებით მათი ფრესკებით გათამამებულნი არ ვართ. თუმცა ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს თეიმურაზ მეორის პორტრეტი,რომელმაც დიდი გზა გამოიარა გზა ბრიტანეთიდან საქართველომდე ნახატი 2018 წლის 9 სექტემბერს გამოჩნდა მსოფლიოს ერთ-ერთ ცნობილ ონლაინ გალერეაზე,ამ ნახატის გამყიდველი იყო ბრიტანელი „დანიელ ჰართ ფაინ ართ გალერი“,რომელსაც არ ჰქონდა აღნიშნული ვინ იყო დახატული ამ პორტრეტზე, თუმცა მისი ფასი იყო 136 ათასი ფუნტი სტერლინგი და დათარიღებული იყო1760 წლით. ნახატის პასპორტში წერია,ეს მდიდრულად გაფორმებული სურათი გახლავთ ისპახანური სკოლის ერთ-ერთი ნიმუში რომელიც თარიღდება მე-18 საუკუნით. თუმცა ფაქტია ,რომ არანაირ უცხო პირზე არ იყო საუბარი და ეს იყო ჩვენი ისტორიისათვის ძალიან მნიშვნელოვანი პირი, მაგრამ არსად ,არც პასპორტში და არც ონლაინ გალერეაში არ იყო აღნიშნული,რომ ეს ქართლ-კახეთის მეფის თეიმურაზ მეორის სურათია. ფაქტია,ეს რომ ასე ყოფილიყო პორტრეტის ფასი აუცილებლად გაიზრდებოდა, თუმცა საინტერესოა, როგორ აღმოჩნდა სურათი ინგლისში. როგორც ირკვევა ეს სურათი თავდაპირველად გერმანული ოჯახის საკუთრება ყოფილა,რომელსაც ის გასაყიდად გამოუტანია.აქ შეუძენია პორტრეტი ბრიტანეთში წამყვან არტ დილერს დენიელ ჰალვ ჰადს და იგი თავის გალერეაში ორიენტალისტური მხატვრობისათვის განკუთვნილ ადგილას განუთავსებია. ამ პორტრეტის აღმოჩენის ისტორია კი საკმაოდ საინტერესოა,რომელიც ერთ-ერთ

ექსპერტს უკავშირდება. მას ავტობუსით მიმავალს დაუნახავს ეს პორტრეტი, გადმოსულა, გასაუბრებია გალერეის დირექტორს და ამის შემდეგ პორტრეტი საგამოფენო დარბაზებში საპატიო ადგილს იკავებს. აქამდე მე-18 საუკუნის ისპაჰანური სკოლის ნიმუში ქერიმ ხან ზენდის პორტრეტად მიჩნეული პორტრეტი რუსი მხატვრის მიერ შესრულებული ქართველი მეფის თეიმურაზ მეორის სურათია. მეფე იმავე წელს რუსულ სტამბას სტუმრებია. საინტერესოა, რომ მეფისათვის საჩუქრად გადაუციათ არა ორიგინალი, არამედ გრავიურა, რომელიც ამ პორტრეტის მიხედვით იყო დამზადებული. გრავიურას აქვს წარწერა რომ ეს გრავიურები შესრულებულია ალექსანდრე ანტროპოვის ნახატის მიხედვით. ეს გრავიურები იყო რამდენიმე ეგზემპლარი, სამწუხაროდ ,ქვა რომელზეც ეს გრავიურა იყო გამოხატული, მეორე მსოფლიო ომის დროს განადგურდა, გადარჩა მხოლოდ რამდენიმე ცალი და ისინი ინახება რუსეთის ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდში. გრავიურა ,რომელიც ბროსეს უნახავს 1853 წელს რუსეთის აკადემიის წიგნის მაღაიაში, წერდა, რომ მეფის საფლავზეც იგივე წარწერა იყო,რაც გარავიურაზე.რაც შეეხება ქართველ მეცნიერებს ისინი თეიმურაზ მეფეს სწორედ ამ გრავიურით იცნობდნენ და იცოდნენ, რომ რუსი მხატვრის მიერ შესრულებული სურათი გაურკვეველ ვითარებაში დაიკარგა. საინტერესოა მსგავსება პორტრეტსა და გრავიურას შორის, გრავიურას აქვს წარწერა ,თუმცა პორტრეტზე არანაირი წარწერა არაა,მაგრამ ყველა დეტალით, სამოსი,ღიღების რაოდენობა,ორნამენტები, გავს ერთმანეთ. (იხ.დანართი N 2.3) .

ნახატზე გრავიურასთან შედარებით ცოტათი ახალგაზრდად გამოიყურება. მას შემდეგ ,რაც დადგინდა პორტრეტის იდენტობა რუსი მხატვრის მიერ შესრულებულ ქართველი მეფის სურათთან გადაწყდა მისი საქართველოში დაბრუნება,რასაც წინ უძღვოდა რთული და გრძელი მოლაპარაკებები,თუმცა ჩვენდა სასიხარულოდ ეს პორტრეტი დღეს საქართველოშია,როგორც საპატიო მეფის საპატიო პორტრეტი.

[“https://www.youtube.com/watch?v=Rrj2Zmk98fw&feature=share](https://www.youtube.com/watch?v=Rrj2Zmk98fw&feature=share)(2019,21 ივლი).

მამა შვილს მუდმივად ჰქონდათ კავშირი რუსეთთან. მეფე თეიმურაზი რუსეთისაგან სამხედრო დახმარებას ითხოვდა ოსმალეთისა და სპარსეთის წინააღმდეგ, ან ფინანსურს, რითიც შეძლებდა დაეპირავებინა მუდმივი ჯარი,თუმცა,მიუხედავად იმისა რომ საქართველოსთან ურთიერთობა რუსეთის

ინტერესშიც შედიოდა რუსეთი მინც არ ჩქარობდა და არც ქართველი მეფის უარით გასტუმრებაც არ სურდა ,ფაქტია, რომ მეფის რუსეთში ვიზიტს გაფაციცებით ადევნებდა თვალს ოსმალეთი და სომხეთის დიასპორა, რომელთაც თავის სასარგებლოდ სურდათ საქართველოს მდგომარეობის გამოყენება ,მეფე კი მოთმინებით ელოდა რუსეთის პასუხს ,“რუსეთის მთავრობა ევროპაში ვითარების შეცვლას ელოდებოდა,თეიმურაზ მეფე-რუსეთის მთავრობის პასუხს“. თეიმურაზ მეორე ეწვია პეტერბურგის აკადემიის სტამბას. სტამბის თანამშრომლებმა პატივისცემის ნიშნად მეფეს სახელდახელოდ ქართულ-რუსულ ენებზე შედგენილი მისალმების ფურცელი აუწყეს.

<https://www.youtube.com/watch?v=Rrj2Zmk98fw&feature=share>(2019,21 ივლი).

პეტერბურგში მეფის ლოდინს უკვალოდ არ ჩაუვლია ,მან ამ პერიოდში შექმნა ბევრი ლიტერატურულ-პოლიტიკური ნაშრომი,ასევე ამის ნათელ მაგალითს იძლევა შემდეგი ნაწარმოებები;“კიდურწერილობა“,ანბანთქება“,და „გაბაასება რუსთველთან“ სამივე პეტერბურგშია დაწერილი1761 წელს ,სამივეში ერთი და იგივე ქალი ყავს შექმნილი. მეფე-პოეტის თხზულებათა განხილვისას მკვლევარები უპირატესობას ანიჭებენ,სწორედ,რუსი გენერლის ალექსანდრე ბუტურლინის ულამაზეს ასულბარბარეს საქებრად შექმნილ ლექსს. მათივე განმარტებით,ისინი გამოირჩევიან „გრძნობათა სიღრმითა“და „გარეგანი მოხდენილობით“.სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია,რომ ბარბარე ბუტულინას შექმნით,ქართულ მწერლობაში პირველად გამოჩნდა რუსი ქალის სახე.თხზულებაში ვხედავთ რუსი ქალისადმი ხორციელი სიყვარულის ამსახველ გრძნობას თავისებური ფორმით.

ბარბარეს მშვენირებით გონებადაკარგული პოეტი რუსთთაველს მიმართავს ჩივილით; „მე უსწავლელსა ვით მეძლოს,ბრძენს უნდა ექო მისი ციმციმი და ბრწყინვალებაო“და ასეთ გრძნად მას მიჩნია რუსთაველი.ამიტომაცაა,რომ რუსთაველის ნიჭის დიდი თაყვანისმცემელი თითქოს საყვედურობს კიდევ რუსთაველს. მისი აზრით რუსთაველი“ დაშრა ტყუილზედ“,მის პოეტურ ღირსებას უფრო მეტი მნიშვნელობა ექნებოდა,რეალური ცხოვრება,რომ აღეწერა და მონაჭორი ამბების გალექსვაზე არ გარჯილიყო. თეიმურაზის თქმით მას უნდა შეექო არა გამოგონილი გმირები,არამედ რეალური არსებანი მაგალითად ბარბარე ბუტურლინა:

„შენი ნათქვამი საღმრთოდ,თუ საეროდ მოიხმარების,

სჯობდა მას ზედა თქმულიყო,ვის მზე არ შეედარების,
ევროპიაში რომელსა ბნელი არ მიეკარების,
ვინც რომე ნათლობს ნიადაგ,შუქი არ დაემალების“

თეიმურაზის ასეთი სიყვარული უცნაურიც კია,რამეთუ ის ბატურლინას დას უწოდებს და აქვე უძღვნის შემდეგ სიტყვებს,რომელიც „კიდურწერილობაში“ აქვს აღწერილი;“ესრეთ ვერ გკადრე ,უცილოდ ძმურად ყე მოგებზეოდი“.პოეტი თუ დასავით საყვარელს უწოდებს ქალს,რომელსაც მთელი გულით ეტრფის, საკმაოდ ნატურალისტურადაც,კი აღწერს მის სილამაზეს,ბაგე-კბილთა ელვარებას,თვალ-წარბის ეშხს,თუ საკუთარ სულიერ მდგომარეობას. ცხადია, პოეტს უყვარს უანგაროდ და არც თუ უიმედოდ. მოისმენს,რა ბარბარეს ქება-დიდებას რუსთაველი,ასკვნის,რომ ამ ქალს ის მართლაც ღირსეულად შეამკობდა,ცოცხალს რომ ეხილა. თეიმურაზი,როგორც არჩილისა და მისი სკოლის მიმდევართა მსგავსად უარყოფს და გმობს ზღაპრულ-გამოგონილ ამბებს. ამ პერიოდის თეიმურაზ მეფის შემოქმედება საკმაოდ საინტერესოა, რომელიც,როგორც თავად ამბობს ერთ-ერთ ლექსში, შეჭირვების ჟამს დარდს განიქარვებდა ხოლმე,მისი „დღისა და ღამის გაბაასების“ შესახებ ლევან მენაბდე აღნიშნავს : „შეიძლება ითქვას ,რომ ასე უხვად და ასე სრულად ქართველთა შესახებ ეთნოგრაფიული მასალა არც ერთ სხვა მხატვრულ ძეგლში არა გვაქვს,ამდენად ამ ნაწარმოების მნიშვნელობა ძველ ქართველთა ყოფაცხოვრების შესასწავლად ძალზე დიდია“.მეფის სულიერი სიღრმე ჩანს მის შემოქმედებაში ,თუმცა უნდა გამოვყოთ „განზრახვანი და ვედრებანი“.

“ჰოი ტკბილო იესო ქრისტეო ,ღმერთო ჩემო,მამისა დიდებო და ბრწყინვალეზო და მზეო სიმართლისაო, მთასა ზედა გოლგოთას სოფლისა ხსნისათვის სული შენი განუტევე ...მომეც მე სიყვარული შენი, რაითა მარადის გულსა შინა ჩემსა მტკიცედ მაქვნდეს და მით მოვაკვდინო საცთურნი ხორცთანი და სამარადისოდ შენთანა მკვიდრ ვიყო..“(ჯაკობია,1939).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ თეიმურაზის ვიზიტს გაფაციცებით ადევნებდა თვალს სომხური დიასპორა ,რამეთუ მათ თავიანთი ინტერესები ამოძრავებდათ ამ საკითხთან დაკავშირებით,ისინი სარგებელს ეძებდნენ ,სომხური დიასპორის ერთი ნაწილი სქართველოს გაძლიერებით ფიქრობდა თავიანთი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენას ,თუმცა ისინი ასევე ფიქრობდნენ რომელიმე ძლიერი

სახელმწიფოს ქვეშევდომრობაში შესულიყვნენ (რუსეთი,ირანი)თუნდაც საქართველოს გაუქმების ხარჯზე მომხდარიყო ეს .საბოლოო ჯამში ჩვენთვის, რათქმაუნდა, უცნობია სომეხთა სრული გეგმა,თუმცა შედეგების გაანალიზების შემდეგ სულ სხვა სურათს ვხედავთ.

ამჯერად მართლმადიდებელი იმპერატრიცა ელისაბედი ელოდება შესაფერის დროს, რათა განახორციელოს გეგმა ,ქართველი მეფის თეიმურაზისა ,თეიმურაზიც იცდის,მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი, 1761 წლის 25 დეკემბერს, 53 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა, იმპერატრიცა ელისაბედი ,იმპერატრიცის გარდაცვალებიდან 14 დღის შემდეგ, 8 იანვარს, 62 წლის ასაკში, ასევე მოულოდნელად გარდაიცვალა მეფე თეიმურაზ მეორე.

თეიმურაზ მეფის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ოფიციალურ დოკუმენტებში აღმოჩნდა ქართულად შედგენილი ცნობა, საოცრად უჩვეულო თავისი შინაარსით, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ მეფის წინააღმდეგ შეთქმულებას ჰქონდა ადგილი.

„ქართ-კახეთის მეფე თეიმურაზ, რა ნებითა ღვთისაითა ამიერ სოფლით განსულასა განემზადა დასულით ბრძოლის წარკითხვის უკან მარჯვნივ კერძო მიწვა და მოჩქარებით უკაფიოდ საუბარი რამ იწყო და რა ყური მივუგდეთ,ვსცანით,რომ ლოცვას ამბობდა „მერე თითოს წამოჯდა ნახევრად და კვლავ გამართულად დაუწყია საუბარი,ცოტა ხნის მერე ისევ მიწოლილა და კვლავ დაუწყია გაუმართავი ლოცვა, მაშინ მღვდელს უთქვამს :“თუ ენით ვერა სთქვამ გონებაში გქონდესო წმიდად უპასუხა -მესმის და გულში მაქვსო და ამას უკან მითამც კარგი ლაპარაკი მოუმატა“

.მეორე ვერსიაში რომელიც ამბორ ნეკრესელს ეკუთვნის წერია:

„იმ დიდებულის ადგილის მიცვალების ჟამს, ღვთის-მშობლის ხატი სადმე მიასვენებინა და შესტირა, დიად წმიდისა და მართლის ცრემლითა, რომ მე ხომ გამოვესალმე ეს არის იმ ქვეყანასო ,იმათის სიყვარულისთვის თავი დავდეო ;რომ ეს დიდებული ხელმწიფე შეეწიოს და მტერი დაუმაბლოს :მაგრამ ახლა ჩემს სულსაც გავედრებო და ჩემი ერეკლეც შენთვის მომიბარებიაო!იმ საქართველოს ერს შენი წილ-ხვდომილობა გაუახლეო და ჩემი შვილი,და ის ქვეყანა გამოიხსენო იმდენის

შეწუხებისაგანო! ჰოოი,მართალო მეფის თეიმურაზის ცრემლო ,ჩვენი ქვეყნის მტერთ შეწუხებისაგან გამომხსნისათვის ვედრებავ!“

(პაიჭაძე ,2019:95).

თეიმურაზ მეფის ანდერძის თანახმად, მისი ცხედარი წამოასვენეს საქართველოში,საარქივო დოკუმენტებში თეიმურაზის ცხედრის შესახებ საინტერესო დოკუმენტები ინახება, რომელშიც ვკითხულობთ, მეფეს ბალზამირება გაკეთებია პეტერბურგში. ბალზამირებიდან სამი თვის განმავლობაში მეფეს მოასვენებდნენ ფისით შელესილ ტყავგადაკრული კუბოთი.ასტრახანში ჩასული ამაღა მეფის დაკრძალვას ითხოვს ,რადგან გვამმა ხრწნა დაიწყო.ე.ი. ბალზამმა თავისი მოქმედება დაასრულა. 1762 წელს ასტრახანში მეფის თანმხლები ამაღა გადაწყვეტს მეფის დაკრძალვას,ცერემონიალს ეპისკოპოსი მეთოდე ხელმძღვანელობს, საკათედრო ტაძართან სხვა მღვდლებიც მიეგებნენ, ცხედარი დაასვენეს ოქროქსოვილით გადაფარებულ სარეცელზე,შეაბრძანეს საკათედრო ტაძარში და ვახტანგ მეექვსის საფლავის გვერდით დაასვენეს ,ცხედარს შეუსრულეს ყველა წესი და ასტრახანის მიძინების ტძრის ქვედა სართულზე ვლადიმირის ღვთისმშობლის ხატის სახელობის სალოცავში მეფე ვახტანგ მეექვსის გვერდით დაკრძალეს.

ოფიციალური დოკუმენტების თანახმად ქართველმა თავადებმა ეპისკოპოს მეთოდეს 30 მანეთი შესწირეს და მეტი არაფერი,არანაირი ქელები არ გაუმართავთ დაკრძალვის დასრულებისთანავე სხვებთან ერთად დატოვეს ტაძარი და თავიანთ სახლებში გაემართნენ, რამაც,როგორც ჩანს დიდად გააკვირვა რუსები.(პაიჭაძე,2019:97).

ასტრახანში მეფეთა სამარხებს კარგა ხნის მანძილზე უვლიდნენ ტაძარში, მაგრამ ჟამთა ცვლილებასთან ერთად მოიშალა წარწერებიცა და ძეგლებიც,შემდეგ შენობაც სხვადასხვა დანიშნულებისათვის გამოუყენებიათ, ბოლოს ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი ასტრახანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისათვის გადაუციათ, მუზეუმს, რათქმაუნდა, სარესტავრაციო სამუშაოები დაუწყია ამ სამუშაოების დროს აღმოჩენილა ქართველ მეფეთა სამარხებიც.ამიტომაც გადაწყვიტეს მოეწყოთ გამოფენა ,რადგან დარწმუნებულნი იყვნენ,მნახველი ბევრი ეყოლებოდათ, მეფეთა სამარხების გახსნა იყო საჭირო,და ამის შემდეგ მეფეთა ნეშთი იმავე ტაძარში

დაესვენებინათ. მოიწვიეს ქართველი მეცნიერები. ამ მისიით 1973 წელს ასტრახანში, ჯავახიშვილის სახელობის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტიდან გაგზავნეს: პროფესორი გიორგი პაიჭაძე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი-ვახტანგ ჯაფარიძე და ფოტოფიქსაციის ლაბორატორიის გამგე - ნ.არჩვაძე. მეფე ვახტანგ მეექვსის სამარხის გახსნისას წააწყდნენ მეფის ცხედრის ცალკეულ ნაშტებს, ხოლო „როდესაც თეიმურაზ მეორის სამარხი გაიხსნა, გიორგი პაიჭაძე და ვახტანგ ჯაფარიძე ნანახს იხსენებენ „როგორც მოულოდნელსა და სასიამოვნო სასწაულს, ნაშრომში-ქართული ისტორიული ძეგლები ქალაქ ასტრახანში (თბილისი, 1974:17) „თვალწინ წარმოგვიდგა თეიმურაზ II თავის მდიდრულ სამეფო ტანსაცმელში, რომელიც დაუზინებლად იყო მოღწეული ჩვენამდე. მიცვალებული იწვა გულაღმა, თავით დასავლეთისაკენ, ხელები ეწყო ჯვარედინად, ცოტა მკერდს ქვემოთ. 211 წლის შემდეგ ნეშტს შემხმარ კანზე შერჩენილი ჰქონდა მოკლე და ჭაღარა წვერი. „ულვაშები, შეთხელებული თმები და წარბები....

სრულიად განსაკუთრებული იყო მისი სამეფო ტანსაცმელი, ეს იყო თეთრი ფერის სამეფო ქსოვილისაგან შეკერილი სამეფო კაბა, შემკული მცენარეული სახეებით - ვერდების გამოსახულებებით..... ქსოვილი „როგორც ჩანს, ნაქსოვი იყო აბრეშუმით და ოქრომკერდით.

ასეთი ძვირფასი კაბა ორი ეცვა-გარეთა და შიგნითა ორივე კაბა გრძელი იყო..... კაბები წელს ზემოთ ღილ-კილოებით იკვროდა, გარეთა კაბას 22 ღილი და შესაბამისი კილო გააჩნდა, განსაკუთრებით შესანიშნავი იყო გირჩების ფორმის მსხვილი ღილები, რომლებიც კაბას მარცხენა მხარეს ჰქონდა დაკერებული ღილებს პირველი დაკვირვების მიხედვით უნდა გააჩნდეს ვერჩხლის ვიწრო ფირფიტებისაგან გაკეთებული „ჩონჩხი“ გირჩის ფორმისა, ხოლო შემდეგ გარედან ამ „ჩონჩხზე“ ოსტატურად „პირდაპირ მხატვრულად შემოწნულია გრებილი ძაფისაგან გაკეთებული“ ბადე „რომელიც სავსებით ფარავს ღილს..... კაბას აქვს დაბალი და გახამებული საყელო. [https://www.droni.ge/?m=14&AID=22639\(05.01.2020\)](https://www.droni.ge/?m=14&AID=22639(05.01.2020))).

მიცვალებულს მკერდზე ეკიდა პატარა და მომინანქრებული ოქროს ჯვარი. ბერძნული დაქარაგმებული წარწერით.

მიუხედავად იმისა, რომ მეფის ნეშტის უხრწნელობის შესახებ ცოტა რამაა ნათქვამი, ხოლო დაწვრილებით აღწერილია სამოსელი, მორწმუნეთათვის ეს

საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციაა და ასევე, მკვლევარებისათვის ეს ამოუხსნელი ფაქტია, ამიტომ მათ ამ ფაქტს მეცნიერული ახსნა მოუძებნეს და ყველაფერი ბალზამირებას მიაწერეს, თუმცა ჩვენ ვიცით მეფის ანდერძიდან, რომ მას საქართველოში სურდა დაკრძალვა, რადგან გზად ნემტმა ხრწნა დაიწო, ასტრახანში დაკრძალეს. ფაქტია, რომ რაღაც ამოუხსნელი ძალით შეჩერებულია სხეულში ხრწნადობის დაწყება და ეს მაშინ როცა მეფის გვამი ხუთი თვის განმავლობაში წელიწადის სხვადასხვა დროის ზემოქმედების ქვეშ იყო. ამის შემდეგ კი, გადის ორი საუკუნე და გვამი უხრწნელია. თუმცა მეფის ნემტს გარს ეკვრა მცენარეული საფარი, რომლის შესახებაც არაფერია ცნობილი. დაკრძალვისას ჩააყოლეს, თუ ნოტიო კლიმატის გამო მოედო ცხედარს. თეიმურაზ მეორის შესამოსი და ჯვარი დღეს ს.ჯანაშიას მუზეუმში ინახება .

თეიმურაზ მეფის ცხოვრება, მისი აღსასრული და უხრწნელად მოპოვებული ნემტი, რომელსაც კეთილსურნელება ახლდა თან, გვარწმუნებს იმაში, რომ ჭეშმარიტად შეისმინა უფალმა ლოცვა მართალი მეფისა: „იხსენ მაღალო მსაჯულო, ლაზარე ჯოჯოხეთით ,მსგავსად მისსა მეცა მიხსენ მღვიმით ბნელით, ქვესკნელით და გენისაგან მწარისაგან მიხსენ მე ,ქრისტე გვედრები.“

(პაიჭაძე ,2019:108).

„ქრისტეს რწმენა ახალი სამოთხეა, ამიტომ სამყაროს შექმნაბდე წინასწარ იხილა ღმერთმა ყველა, ვინც ირწმუნა და ვისაც უნდა ერწმუნა მისი; ვისაც მოუწოდა და არ შეწყვეტს (მოწოდებას) საუკუნის დასასრულამდე და განადიდა და განადიდებს, გაამართლა და გაამართლებს - ცხადად გამოაჩინა ისინი რა თავისი ძის დიდების ხატის თანახმად. წმინდა ნათლისღებისა და სულიწმინდის მაღლის მეშვეობით; დაფარულად ჰყო რა ისინი ღვთის ძეებად და აღადგინა ძველებიდან ახლებად - მოკვდავებიდან უკვდავებად...“ ღირსი სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი

მეფე თავისი ქვეშევდომებისათვის უნდა იყოს, როგორც მამა, როგორც „მწყემსი კეთილი, მისი“ სამწყსოსათვის: „სადა არნ მწყემსი კეთილი ,მუნ მხიარულ არნ სამწყსოი იგი“, ესე იგი ის საყოვეთაო სიკეთის საწინდარია ,რადგან ის პატრონობს უფლის მიერ ჩაბარებულ ერს ,მეფის ერთ-ერთი მახასიათებელი კრძალულობაა ღვთის წინაშე, სათნოება და სიმართლეა და სამართლიანობა :მარადის იქცეოდნენ

კრძალულად ,სიმართლით და სიმდაბლით;და სიწმინდით წინაშე ღმრთისა ,რამეთუ ხედვენ უჩინოთა და ცხადთა საქმეთა ,თუალნი მისნი ,დაფარულნი მხედველნი .

§ 3.1.ბიბლიური მოტივები თეიმურაზ მეორის გაბაასების ჟანრის ნაწარმოების სიუჟეტების მიხედვით

აღორძინების ხანის საქართველო და მეფეთა თავგადასავალი დაწვრილებით აქვს აღწერილი უცნობ ავტორს. მას დასაწყისში აქა-იქ აქვს აღწერილი ფაქტები მეფეთა ცხოვრების შესახებ,თუმცა მეორე ნაწილში შედარებით უფრო დეტალურად აღწერს ეპოქას და მას სხვა ეპოქებისაგან გამოარჩევს, სამაგალითო ხანას უწოდებს. განსაკუთრებული სიმპათიითაა გამსჭვალული გიორგი მეხუთის მიმართ,თუმცა ხანგრძლივი ძნელბედობის შედეგი მრავლადაა :უღირსობა, ღალატი ,უპირობა, თვით სამღვდელონიც კი ბილწის მოქმედნი,თუმცა ყოველივე ამის მიზეზს ავტორი ხედავს თვით საქართველოს ცხოვრებაში. „ქამთაღმწერლის თხზულებაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი „ბოროტის მოქმედთა „ საქმეების გამომზეურებას. (საქართველოს ისტორიის ნარკვევები,1973:11). სწორედ მხილებაა აღორძინების ხანის მწერლების შემოქმედების ძირითადი არსიც,არა მარტო წარშულში ,არამედ ახლაც გვხიბლავს, მაღალი იდეალებით გამსჭვალული შემოქმედება ,რომელიც სრულყოფილი სახით არის წარმოდგენილი. მათ შემოქმედებაში მთავარი ადგილი ქრისტიანულმა ზნეობამ დაიკავა. ამ ეპოქის მწერლობის თავისებურება სიტყვის გენიალურ კონსტრუქციაში აისახება და მკითხველს ინდივიდუალურად მიეწოდა, ამიტომაც უთქვამთ, “ნამდვილი კალმოსანი ისაა, ვინც გაიძულებს არა იკითხო არამედ იფიქრო“.თეიმურაზ მეორის ნააზრევიც განსჯის საგანი ხდება და ლიტერატურაშიც უფლისაგან ხელდებული შემოქმედის ადგილი ხდება საპატიო. მკითხველიც,სწორედ ამით აფასებს ჭეშმარიტ კალმოსანს. მკითხველს ევალება კრიტიკულად შეაფასოს მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობა განურჩევლად მისი მეტ-ნაკლები ბრწყინვალებისა. თეიმურაზ მეორე, როგორც ორიგინალური ხელწერის პოეტი დღემდე დიდ ინტერესს იწვევს,ამაზე მეტყველებს ისიც, რომ თეიმურაზ მეორის ტექსტების უამრავი ხელნაწერილია აღმოჩენილი. მარტო დღისა

და ღამის გაბაასება ორმოცამდე ხელნაწერს მოიცავს, რაშიც გადამწერებს თავიანთი ნააზრევი დაურთავთ „საილუსტრაციოდ რამდენიმე ნიმუშს მოვიყვანთ, (იხ.დანართი N7). 1766 წელს გადაწერილ ხელნაწერში, „დღისა და ღამის გაბაასება“, ამ ხელნაწერს წინ მცირე ლექსი უძღვის, რომელიც მეფის შემოქმედების მთავარ ანალიზს წარმოადგენს. მეფის შემოქმედების შესახებ მკვლევართა ნააზრევები გვხვდება ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. მთავარი კი ისაა, რომ თითქმის ყველა კრიტიკოსი ერთხმად აღიარებს: თეიმურაზი მეფე-პოეტ არჩილის სკოლის მიმდევარია და მისი შემოქმედება „მართლის თქმის“ პრინციპს ემყარება. მეფე პოეტის შემოქმედებაში გამოყოფენ სხვადასხვა ჟანრს, როგორც ეთნოგრაფიულს, ასევე ფოლკლორულს. თუმცა, თეიმურაზ მეორის შემოქმედება ძირითადი ადგილი რელიგიასა და სასულიერო თემებს უკავია. ეს ყველაზე კარგად „დღისა და ღამის გაბაასებაშია“ გადმოცემული, რომელიც პოეტის ძირითადი ნაწარმოებია.

პოემა „დღისა და ღამის გაბაასება“ სასულიერო და საერო ნაწილისაგან შედგება. ბუნებრივია, სასულიერო ნაწილი ბიბლიური თემატიკითაა დატვირთული. ასევე, გალექსილია მსოფლიო ეკლესიების კრებების აქტები. მეორე ნაწილში წარმოდგენილია რეალისტური ნაკადი ქართველთა ცხოვრების შუასაუკუნოვანი გაგებით. უნდა აღინიშნოს პოემის ჟანრობრივი მხარე, რომელიც გაბაასებას მიეკუთვნება. მიმდინარეობა გაბაასება შუასაუკუნეებში სპარსეთიდანაა შემოსული ჩვენში და ის დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

„დღისა და ღამის გაბაასებაში“ პოემურ სიუჟეტს ქმნის, სწორედ დღისა და ღამის კამათი. მათი პოზიციიდან ჩანს სწორედ ცალკეული ნორმები, რომელიც უპირატესობას ანიჭებს სხვადასხვა სიტუაციებში დღესა და ღამეს. დღე მოიშველიებს იმ მნიშვნელოვან ფაქტებსა და ეპიზოდებს, რომელიც დღისით მომხდარა, ღამე კი იხმობს ბიბლიიდან სცენებს და ასევე, ყოველდღიური ყოფა-ცხოვრებიდანაც.

დღეცა და ღამეც მყარად დგანან თავიანთ პოზიციაზე, თუმცა, ფაქტია, უპირატესობა ერთ-ერთს უნდა ეკუთვნოდეს. ბაასისას ავტორი არსად არ აფიქსირებს თავის დამოკიდებულებას და ამდენად დასკვნები, თავად მკითხველმა უნდა გამოიტანოს.

თეიმურაზ მეორის პოემა „როგორც მკვლევარები განიხილავენ, გაბაასების ჟანრის ნაწარმოებია. მასში გვხვდება გაბაასებისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი, რადგან დიალოგი იმართება ორ, ურთიერთსაპირისპირო შეხედულებას შორის, სადაც თითოეული მხარე ფიქრობს საკუთარი უპირატესობის დამტკიცებას, ხოლო ავტორი ამ დროს ერთნაირ დამოკიდებულებას ამჟღავნებს ორივე მხარის მიმართ. მკვლევრებს სხვადასხვა დროს სხვადასხვა რაკურსით განუხილავთ ნაწარმოები. (ე. ლორთქიფანიძე დიდაქტიკურ მოტივს ეხება; თ. ბეგიაშვილი ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ჭრილში განიხილავს; ვ. სიდამონიძე სპორტულთამაშებს ახასიათებს; ლ. მენაბდე ფეოდალური საზოგადოების ზედა ფენის წეს-ჩვეულებებზე ამახვილებს ყურადღებას; ბ. ქიქოძე ჟანრობრივად ამუშავებს

თხზულებას; ალ. ბარამიძე სინათლის აპოლოგიად მიიჩნევს პოემას; შ.ჩიჯავაძემ თხზულების ხელნაწერთა ნუსხები შეაპირისპირა რედაქტორის, გ.ჯაკობიას მიერ დადგენილ ტექსტთან და დაურთო ტექსტოლოგიური შენიშვნები; ნ. სოზანაშვილის მხრიდან იყო მცდელობა თხზულების ფოლკლორული წყაროების ძიებისა და ასე შემდეგ), მაგრამ მონოგრაფიული შრომა ამ ნაწარმოებისა თუ ზოგადად თეიმურაზ მეორის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ დღემდე არ არსებობს. პირველად

ჯ. აფციაურმა შექმნა პუბლიცისტური რომანი თეიმურაზის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. იგი მხატვრულად აცოცხლებს იმ ეპოქას, რომელშიც ცხოვრობდა ავტორი, პროზაული სახით, ანალიზის თანხლებით, მოგვითხრობს პოემის სიუჟეტებს. შესაბამისად, ერთხელ უკვე გალექსილი ბიბლიის ხელახალ „თარგმანებას“ ვიღებთ.

ხშირად თვითონაც ურთავს ეპიზოდებს საკუთარი ფანტაზიით. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/164294/1/Disertacia.pdf?fbclid=IwAR33FWgPMa0uHAtG_rUwFVGmQrjWmTR2rczTRCFEDNMEIA-51QU0acWUGQc (2020,9 იანვარი).

ქართული მატერიალური და სულიერი კულტურა უაღრესად ორიგინალურია, აგებულია ეროვნულ-ხალხურ ნიადაგზე. აღორძინების ეპოქის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ისტორიული ფაქტების სინამდვილე, რადგან მათთვის მთავარია ისტორიული ფაქტის არსებობა, ნაცვლად გამოგონილისა.

ბიბლიის გავლენას, როგორც კვლევებიდან ჩანს, თეიმურაზ მეორის ქართულ პროზაულ ჰიმნოგრაფიაშიც უღევს წილი. თუ სხვა სასულიერო ხასიათის ნაწარმოებებში ავტორი ეპიკური სიღინჯით გადმოგვცემს ძველი და ახალი აღქმის

ამბებს, “განზრახვანი და ვედრებანში“ ამაღლებული ტონით და მორწმუნის აღტყინებით ინანიებს ცოდვებს და შეჰდალადებს ღმერთს მათი მიტევებისათვის, „ჭი ტკბილო იესო ქრისტე ,ღმერთო ჩემო, მამისა დიდებაო და ბრწყინვალეაო და მზეო სიმართლისაო! მთასა ზედა გოლგოთას სოფლისა ხსნისათვის სული შენი განუტევე... მომეც მე სიყვარული შენი ,რათა მარადის გულსა შინა ჩემსა მტკიცედ მაქვნდეს და მით მოვაკვდინო საცთურნი ხორცთანი და სამარადისოდ შენთანა მკვიდრ ვიყო“ ..(გვ.48)

„იხსენ მაღალო მსაჯულო ,ლაზარე ჯოჯოხეთით, მსგავსად მისსა მეცა მიხსენ მღვიმით ბნელით, ქვესკნელით და გენიისა მწარისაგან მიხსენ მე,ქრისტე, გევედრები...“(გვ.105)

„მოუძღურებული ფრიად მტერისა ბრძოლათაგან სული ესე ჩემი უბადრუკი,დედოფალო უხრწნელო, განკურნე, რომელმან შევ მკურნალი საღმრთო,იესო, მხსნელი ჩვენი, რომელსა ევედრე, სძალოცხოვრებად სულთა ჩვენთათვის...“ (ჯაკობია,1939: 45).

სამემეცნიერო ლიტერატურაში არის მსჯელობა იმის თაობაზე,რომ ანტონის სკოლის გავლენა აშკარაა ,მეფე-პოეტის შემოქმედებაზე. წინასიტყვაობა, რომელიც ნაწარმოებს აქვს დართული, ავტორი მოუწოდებს ყოველ ადამიანს, სუფთა სინდისით წარსდგენ უფლის წინაშე: „გულის ტანჯვით და შევრდომით...ისვინდისე ჭემმარტო ქრისტიანე და წარდეგ წინაშე ღმრთისა .ვითარცა დასჯილი“.შემდეგ ახსენებს ,რომ თუმცა მისი გონება დახშულია „მსოფლიოთა ნივთთა „აღთქმისთვის, პირადი ცოდვები თუ ღვთის შეცნობის წადილი უბიძგებს მიეახლოს მას და რაკილა უხსოვარი დროიდან ცნობილია ,რომ უფილის ცნების ერთადერთი გზა ლოცვაა ,მიუხედავად ეშმაკისაგან არაერთმხრივი ცდუნებისა ,“დავხშენ საუნჯენი ჩემნი და მოვილე საჭურვლად მისდამი გონება ღთისამიმართ მხურვალი; და შემოვკრბენ წმინდა წერილთაგან ლოცვები ღმობიერმყოფელნი გულთანი.“

თეიმურაზ მეორის შემოქმედებიდან ასევე, გარკვეულ ინტერესს იწვევს ნაწარმოები „ქება სრისა“,რომელსაც მცირე შესავალი უძღვის. ავტორი კვლავ სასულიერო-საეკლესიო საკითხებზე მსჯელობს და თავს ღმერთისაგან დავალებულად აცხადებს.

“რაც ამ სოფელსა ღმრთისაგან მომეცა წყალობანია,

არ ძალმიძს მისად სანაცვლოდ,შევსწირო მადლობანია.“

ამით თეიმურაზი მადლიერებას გამოხატავს თავისი ბედის გამო და ღვთისაგან წყალობად მიიჩნევს ქართლის ტახტის მიღებას და მეფედ კურთხევას მცხეთაში. თხზულებას მკვლევარები მის „ანბანთქების“ გაგრძელებად მიიჩნევენ და მთავარ ღირსებად ასახელებენ, რომ ამ თხზულებით მეფის სასახლეზე სრულყოფილი წარმოდგენა გვექმნება. ავტორი თითქოს სევდის განსაქარვებლად წერს სასახლის შენებას, მას თავისი ცხოვრების გზაზე მრავალი უსიამოვნება გადაუტანია, კარგად გაიცნო წუთისოფლის არსი, რის შედეგადაც სასახლე, დიდება და პატივი,ეპიზოდურად ,წარმავლად და არასაიმედოდ მიაჩნია.

„ამ ცრუმ სოფელმან არ იცის ბოლოსა გატანებაო,
მეფენიცა და სრებიცა სულ ყველა განქარდებაო,
ვითარებისა ჟამთაგან სამივე მოიშლებაო.“

თხზულებაში ავტორი აღწერს და ქება-დიდების სიტყვებით ამკობს და სიყვარულით იხსენებს მისი წინამორბედი მეფეების სასახლეებს. თეიმურაზს თავადაც აუშენებია სასახლე, თუმცა ის ხელოვნების მდარე ნიმუშად მიაჩნია და არც კი ადარებს თავის წინამორბედ მეფეთა სასახლეებს..(ქართული ლიტერატურის ისტორია ტ.II 1966.)

„იმ სრებსა რის გზით შევადრი ამ ცემსა აგებულსაო?
მართლისა თქმა სჯობს ტყუილსა ,ვერ დაუმძიმებ სულსაო;
სახლებთან ბოდიშს მოვითხოვ-ნუ დააკლდებათ გულსაო:
იმათი ერთი კედელი სჯობდა სულ აქა დგმულსაო.“

თეიმურაზ მეორის შემოქმედების საინტერესო ნაწილს წარმოადგენს საეკლესიო-სასულიერო ხასიათის სხვა ნაწარმოებებიც; მაგალითად, აღსანიშნავია მისი ნაწარმოები „განზრახვანი და ვედრებანი“,„რომელშიც ავტორს შეუკრებია „წმიდათა წერილეთაგან ლოცვანი ღმობიერმყოფელნი გუთანი“,მასვე დაუწერია ორი „ანბანთქება ამიცანად ნათქვამი“,რომელშიც ამოცნობის სახით გაულექსავს ბიბლიური ეპიზოდები. თხზულებაში თეიმურაზს მიზნად დაუსახავს ბიბლიის პოპულარიზაცია,გასართობის შექმნა ამოცანების სახით და საკუთარ პოეტურ შესაძლებლობათა დემონსტრაცია.საგულისხმოა,რომ თეიმურაზი სავალდებულოდ მიიჩნევს ბიბლიის შინაარსის საფუძვლიან ცოდნას,“ზახამც გაუხმეს ,ვინც იყოს

უცნობი ამ სიტყვებისა“ (ქართული ლიტერატურის ისტორია ტ. II 196.6გვ.564) ის გარკვეულ ადგილს უთმობს თავის შემოქმედებაში სხვა ტიპის ნაწარმოებსაც ,როგორცაა: „ხილთა ქება“, „ანბანთ ქება“.

ხილთა ქება, ანუ ხილთა ბაასი საკმაოდ გავრცელებული იყო ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებასა და ლიტერატურაში. ამ თემაზე უწერიათ ჯერ კიდევ ადრე გარსევან ჩოლოყაშვილს, ხოლო თეიმურაზის შემდეგ — პაპუნა ორბელიანს, დავით რექტორს, გიორგი ჭაბუკაშვილსა და სხვ. ხილთა ქების ასეთი პოპულარობა მოწმობს, რომ ფეოდალური საზოგადოებრიობა გარკვეულ ინტერესს იჩენდა ამ თემისადმი, ამით ერთობოდა და თავს იქცევდა. თეიმურაზის “ხილთა ქება” 40-სტროფიანი ნაწარმოებია. მასში ჩამოთვლილი, დახასიათებული და შექებულია 37 ხილი და პურ-ღვინო. თითოეული ხილი თავს იქებს და იწონებს. მაგალითად, ბალი სიტკბოთი ამაცობს: “შაქრის მსგავსად გარდვიქცევი, რა ჩამიდებს კაცი პირსა”. ბროწეულს თავი სილამაზით მოაქვს: “ჩემს უტურფესი ნაყოფი არვის უნახავსთვალითა” და ა. შ.

აქა-იქ შეინიშნება საკუთარ უარყოფით თვისებათა აღიარებაც. მაგალითად, თავიანთ უარყოფით თვისებებს აღნიშნავენ მაცვალი (“ზედანმასხია ევალი, ვარ მისთვის დაწუნებული”), ატამი (“მე და ნესვი ვართ ყოვლისაამშლელი სენთა თავისა”) და სხვ. საგულისხმოა, რომ ზოგჯერ ესა თუ ის ხილი მეორის ნაკლოვანებას ავლენს და საგანგებოდ აღნიშნავს. მაგალითად, ტყემალი უყიჟინებს მარწყვს: “თავსა მოგჭამენ ჭიანი, — ძირი გაქვს მეტადმწარია”. “ხილთა ქების” დასასრულს პურ-ღვინო აცხადებს:

„ორივ ერთად შევიყარნეთ, ყოვლს სულდგმულს ჰშვენის ფერია,
ხელმწიფენი და გლახაკნი — ჩვენგნით იხარებს მთელია,
ბალი, ბაღა და ხილები სახსენებელად ჩვენია,
ჭკვიანი ხელად გარდიქცეს, უჭკვოს მიეცეს სენია“.

როგორც ირკვევა, თვით „ხილთა ქებაშიც“ კი ავტორისათვის მთავარ მოტივს კვლავ ბიბლიური თემატიკა წარმოადგებს, რაც კარგად ჩანს მის მიერ ბიბლიური სიმბოლოების გამოყენებაში, როგორცაა ქრისტიანული სიმბოლიკა „პური და ღვინო“.

ღრმადმორწმუნე პოეტს სწამს ლოცვის მაღლის, ამიტომაც უსწავლია ლოცვები და სცდილა ასე მიახლოვებოდა უფალს, მას სტანჯავდა ამავდროულად საკუთარი

უბედურების განცდა. ამიტომ შემოუკრებია მღვდლები, რომლებიც ვალდებულნი არიან მრევლს ემსახურონ და მათი დახმარებითა და ძალისხმევით ანთებულა უფლის სახმილით. საბოლოოდ მას გადაუწყვეტია შეეკრიბა მცირე ლოცვები, რომელიც სხვადასხვა ადგილას იყო განზნეული, როგორც საკუთარი ცოდვის გამოსასყიდათ, ასევე, მათთვის „ვინც ჭეშმარიტ გზას არიან გადამდგარნი. ის არ იხსნის საკუთარ პასუხისმგებლობას, როგორც მეფისას. ამიტომაცა, რომ თავს უღირსად და ცოდვით დამძიმებულად მიიჩნევს.

შუასაუკუნეების მწერლობაში „სინანულის“ მომენტებიც არის მნიშვნელოვანი მეფე-პოეტების შემოქმედებაში, რომლებმაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ შემდგომი ეპოქის მწერლობაში ჰპოვა უფრო ფართო ასახვა. ისინი გრძნობენ თავიანთ მოვალეობასა და დანიშნულებას და სინანულით ცდილობენ ცოდვათა მიტევებას. ამავე თემატიკისაა არჩილის „სიტყვა სანათლისღებო“, რომელიც არის აღსარება ცოდვით დამძიმებული ადამიანისა, რომელიც ცდილობს „ცრემლითა და სინდისის ქენჯნით მოიპოვოს სულის სიმშვიდე .და ეს სულის სიმშვიდე გამოხატა ლოცვების შეკრებით. ლოცვანის ბიბლიასთან მიმართებას რაც შეეხება, აქ თეიმურაზ მეორე მიუთითებს, რომ ღირს მამათა და წმინდანთა მიერ შექმნილი, მაგრამ სხვადასხვა ადგილას განზნეული მცირე ლოცვები შეკრიბა და არგუმენტად ნეტარ ავგუსტინესა და სხვა წმინდანებს იმოწმებს და რაკი წმინდა მამების თეოლოგიის პირველწყარო ბიბლიაა, ავტორატურად ის თეიმურაზ მეორის ნააზრევშიც გვხვდება.

როგორც აღვნიშნეთ, მეფე-პოეტ თეიმურაზ მეორის შემოქმედებაში დიდი ადგილი ეთმობა საღვთისმეტყველო თემატიკას, პოემის სახელმძღვანელო წყარო ბიბლიაა, მეფე-პოეტის შემოქმედების ბიბლიასთან მიმართება ჩვენი მოკრძალებული ნაშრომის მიზანია, შევეცადედ ავხსნათ მიზეზი მთავარ პოემაზე დაყრდნობით ბიბლიური თემებით ასე დაინტერესებისა. როგორც შემოქმედების შესწავლისა და ანალიზიდან ჩანს მიზანი ერთია, მომავალ თაობას გაუღვიძოს ბიბლიისადმი სიყვარული, ინტერესი.

ვისაც კი თეიმურაზ მეორის შემოქმედება უკვლევია, ყველას შეუნიშნავს, რომ ავტორს საუცხოო ბიბლიური განათლება აქვს მით უფრო ბიბლიამ, ამ ეპოქაში ახალი დატვირთვა შეიძინა. „დიდ ღამედ“ მონათლული დაცემის ეპოქის შემდეგ ქართველ ერს სჭირდება გამოღვიძება და სულიერი მხნეობა. ეს იყო კალმოსანი მეფე-პოეტის

მიზანიც .ის,როგორც გულანთებული ქრისტიანი, ბიბლიური წიგნების დრმა ცოდნას ავლენს. „გაბაასება „ორიგინალურ, ეროვნულ, ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული ნაწარმოებია. სავარაუდოა,რომ ის იცნობდა ბიბლიური ეპიზოდების გალექსვის სხვა ქართულ ცდებსაც, თუმცა მის გავლენაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია,რადგან მას უფრო ვრცლად და სრულად აღუწერია ბიბლიური ეპიზოდები.

რელიგიური შეხედულებები პოემაში შესავალიდანვე ჩანს:

„ვბედავ კრძალვით და რიდობით გამოთქმად ართუ მძლავრობით
ვადიდებთ ერთ-არსებითა ჩვენ ღმერთსა სამ -ბრწყინვალობით“

ის აღიარებს, რომ უფალი არსებით ერთია, მაგრამ სამებაში -მამა ღმერთი,ძე ღმერთი და სულიწმიდა ღმერთი.

„ჩვენ ღმერთსა თაყვანის-ვცემდით სამებას,სამის თვისებით:

მამას უშობელს ,ძეს შობილს მამისა თანა დიდებით,

სულსა წმიდასა,გამოსრულს,მამისგან მოუწყინებით,

სამს გვამს ვქადაგებთ ერთ-უფლად,ღვტაებით ერთ- ხელმწიფობით.

თავის პოემაში ავტორი საგანგებო ყურადღებას უთმობს სამებას, და მიუთითებს სამების უზენაესობას. გარდა იმისა ,რომ ავტორი კარგად იცნობს ძველი და ახალი აღთქმის წიგნებს, ასევე მოხმობილი აქვს მასალები დოგმატური ღვთისმეტყველების წიგნებიდან. როგორც ჩვენთვის ცნობილია, პირველ მსოფლიო კრებას ესწრებოდა ბიჭვინთის ეპისკოპოსი. თეიმურაზ მეფე პირველი იყო ,ვინც კრებების აქტების შეხსენება გადაწყვიტა. საინტერესოა რაში დასჭირდა აღორძინების ხანის მწერალს მიბრუნებოდა ამ საკითხს. ამის პასუხს ისევ საქართველოში სწორედ ამ დროს არსებული ყოფა გვაძლევს. ფაქტი ისაა, რომ საქართველოში არსებულ შიდა პოლიტიკურად მძიმე მდგომარეობას თან ერთვოდა სარწმუნოებრივი კრიზისი. უდავოა, ავტორს სურს შეახსენოს საზოგადოებას თავიანთი ვალი სარწმუნოების წინაშე,ან აჩვენოს ის სიმძაფრე, ნრომელიც განდგომას შეიძლება მოჰყვეს.ამავე თემას ემსახურება, სწორედ“ „გაბაასება “. ქართველი მეფეები ასევე, ნათლად ხედავდნენ იმ საფრთხეებს,რომელიც ემუქრებოდა საქართველოს. კერძოდ, მართლმადიდებლობას ევროპის საგარეო პოლიტიკისაგან .ამიტომაც ცდილობდნენ ბიბლიური თემებისა და დოგმატიკის შეხსენებით შეეჩერებინათ მოსალოდნელი საშიშროება .

„ესაიამ რა იხილა საყდართა ზედა მჯდომელი ,
გარშეცულ ანგელოზტაგან დასნი ღვთის წინა მდგომელი,
ცხრა დასი წმინდა არსისა ,გალობის ტკბილად მხმობელი
გარ-უწერელადმლიერი,უსაზღვრო,მიუწვდომელი“

პოეტს ეს სიტყვები მოჰყავს „დღისა და ღამის გაბაასებაში“და ეჭვგარეშეა ის ბიბლიის იმ ეპიზოდს ეხება, სადაც ესაია წინასწარმეტყველია აღწერილი .იგი თავს თითქოს ესაია წინასწარმეტყველს უდარებს. მისი თქმით ესაიამ ღვთის დიდება შეძლო იმით, რომ თვით იხილა ღმერთი. საინტერესოა ესაიას პასუხი ბიბლიიდან : „და ვთქუ უბადრუკსა მე, რამეთუ შეკედლებული ვარ,რამეთუ კაცად მყოფი და არაწმინდა ბაგეთა მქონებელისა, მკვდარ ვარ მე და მეუფე უფალი საბაით ვიხილე თვალითა ჩემითა.“

მეფე-პოეტიც ესაიასეული თავმდაბლობით უდგება საკითხს და მკითხველს ამზადებს, რათა გაგებით მოეკიდონ მის ნაშრომს, რომელსაც მდარეს უწოდებს და ამის მიზეზად ის „უსწავლელობას“ასახელებს.

§ 3.2.ძველი აღქმის სიუჟეტები „დღისა და ღამის გაბაასებაში“

თეიმურაზი, როგორც ვთქვით, ძალზე ბოდიშობს და მიტევებას ითხოვს ღვთისმეტყველების საკითხებზე მსჯელობის გამო. თავი ერთობ უღირს და შეურაცხ პირად მიაჩნია,თუმცა ის თავის პოემაში ამჟღავნებს საღვრთო წერილების საფუძვლიან ცოდნას.ავტორი გრძნობდა თავისი ნაწერის ნაკლს და მკითხველის ყურადღებას მისი მუშაობის პირობებზე ამახვილებს.

„ მინდა აღმოვსთქვა მცირე რამ არა სიბრძნისა სადარი,
თუცა დამცალდა სოფლისგან,ან დღე მომეცა სადარი,
არ მოგეწონოსთ,იკითხეთ:“ესე ნათქვამი სად არი?“

ვსწერდი ცხენს მჯდომი, ვლაშქრობდი იქით და აქეთ ,სად არი!“

პოემაში დღისა და ღამის კამათი იშლება ბიბლიური სიუჟეტების ფონზე. დღისა და ღამის ერთმანეთთან გაბაასებით თეიმურაზმა გამოამზეურა მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები:

„ აწ დაიწყებს თეიმურაზ არ კახურად ტრაბახებსა ,

ვინც ყურს უგდებს ამ ლექსებსა ,ნახავს კაი სანახებსა
შურს ჩაუგდებს დღე ღამესა ,ერთმანეთზე აჯახებსა.“

იწყება დღისა და ღამის კამათი და პაექრობა, ბაასი და შერკინება, ისინი თითქოს აყვედრიან კიდევ ერთურთს იმ არასასიამოვნო ფაქტის გამო, რომელიც სხვადასხვა დროს მომხდარა:დღე მედიდურად მიმართავს ღამეს :

„დღე ეტყვის: დაბნელების ჟამს კაცთ აქვთ წუხილის კვნესობა
სინათლის მონატრულეთა ბაზმისთვის შექმნან კვნესობა....
...თვით მისგან დაბადებული შენზე ვარ ბევრ-გზის მეტობით
ღვთისაგან არა არსებით,ყოფილხარ პირველ ბნელობით.“

დღესა და ღამეს შორის გამართული კამათის მთავარი თეზაა:

„დრეს დაეწესა ნათელი,ღამეს სიბნელის წესობა“

ღამე არ უარყოფს,რომ ღმერთმა დღე“ ნათლად დაბადა“ და თვით „შავი ნაღებია,
მაგრამ არც მას ეთქმის უდარესობა,რადგან ისიც“ ღვთისაგან გამონაღებია“:

„ გეტყვი ნათელი ღამისა .შენს ამხანაგად მზევე რათა?
დიდი ცთომილი მნათობი დღეს დაებადა მზეერთა,
როს ამობრწყინდეს ქვეყანად,დაიწყებს ჩამომზეერთა,
მაშინ გამოჩნდეს სწორობა ,მაჯობებ,თუცა ვერთათა?“

მთვარე ამბობს, რომ ისიც „ღვთისაგან გამონაღებია“და ამიტომ „არ ეთქმის უდარესობა“,ღმერთმა მე ექვსი და მომცაო, აგრეთვე სხვანი მრავალნი ვარსკვლავნიო, თუმცა დღე არ უთმობს, აქებს და ადიდებს მზეს, რადგან,ის ბნელს განანათლებს, კამათისას დღე და ღამე ვერ თანხმდებიან და ერთიცა და მეორეც თავისი უპირატესობის მტკიცებით წყვეტენ კამათს.

სამყაროს შექმნის უფლისაგან ფუნქციათა გადანაწილების სცენები ზედმიწევნითი თანმიმდევრობით არის გალექსილი. პირველი ადამიანების ცოდვები, უფლის რისხვა, ებრაელ ხალხთა ამოყვანა აღთქმულ ქვეყანაში სრული სიზუსტით არის გადმოცემული. თხზულებაში გამოყენებული ძველ აღთქმისეული სიუჟეტები შემდეგ თავებშია მოთხრობილი: „ადამის შესაქმის ამბავი“,“ ევასი და ადამის შეცთომის ამბავი“,„აქ ღამისაგან პასუხისმიგება“,“ კაენისაგან აბელის სიკვდილისა“, „აქ ღამექისაგან კაენის სიკვდილი“,„აქა დღისაგან თქმა წყლით რღვნის

ამბავი“ „აქა ისაკის შეწირვის ამბავი“ „აქა იაკობის კურთხევის ამბავი“ „აქა ისრაელთა ამბავი“.

თხზულებაში ყოველი ბიბლიური ეპიზოდი მოხმობილია გარკვეული მიზანსწრაფულობით. აბზაც-აბზაც მიჰყვება თეიმურაზი ბიბლიას თხრობისას. მაგალითად: „ევასა და ადამის შეცდომის ამბავი“ თანმიმდევრობის დაცვით ყვება, თუ როგორ დაწყველა უფალმა გველი, ადამი და მისი ცოლი, როგორ დაუწესა გველს მუცელზე ხოხვა, დედაკაცს-ტკვილით მშობიარობა, პოემის მიხედვით ადამს ევას ცხოვრების მოსახლე უწოდა. პოემაში თეიმურაზი ემხრობა აზრს, რომლის მიხედვითაც ცხოვრების საწყისად ქალი მიიჩნევა.

ანბანთქება IV-ში კი, ქრისტეს წამების სცენის გადმოცემისას, ყურადღებას ამახვილებს ადამის მიერ პირობის შეუსრულებლობით მიღებულ შედეგებზე:

სინჯეთ, საქმე პირობისა, ადამს როგორ უმთავრდების! (19,4) [14,133]

ამ ტაეპებში კიდევ ერთხელ მჟღავნდება პოეტის მიზანი.

უნდა ითქვას, რომ პირველწყაროში უფლის ტონი გაცილებით მკაცრია.

დაბადებაში უფალი უხმობს ადამს: ადამ, სადა ხარ? (დაბ.3,9) [5,52].

თეიმურაზ მეორის მიხედვით, უფლის ტონში სიბრაზე გამოსჭვივის: ადამ,

ადამო! ხმა ესმა რისხვითა შესაზარებლად (43,4) [14,6].

ამ თავის ტენძენცია ასეთია: უფლის გზიდან გადახვევა ადამიანებსასაკეთოს არას ჰპირდება.

ბიბლიური სიუჟეტების პარალელების თვალსაზრისით „დღისა და ღამის გაბაასებაში“ საინტერესო ეპიზოდია იქ, სადაც ღამე დღეს შეახსენებს „ამბავი, რომელიც საშინელებაა, მოხდა დღისით და შეახსენებს, რომ ძმებს შორის დაპირისპირება წარმოშვა შურმა. უფალმა კაენის მსხვერპლი არ შეიწირა, აბელისა მიიღო, გაბოროტებულ კაენს კი განუმარტა: „და ჰრქუა უფალმან ღმერთმან კაენს: „რათა რად შეიჭმუვინ პირი შენი, არცა მართლიად შემოწირე, ხოლო მართლიად არა განჰყავ, სცადე დაყუდენ შენდამი მიქცევაი მისი და შენ ჰმთავრობდი მას“ (დაბ.4,6-7). პოემაში ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს შურის სინდრომს, რომელზედაც ბევრგან ამახვილებს ყურადღებას, ათი მცნების გალექვისას ამბობს: „არა კაც კვლა შურისაგან - ცოდვა არის დიდი ვნება“ (385,3-4)(14,48)

სამწუხაროდ, ძმათა შორის შუღლი და ძმის მკვლელობის მოტივი პოეტის ეპოქაშია ყველაზე აქტუალური. თითქოს „კაენის აჩრდილი“ დადიოდა ქვეყანაში. ამიტომაც ეს თეიმურაზ მეორის შემოქმედებას შურის თემა ლაიტმოტივად გასდევს.

თხზულებაში კაენის მკვლელი თავისი მეხუთე შვილი ლამექია, რომელმაც მასავით უკეთური მემკვიდრენი შვა, მისი მეხუთე შვილი დაბადებიდან ბრმა იშვა, მაგრამ ის ნადირობდა კიდეც შვილიშვილის დახმარებით. ასეთი ერთ-ერთი ნადირობის დროს მან მხეცს ესროლა, მაგრამ, სამწუხაროდ, ბაბუამისი აღმოჩნდა და ისრით განგმირა თავისი ბაბუა. როცა გაიგებს რაც მოხდა, შეწუხდება, აღშფოთდება. მის დამშვიდებასა და გაშველებაში შვილიშვილიც დაიღუპა. ასე დაიდო მან ღვთის რისხვა ორი ახლობლის მოკვლით. „ბიბლიის ენციკლოპედიის ქართული ვერსია ძალზე მწირ ცნობებს გვაწვდის ლამექის შესახებ: ლამექი კაენის შთამომავალი [46,24]. მის მიმართვას ცოლებისადმი სხვადასხვა საფუძველი ეძებნება. ერთ-ერთი წყაროს მიხედვით, ლამექი და მისი ცოლები შფოთავენ იმ გარემოების გამო, რომ ლამექს, როგორც გაუგონარი დანაშაულის ჩამდენს, მრავალცოლიანობის შემომღებს და, აქედან გამომდინარე, ცოდვილს, კაენს ადარებენ. თითქოს თავის გასამართლებლად ამბობს შემდეგს ლამექი: თურმე მე იმიტომ მოვკალი კაცი და ყმაწვილი, დამნაშავედ ჩავეთვალეთ და საფრთხეში ჩამეგდო ჩემი სიცოცხლე. კაენისგან განსხვავებით მე არავინ მომიკლავს და არავის მიმართარ გამომიჩენია ბოროტება, თვით ყმაწვილების წინააღმდეგაც და თუკი შვიდგზის უნდა ზღონ კაენისთვის, რატომ არის აუცილებელი ლამექისთვის სამოცდაჩვიდმეტგზის მიზღვა? [139,420].

ლამექის ამბის ასეთი განვითარება ჩვენთვის ბიბლიიდან არაა ცნობილი. ბიბლიაში მოვლენები სულ სხვა კუთხით ვითარდება. საინტერესოა რა აძლევს ავტორს ამის საფუძველს, შესაძლებელია მოარული ამბავი. ბიბლიაში არაფერია ასევე ნათქვამი იმის შესახებ, თუ რა იარაღით კლავს ძმა ძმას. აპოკრიფულ ძეგლებში „საკითხავი ადამ და ევასი სამოთხით გამოსვლისაი“, „მოვიდეს ორნი ეშმაკნი, მსგავსი აბელისი და კაენისი, ხოლო ეშმაკი იგი ეშმაკსა მას ერჯოდა, განრისხნა მასე ზედა და მოიღო მახვილი ქვისაგან, რომელ იყო ქარწბია, და უყეთა ყელი და მოკლა იგი“. (1,38)

თეიმურაზი თავის პოემაში მოვლენების გარვეულ სახესხვაობას გვთავაზობს. აპოკრიფის მიხედვით ლამეჭი კაენს კლავს ქვით, ხოლო მეფე ამ იარაღად ასახელებს ისარს, ფაქტია, რომ ამ აპოკრიფის გამოყენებით ავტორი არ ლექსავს ბიბლიას სტიქიურად, ამ ისტორიის მოყვანა დასჭირდა, რათა მკითხველი დაერწმუნებინა, რომ დანაშაული დაუსჯელი არ დარჩება.

საინტერესოა „წყლით რღვნის ამბავი, რომელსაც დღე ყვება.სადაც საუბარია უფლის გაბრაზებაზე, რადგან ქვეყანა გაიხრწნა ეშმაკის ნებით, უფალმა მათი დასჯა გადაწყვიტა, ნოეს კი უბრძანა კიდობანი აეგო და შიგ შვიდ-შვიდი წყვილი ცხოველი შეეყვანა:

„არავინ დარჩა ცხოველ ,ხმელზე დგეს ანუ ხბოდესა,

თეიმურაზი თავის დამოკიდებულებას ამხელს ნოეს მიმართ და აღნიშნავს, რომ ქვეყნად მართალი ადამიანებიც არსებობენ, რომელთაც უფალი არასოდეს ივიწყებს. კამათი გრძელდება, დღე დარწმუნებულია თავის უპირატესობაში და ღამესთან კამათი დროის დაკარგვად მიაჩნია:

„ღამევ თუცა შენი საქმე ჩემს საქმესთან ვერ მისწვდების ,
ენა ცუდად დაგიშვრების ,ბევრის ლიქნით,დაგიდგების
რამდენიც სთქვა ბევრი სიტყვა ჩემთან ვერა გამოჩნდების“

კამათი გრძელდება და განხილვის თემა ისაკის შეწირვის ამბავია. აღსანიშნავია, რომ აბრაამს ებრაელთა ისტორიაში დიდი ღვაწლი მიუძღვის. ხალხურ სიტყვიერებაში ბიბლიურ სიუჟეტზე შექმნილი არაერთი ნიმუში გვხვდება. თეიმურაზი საინტერესოდ და საკუთარი მიზანსწრაფულობით აღწერს იაკობის კურთხევის ამბავს. ისაკი,რომელსაც თვალთ დააკლდა, გადაწყვიტა უფროსი შვილი ეკურთხებინა, მამა-შვილის საუბარს ყური მოჰკრა იაკობის ცოლმა რაბეკამ, რომელმაც უფროსი შვილის მიერ დადებული პირობა,რომელიც მამას მისცა,იაკობს აღასრულებინა, რამაც ძმებს შორის შუღლი ჩამოაგდო. თეიმურაზ მეორეს ეს სცენა ბიბლიიდან მიზანმიმართულად აქვს გალექსილი. „ძმებს შორის ცილობა დაუშვებელია,და პოეტის მიზანიც ძმათა შორის შუღლის შეჩერებაა. ნათელია, ამ ეპიზოდით რისი თქმა სურს. საქართველოსაც არაერთგზის მოუწყო განსაცდელი უფალმა, ბევრჯერ ჩამოინგრა ცა, მეფეს აწუხებს ის, რომ ქართლი შურმა და მტრობამ შეჭამა. ის რაც ძმათა შორის შუღლმა მოუტანა ქვეყანას, ვერც ერთი მტერი მსგავს

ვერას უზამდა. მე-17-მე-18 საუკუნის საქართველოს ისტორიას თუ თვალს გადავავლებთ, მართლაც სავალალო მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, ამილახვარი ციციშვილს უღერებს ხმალს, ამირეჯიბი ვაჩნაძის სისხლსა სვამს და ქვეყანაც ამან დაამხო (36,196). ბაგრატიონთა კახეთის შტოს წარმომადგენლის წინააღმდეგ იხლართება ინტრიგები. მცირეწლოვან თეიმურაზს უწევდა, როგორც მაჰმადიანთა ხანების, ასევე მოქიშპე თავადების ალაგმვა და ნათესავ ბაგრატიონთა მოგერიება. თეიმურაზ მეფის სწორმა საგარეო თუ საშინაო პოლიტიკამ საბოლოო შედეგი გამოიღო და როგორც ვიცით 112 წლიანი პაუზის შემდეგ სვეტიცხოველში ქრისტიანული წესით ეკურთხა. ავტორმა იაკობის კურთხევის ამბავში ქართველთა ყოფა ასახა და მიიტანა მკითხველამდე. მეფის, ლიდერის როლი ქვეყნის ერთსულად შეკვრის საქმეში პოეტმა აჩვენა იმ ეპიზოდში, სადაც ღამე პირდება დღეს უამბოს ებრაელების გამოსვლის ამბავი. თითქოს ეს როლი მოირგო ავტორმც, როგორც ქრისტიანული წესით კურთხეულმა მეფემ, რომელსაც გადაგვარებული ქვეყნის განსაცდელიდან გამოყავანა დაუსახავს მიზნად და ბიბლიური სახე სიმბოლოებით, გარკვეული ეპიზოდების გალექსვით სურს განუნათლოს გონება ხალხს და მოაბრუნოს ჭეშმარიტებისაკენ.

კამათი გრძელდება, დღისით მართლმსაჯულება წარმოებსო, აღნიშნავს დღე, ღამე კი ადგილი აქვს დანაშაულებრივ ქმედებასო:

„ბევრი ქურდობა და სიძვა რამდენი ქმნილა ბნელობას,
სისხლი უბრალო კაცისა დათხევით მისცენ მკვლელობას,
დღისით ამაებს სამართლით გაწმინდენ ახალს ძველობას.“

ღამე კიდე თავს იმართლებს ,დღისით არანაკლები ბოროტება ხდებაო.

თხზულების ავტორი თითქოს გვერდზე დგას და არ ერევა მოწინააღმდეგეთა კამათში და აცდის მსჯავრის გამოტანას. თუმცა, პოემის მსვლელობას თუ თვალს მივადევნებთ, შკარაა ავტორის დამოკიდებულება დღისაკენ იხრება .

ნაწარმოები სრულდება შემდეგი სიტყვებით:

„აწ დავასრულოთ დღისა და ღამის ბაასობანი,
ეს კმარა საჩხუბავადა, ისევ მათ უჯობს წყობანი,
მეც მომეწყონა ლაყაფი ბევრი, ამ სიგრძე თხრობანი,
გავათავე და კიდეცა მეყო ამ ლექსთა მბობანი.“

თხზულების პირველი ნაწილი ,გახლავთ წმინდა წიგნის პერიფრაზირება და გალექსილია ის მონაკვეთები, რომელთა მოხმობა საჭიროდ ჩაუთვლია ავტორს. კერძოდ, ადამის შესაქმე, წყლით რღვნა, ისაკის შეწირვა ,იაკობის კურთხევა, იაკობის თავგადასავალი, ელიას ამალღება, ხარება, შობა, წინადაცვეთა, მირქმა, ფერისცვალება, ლაზარეს აღდგინება, იერუსალიმს შესვლა, ქრისტეს ვნება, სერობა, ნათლისღება, სერობა, ჯვარცმა, გარდამოხსნა და დაფლვა, წმინდა პასხა, შობითგან ბრძმის განკურნება, ამალღება ,სულთმოფენა, ღვთისმშობლის მიცვალება.

ჩამოთვლილთაგან თითოეული პასაჟის გაცოცხლებით ავტორს ერთი იდეით აქვს განპირობებული, ავტორს სურს დააფიქროს მკითხველი სარწმუნოებაზე, რწმენაზე, რათა აღარ გადაიხაროს უფლისაგან, რომლის საშიშროებაც ნამდვილად იყო იმ ეპოქაში. საინტერესოა ეპიზოდები ლუკას სახარებიდან, სადაც ღვთის განკაცებაზეა საუბარი. ის კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ღვთის ორბუნებიანობაზე, უკიდურეს სიზუსტეს იჩენს თხრობის პროცესში, ასევე, ბიბლიური ლეგენდების საფუძვლიან ცოდნას ამჟღავნებს, თუმცა ლაფსუსებიც გაპარვია, თუნდაც ის, რომ ლამექი, რომელიც ბიბლიის მიხედვით მე-5 თაობაა კაენისა, აქ მე-5 შვილად არის ჩათვლილი (შესაძლოა, თეიმურაზი აქ შვილში ზოგადად შთამომავალს გულისხმობდა. ევასი და ადამის შეცთომის ამბავში ევა გველისაგან დედობრივის წესით ტყუვდება. ქალი მაცდურად ადამის შეცდენის შემდეგ აღიარეს, მანამდე როდი იყო ცნობილი მისი თვისება. კორექტირების შეცდომით ჩანს გაპირობებული ის ფაქტი, რომ `იოსების ამბავი სინამდვილეში მართალი და მრავალტანჯული იობის ისტორიას შეიცავს. იგი თხზულების შემდეგ გამოცემებში ჩასწორებულია. ათი ცნების ხსენების მოხსენიებით კი ჩანს ,რომ პოეტს ყურადღების მიღმა არ რჩება ბიბლიური პერსონაჟების ცხოვრების არც ერთი მნიშვნელოვანი მომენტი.

თეიმურაზ მეორე თუკი ძველი აღთქმიდან ლექსავს ეპიზოდებს, ახალი აღთქმიდან ლექსავს იმ ადგილებს ,სადაც ქრისტეს ცხოვრება ვრცლადაა აღწერილი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ავტორს გარკვეული მიზანი ჰქონდა და ეს გახლათ აღმზრდელობითი მეთოდი. საგულდაგულოდ შეუჯერებია ბიბლიის საკითხები. ის ახალი აღთქმის წიგნებიდან ეხება ევანგელეს, მოციქულთა საქმეთაგან რამდენიმე წერილს და იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებას. ქრისტეს ცხოვრების შესახებ

მოთხრობილია ოთხ განსხვავებულ წიგნში: მათეს მარკოზის ლუკას და იოანეს სახარებაში.

თეიმურაზ მეორეს სათანადოდ აქვს შეჯერებული ოთხივე სახარება და იმ ნაკულებას, რომელიც შეიძლება რომელიმე სახარებაში იყოს თვითონ ავსებს და ურთავს ეპიზოდებს. თეიმურაზ მეორის ამ ნაშრომის გაცნობა ამყარებს იმ აზრს, რომ ავტორს დიდაქტიკური მიზანი ჰქონდა.

ახალი აღთქმიდან შემდეგი ადგილები გაულებსავს ავტორს: ზაქარიას დადუმება, ხარება, შობა, წინადაცვეთა, მირქმა, ფერისცვალება, ლაზარესადდგინება, იერუსალიმს შესვლა, ქრისტეს ვნება, ნათლისღება, სერობა,ჯვარცმა, გარდამოხსნა და დაფლვა, წმინდა პასქა, გვერდის განხილვა, განრღვეულის განკურნება, შობითგან ბრმის განკურნება, ამაღლება, სულთმოფენა, ღვთისმშობლის მიცვალება, გამოცხადება უფლისა, ასევე, მოციქულთა საქმეებში გაბნეული მოძღვრებებიდან ადგილები -ცხრა ნეტარება,ათი მცნება, შვიდი საიდუმლო..

თეიმურაზ მეორე ნაწარმოების მეორე ნაწილს, რომელიც საერო თემებს მოიცავს, ასევე საეკლესიო თემატიკით ამთავრებს. რითიც მან აშკარად გამოხატა თავისი პოზიცია. მან შენიღბა თავისი ნაწარმოები და სათქმელიც განსხვავებულად გადმოსცა. „დღისა და ღამის“ გალექსვით ავტორმა სიკეთისა და ბოროტების მარადიულ ბრძოლაზე გაამახვილა ყურადღება. საინტერესოა დღისა და ღამის კამათის დროს წამოჭრილი საკითხები, სადაც უპირატესობა დღეს ენიჭება, თუმცა არც ღამე რჩება ვალში,მაგრამ მთელი მათი მსჯელობა მიმართულია იმისკენ, რომ გამოვლინდეს ერთი ჭეშმარიტება: „ქართველი მუდამ უნდა ზრუნავდეს საკუთარი თავის სრულყოფისათვის, რაც მიიღწევა ქრისტიანული დოგმის დაცვითა და ქართული ზნეობის შენარჩუნებით. ეს კი მუდმივი სწრაფვაა რელიგიური თუ მოქალაქეობრივი სრულყოფისაკენ.

ქართულ აგიოგრაფიულ და ჰიმნოგრაფიულ მწერლობიდან შეიძლება მოვიყვანოთ უამრავი მაგალითი ,სადაც სიბნელე არის უმეცრების მაგალითი, ხოლო სინათლე აბსოლუტური ჭეშმარიტებისა სწორედ ამიტომაც მზე მთვარეს უმტკიცებს ,რომ ის უპირველესია:

„უბრალო სიტყვის მრავლობა ცუდია,ბნელო,ენითა,
უზესთაესი მზე არის,ნუ ხარ ამაზე წყენითა,

რიტორნი, ფილოსოფოსნი აქებენ შუქთა ფენითა,
ვითა შვენოდათ ქებანი, შეასხეს ბრძენთა ენითა“

დღისა და ღამის კამათში დღე თავს თითქოს გამარჯვებულად გრძნობს და ნიშნის მოგებით მიმართავს ღამეს : „მე ნათელი ვარ, მენ ბნელი, -ეს ჩემად ქებად კმანია“. ავტორი მკითხველს დღისა და ღამის გაბაასებაში აშკარად აჩვენებს თავისი შემოქმედების შთანაფიქრს. მართალია დღემ იმდენივე ქველობა დაასახელა თავის სასარგებლოდ, რამდენიც -ღამემ, თუმცა კამათს დღე ასე ასრულებს:

„ოდეს იქმნეს აღსასრული, განსჯად ქრისტე გარდმოხდების,
მის წინაშე სამართალი ყველა დღისით გარიგდების,
თუ არ მართო ჯოჯოხეთში ბნელი, ყველგან განქარდების,
ღამე სრულად უჩინოა, ღვთის მადლითა განათლდების“.

თეიმურაზ მეორის შემოქმედებაში ნათელისა და ბნელის დაპირისპირება ლიტერატურულ ხერხს უნდა წარმოადგენდეს, რათა მოხერხებულად ეჩვენებინა მკითხველისათვის თვისი სათქმელი, მისი მიზანი ქრისტიანული დოგმატიკის შეხსენებაა, გაბაასებისას თეიმურაზი მიჰყვება სიმბოლურად „ბიბლიის ხაზს და საღვთისმეტყველო ლიტერატურას, ამიტომაც „დღისა და ღამის გაბაასებაში“ ნათლისა და ბნელის სიმბოლიკა არის ბიბლიური და ჰაგიოგრაფიული.

§3.3 რელიგიური სიმბოლოები თეიმურაზ მეორის შემოქმედებაში

ქართული ლიტერატურა, როგოც ზემოთ აღვნიშნეთ, სავსეა უფლისადმი საგალობლებითა და ღიად თუ დახურულად ატარებს ბიბლიურ, ქრისტიანულ იდეოლოგიას, რომელშიც ხშირად ვხვდებით უფლის სახე-სიმბოლოებს. ცა, ბეთლემი, მთა, კიდობანი, ეტლი, სასანთლე სასაკმევლე და სხვა. ამა თუ იმ ნაწარმოების ბიბლიასთან მიმართებაში განხილვისას მკვლევართა მიზანს წარმოადგენ, გამოიკვლიონ ის მინიშნებები, რაც ამათუ იმ მწერლის შემოქმედებაში გვხვდება, მიუთითებენ ბიბლიურ წყაროზე, რელიგიურ შეხედულებებს განიხილავენ და ალეგორიულ-მისტიკურ შრეებს ეძებენ მათ ნააზრევში. ქართული ლიტერატურა ზოგადად უხვად ინახავს ქართულ ნაწარმოებებში უფლის სახე-სიმბოლოებს.

მაგალითად, თეიმურაზ პირველის „ვარდულებულიანში“ ვარდი ჩათვლილია ძე ღვთისას ალეგორიად. ასევე, თეიმურაზ პირველი „ლეილმაჯუნუნიანის“ შესავალში წერს:“

„ნივთთა უკანა დგომამან სული ცეცხლზედა წამირთოს,

სიტყვა უქმისა პატიჟმან ჭირი ჭირზედა დამირთოს,...“

„ღმერთო, რომელი თვით სიბრძნე ხარ სიბრძნის მომცემელობით,

არსისა არაარსისა სიტყვით დამზადე მქნელობით“..

სხვა ეპოქისა და მიმართულების ავტორთა შემოქმედებაში უფალი სხვადასვა სიმბოლოებითაა გადმოცემული. .ცა უფლის საყდარია, რომელიც სიმართლის მზეს ამოაბრწყინებს. მთა არის ღვთის მორჩილებისა და შეწყალების უნივერსალური სიმბოლო (აბრაამმა სწორედ მორიას მთაზე აიყვანა ისააკი, რათა უფლის ნება შეესრულებინა - შეეწირა მისთვის შვილი). (მათ. 5, 6-7). საყურადღებო და სიმბოლოურია ის ფაქტი რომ „მთის“ სიმბოლოური დატვირთვას განსაკუთრებული ადგილი უკავია არა მარტო ქრისტიანულ, არამედ სხვა რელიგიებშიც. მაგალითად, იუდაისტური მოძღვრების თანახმად სახელი „იაჰვე“ იეჰოვა მოსეს ეუწყა ჯერ ქორიბის მთაზე, შემდეგ კი სინას მთაზე. მოსე იყო მეორე, ვისთანაც საუბარი ინება უფალმა და აუწყა: „ მე ვარ, რომელიც ვარ“. ღმერთი მოსეს მეშვეობით ებრაელ ხალხს ორი ფიქლის ქვაზე დაწერილ ათ მცნებას აძლევს და მას ათავსებენ ერთგვარ სკივრში, რომელსაც იუდაიზმში აღქმის კოდობანი ეწოდება.

მთის სახესიმბოლო გამოყენებული არის ისლამშიც. როგორც ე.წ. „სუნას“ ანუ წმინდა წერილების მიხედვით ცნობილია წინასწარმეტყველი მუჰამედი მთაზე ადიოდა და მხოლოდ იქ ესმოდა ღმერთის შთაგონება, რომლის მიხედვით შეადგინა წმინდა წიგნი ყურანი. ყოველივე ეს საფიქრებელს ხდის, რომ უფლის სახესიმბოლოების ზოგიერთი ნაწილი წარმართობიდან იღებს სათავეს და სინკრეტიზაციას განიცდის შემდგომ აბრაამისტულ რელიგიებში (იუდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამი) (თინიკაშვილი, 2011:25;62;197).

კიდობანი. უფლის დამტევნელ სიმბოლოთაგან მეტად მნიშვნელოვანი და დატვირთული შინაარსის მქონეა ეს სახე. `ცოდვით დაცემა, გადარჩენა, ხსნა,სულიერი დამკვიდრება და კვლავ აღმოცენება, საღვთო წერილის მიხედვით,

ბიბლიურ შჯულის კიდობანშია გაცხადებული და ამიტომაც ქრისტიანული სიმბოლიკით, ის თავად ტამარია - უფლის სახლი.

ტაბლა. ძველი აღთქმის ეკლესიის წმიდა ნივთთაგან ყოვლადწმიდა ქალწულის ერთ-ერთი წინასახე ტაბლაც იყო. გამოსვლათა წიგნი მოგვითხრობს, რომ მსგავსად კიდობნისა, ტაბლაც ულპობელი ხისგან იყო გაკეთებული: „და ჰქმნე ტაბლა ძელთაგან ულპოველისა“ (გამ. 25, 23).

ტამარი. უფლის სამკვიდრებელი წმიდა ქალწულის ერთ-ერთ წინასახეს წარმოადგენს ტამარიც, რომელიც „უფლის სახლია“ - წმინდა ადგილი, კოსმიური ჰარმონიის მიწიერი ანარეკლი, ადამიანის ღმერთთან მიახლების საკრალურად შემოსაზღვრული არე -“ სიმბოლო თავად სამყაროსი“ (5, 64). ბიბლიის ლექსიკონში ტამარის სიმბოლოში გაცხადებული საიდუმლო მიწიერ საზრისს უკარგავს მას და უფლის მყოფობის მარადიულ სახედ აქცევს.

მთვარეზე ნათქვამია, რომ იგი შექმნილია უფლის მიერ და მის სადიდებლად. სანთლის მნიშვნელობა ახსნილია თეოლოგიაში, სადაც იგი უფლის სათნო მოღვაწეობადაა მიჩნეული: „რომელმან აღანთოს სანთელი თასი, ნუ დაშრეტნ მას“. „ღმრთის ღრუბელი“ - უფლის მიერვე შექმნილი, ღვთაებრივი სიბრძნისა თუ ძლიერების გამომხატველი. (გრიგოლია თამთა. ღვთისმშობელი ქართველ ჰიმნოგრაფთა სახეობრივ მეტყველებაში, თბ. 2012, გვ. 139)

კიბის სახისმეტყველებითი ასპექტი საინტერესოდ აისახა „მოქცევა ქართლისაიში“, სადაც უფლის კვართის დაფლვის ალაგზეა საუბარი: „აქა არსო ადგილი სამარხვოი მისიო, რომელსა ენანი კაცთანი არა დადუმნენ გალობად ღმრთისა მიმართ, მას ზედა არს ადგილი იგი, ვითარცა ადგილი იაკობისი კიბედ ხილული და ზეცად აღწევნული ამიერითგან და უკუნისამდე, დიდება და ქება მოუკლებელ“ (ძეგლები 1963: 130). ე.ი. სვეტი ცხოველი, უფლის კვართის დაფლვის ადგილი და იაკობის კიბე სახისმეტყველურად ერთნაირადაა გააზრებული, რადგან ორივეს ფესვი მიწაზე აქვთ და წვერით ცას სწვდებიან. მათი საფეხურების ავლა მორწმუნის სულიერი სათნოებისკენ ზეაღსვლას მოასწავებს. კიბე და სვეტი ცხოველი ცისა და მიწის კავშირია, წარმავალი ყოფის მარადიულობასთან ზიარებაა, რაც თავდაპირველად ისრაელში, საუკუნეების შემდეგ კი ქართლის მიწაზე გაცხადდა. სვეტი ცხოველის მიწიდან ზეცად აღმართვა ქართლის საკრალიზების, მცხეთის მეორე

იერუსალიმად მიჩნევის კიდევ ერთი დასტურიაქართულ მწერლობაში. (ბუბუტეიშვილი ლაშვირა.საღვთისმშობლო სიმბოლიკა V-XI საუკუნეებისქართულ მწერლობაში,ჰაგიოგრაფია, ჰიმნოგრაფია,თბ.2009,გვ,17).

აღსანიშნავია, ასევე უფლის სიმბოლიკა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში, რაც კარგად ჩანს შემდეგ ნაწარმოებებში: „ბაზალეთის ტბა“.სწორედ, ბაზალეთის ტბიდან აკვნის ამომტანი გმირი გასწევს ერის წინამძღოლის დიდ მისიას. ამალღებული გონებითა და ფაქიზი სულის რჩეული, ყველაზე უწინ გრძნობს და მძაფრად განიცდის ერის ტკივილს; სულიერი მღვიძარებით თვალახელილი ჭკრეტს და გულისყურით ისმენს მძინარე მამულის კვნესას. მას პირველს ეუფლება ჭემმარიტება, არდავიწყება „მამულისა ჩვეულებისაებრ სლვისა“ და უფლის წიაღში კვლავ მიბრუნების აუცილებლობა, რამეთუ `“კეთილ არს ბაძვაი. კეთილისათის მარადის“.(პაიჭაძე,2008:16).

მოცემულ ჭრილში ამა თუ იმ ნაწარმოების განხილვისას გამონაკლისს არც თეიმურაზ მეორის შემოქმედება წარმოადგეს, სადაც უფლის სხვა მეტაფორებზეა საუბარი. „სიტყვა ღვთისა“,“სიბრძნე და სიტყვა მამისა“, “დღე“, „სიტყვა“. ასევე, სინტაგმაზე „მე ქუხილისა“.იოსებ არიმათიელის მიერ უფლის წმინდა სხეულის გარდამოხსნისა და დაფლვის აღწერისას წერს:„სიბრძნე და სიტყვა მამისა კაცობრივ დაიფლვებისა“. ხოლო პოემის შესავალში მამის თანაფარდად თვლის ძესაც და ამბობს:

„უაღრეს ცნობისა მიერ, ორ-კერძო ბუნებითაო,
საზღვართა ქალწულებითა შობა იქმნების ღვთითაო,
ესრეთ აგრილობს მას ძალი თვით გვამოვანი ჭკვითაო,
სიბრძნე და ძალი ღვთაების არს მისის სწორებითაო“

ხოლო დღისა და ღამის ბაასის დროს დღე ერთ-ერთი მონოლოგისას ღამეს ახსენებს:

“ღმინსა და გაჭირვებაში კაცისთვის ბევრი მირგია,
ძალო.კაცის სიცოცხლე დღე არის, სიტყვაცა მათი იგია“.

ზოგადად ლიტერატურაში დღის სიმბოლიური გაგების მიხედვით არსებობს დღე წარმავალი და დღე მარადიული. ადამიანები ცის ქვეშეთში წარმავალი დღის ნათლის მხილველნი არიან, მაგრამ არსებობს დღე, სადაც მზე მარადიულ სხივებს

ჰენს მორწმუნეთ. არსებობს დღე სასჯელისა, სადაც წარსდგება ადამიანი სულიერი ღვაწლით, თითიული ჩვეგანის ცხოვრება არის მზადება ამ დღის შესახვედრად, რათა გავმართლდეთ უფლის ჩვენის წინაშე ჩვენი ღვაწლით. დღე მშვენიერი სასუფეველისეული გაგებაა დღისა. ამ გაგებით „დღეს“ ვხვდებით ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში, ასევე „ვეფხისტყაოსანში“.

სასულიერო მწერლობიდან არაერთი ნიმუშის მოხმოზა შეიძლება, რომელშიც ეს სახეები უფლის მეტაფორად თუ ეპითეტად არის გამოყენებული. საზა სვინგელოზთან და იოანე მინჩხთან ისინი უფლის მხატვრული განსაზღვრებებია: „ნეფსით საუფლო პირი კაცთა ზედა ასტიფრე, შეუძვრელო ბეჭედო და ხატო მამისა არსებისაო, გუამოვანო სიტყვაო, სიბრძნეო და ძალო. კაცის სიცოცხლე დღე არის, სიტყვაცა მათი იგია“. მკვლევართა აზრით საქმე უნდა გვქონდეს ღვთის სიტყვასთან. ასევე, ფიქრობენ, იესო წარმოგვიდგება, როგორც მოარული სიტყვის ღვთაებრივი სუბსტანცია. საქრისტიანო მწერლობაში სიტყვა იგივე ღმერთია და სამყაროს შემოქმედი. ფერისცვალების გალექსვისას თეიმურაზი იოანეს მისამართით იყენებს ტერმინს „ძე ქუხილისა“:

„მას ჟამსა შინა შემდგომად იყო ექვსისა დღისაო,
პეტრეს, იაკობს მთად იწვევს, მასთან ძე ქუხილისაო,
მან აღიყვანა იგინი მთასა მას ზეთისხილსაო.“

ქუხილი უფლის მეტაფორადაც გვევლინება ძველ აღთქმაში. იგი ეგვიპტელებს ქუხილად, სეტყვად და წვიმად წარმოუდგება: „აღირთხა მოსე ელი თასი ცად და უფალმან მოსცა ამაღ ზეცით გარდამო და იყო ქუხილი. და მოიდა სეტყუაჲ სასტიკი და რბიოდა ნაბერწყალები ზედა ქუეყანასა მას.“ ამჯერად, თეიმურაზ მეორის პოემაში ეს სინტაგმა უშუალოდ ახალი აღთქმიდან არის გადმოსული. ბიბლიური პერსონაჟები შედარების ობიექტებადაც არიან გამოყენებული თხზულებაში.

„თქვენც სუფევთ, მეფევ, კურთხევით, ვით აბრამ მეუღლითაო“...

„ვით უქმნა ღმერთმან ადამსა ევა მის ცოლად გვერდითა...“

იყვენით მისებრ ღვთისაგან კურთხევით გაერთებიო“.

„მეფესა მართებს სიამე_გვერდს უჯდეს ამისთანასო,

ისე შებერდეს მეუღლეს, ვით იოაკიმ ანასო!“

უნდა ითქვას, რომ ამ სახე-სიმბოლოების გააზრებისას მეფე-პოეტი სასულიერო მწერლობის გავლენას განიცდის, თუმცა უმთავრესად მაინც ბიბლიას ეყრდნობა ავტორი.(თამთა როგავა,2009:142)

თეიმურაზ მეორის შემოქმედება ეხება ფიზიკურ ნათელსა და ბნელს შორის არსებულ სხვაობას. სრულყოფისაკენ. როგორც ვხედავთ, ნათელი და ბნელი ქართულ მწერლობაში სიმბოლურ დატვირთვას ღებულობს და ამის უამრავი მაგალითის მოხმობა შეიძლება აგიოგრაფიული ნაწარმოებიდანაც, სადაც სინათლე არის სრულყოფილება, ხოლო სიბნელე -უმეცრება და უფალი კი მათ შორის გზამკვლევი.ნათლის სიმბოლიკა,რომელმაც საფუძვლიანად დაიმკვიდრა ადგილი ქრისტიანულ რელიგიაში ,მწერლობამ ის დაამუშავა,როგორც ნათელი სიკეთის სიმბოლო,ხოლო ბნელი ბორიტებისასიმბოლო ნათელისა და ბნელის სიმბოლოურმა დატვირთვამ თითქოს გამოძახილი ჰპოვა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაშიც. ისევე, როგორც თეიმურაზ მეორე,ილია ჭავჭავაძეც განსაკუთრებულ დატვირთვას აძლევს დღის სიმბოლიკას:“.. არა, წარიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავის ძილითა და სიზმრებითა და მომეცით მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავის ტანჯვითა, წვალიბითა, ბრძოლითა და ვაი-ვაგლახითა! ჰოი, ბნელო ღამევე, მეჯავრები შენ მე! შენ რომ არ დაარსებულიყავ ქვეყნისათვისა, მე მგონია, რომ ნახევარი უბედურობაც ადამიანისა ქვეყანაზედ არ იქნებოდა“(ჭავჭავაძე,2011:26).

თავის პოემაში თეიმურაზ მეორე“ დღისა და ღამის გაბაასებისას“, ნათლის სულიერ ასპექტს ასე განიხილავს:

ნათელს უწოდა დღედ სამე, ეგრეთვე ბნელსა ღამეთა,
მოსე სწერს: იქმნა მწუხრიო. ქმნად კმარა ეს ერთ ჟამეთა,
განთიად იყო იგი დღე, პირველი რომელ ვწამეთა,
ღმერთი ზრახვიდა პირის-პირ, ჩვენ მისგან შევიწამეთა. (16) [14,3].

ავტორი ახსენებს რა დღესა და ღამეს ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ დღეცა და ღამეც უფალმა დააწესა. თუმცა, რაკი ზღვარი დადო მათ შორის გამოაცალკევა ისინი. გაბაასების დასაწყისში კამათს იწყებს დღე და ხაზს უსვამს თავის უპირატესობას და არგუმენტად „ღვთისაგან ქმნას“ ასახელებს.და აქვე აღნიშნავს,რომ ღამის შექმნაში ღვთის ხელი არ ურევია.

თვით მისგან დაბადებული შენზე ვარ ბევრ-გზის მეტობით,

ღვთისაგან არა არსებით, ყოფილხარ პირველ ბნელობით.(20,3-4)

დღე აგრძელებს თავისი უპირატესობის მტკიცებას და ამის გასამყარებელ არგუმენტად მოიშველიებს მზეს, რომლის საშუალებითაც ის ღამისაგან გამოიყოფა, ღამე ცდილობს აჰყვეს კამათში, რადგან ის ფიქრობს, რომ ორივენი ღვთის ქმნილებანი არიან, რადგამ მზეცა და მთვარეც ერთნაირად გაუნაწილა უფალმა სამყაროს:

შენ თუ წილად გხვდა მარტო მზე, მე ღმერთმან მომცა ექვსი და:

მთვარე, ოტარიდ, მუშთარი _ არ არის უარესი და,

ზუალ, ასპიროზ, მარიხი, მნათობი მუნ არესი-და!(23) [14,4].

დღისა და ღამის ერთმანეთთან გაბაასებით თეიმურაზ მეორემ ამ ორი გენიის; დღისა და ღამის დადებითი და უარყოფითი მხარეები გვაჩვენა :

„ვინც უყურებს ამ ლექსებსა ,ნახავს კაის სანახებსა ,

შურს ცაუგდებს დღე- ღამესა ,ერთმანეთზე აჯახებსა.“

კამათის მტავარი თეზაა:“დღეს დაეწესა ნათელი ,რამეს-სიბნელის წესობა“. ღამე არ ეპუება და ცდილობს, დღეს აზრი გადაათქმევინოს, უმტკიცებს, რომ ორივე ფენს შუქს და განსაზღვრული აქვს საკუთარი ორბიტა ცაზე.დღეც კატეგორიულად უცხადებს, რომ წყვდიადისგან გამოცალკეება მოხდაუფლის ნებით. ეს სწორედ მისმა სიტყვებმა `იყავ ნათელი განაპირობა.ამდენად, იგი გაცილებით დიდია ღამეზე.დღე ,ბუნებრივია არ უთმობს ,

“მზესა სხვათმნათობთ რით ადრიო“

რადგან მან განანათლა ბნელი ,ამისათვის აქებს და ადიდებს მზეს,

„უზესთაესი მზე არის, ნუ ხარ ამაზე წყენითა ,

რიტორნი,ფილოსოფოსნი აქებენ შუქთა ფენითა „

საბოლოოდ, ციური მნათობები ვერ რიგდებიან, ერთმანეთის შეფასებაში და ამ საკითხზე კამათს წყვეტენ, ისინი თანხმდებიან გამოააშკარავონ, `რაც ღვთისგან კეთილი მომხდარა დღით, თუ ღამითო. კეთილ ამბებში შედავება გადაუწყვეტია წყვილს. თუმცა, აღმოჩნდება, რომ კეთილთან ერთად ბოროტიც ბევრი მომხდარა, თან მეტი წილი მოვლენებისა დღეზე მოდის. შესაბამისად, უარყოფითი ამბებიც მეტი გამოვლინდა მის მხარეს. ღამე ნიშნისმოგებით ეუბნება „საშინელი ესე ცოდვა დღისით მოხდა ეშმაკისად“-ო, და უყვება კაენისაგან ახელის სიკვდილისა და შემდეგ ღამექისაგან პირველი მკვლელის მოკვდინების ისტორიას. საბოლოოდ, კამათი

კულმინაციამდე ადის. „ზნელო, დღისა რა ბრალია – კაენ იყოს ძმისა მკვლელი,“ – პასუხობ სდღე. დღის გამუდმებულ ლანძღვასა და კამათს არც ღამე ჩამორჩება თავის დასაცავი და დღის მამხილებელი მაგალითებით:

„მიკვირს, დღეო, რად ვერ დაშვერ გრძელ საუბარ ამბის თქმითა?

სიტყვა გიგო შესატყვისი, ზარ-ტეხილ გყო მდაბლის ხმითა“

დღე იგონებს ადამის გაჩენის ,ევასა და ადამის შეცდომას წყლით რღვნას, ისაკის შეწირვას, იაკობის კურთხევას , იობის ამბავს, ელიას ამალლებას ,...სულიწმინდის მოსვლას. ღამე იგონებს კაენისაგან აბელის შობას, ნათლისღებას, ფერსიცვალებას, ვნებას და გარდამოსნას...ღვთისმშობლის მიცვალებას.

საგულისხმოა, რომ დღე და ღამე არა მხოლოდ ჩამოთვლიან ზემოხსენებულ ამბებს, არამედ ზოგჯერ საკმაოდ მკაცრად ჰკიცხავენ კიდევ ერთმანეთს და ბრალს სდებენ ამა თუ იმ დანაშაულში.

„მართლა თქვი ,დღეო დღისითა ადამ შეიქმნა ღვთისაგან ,

ისევ დღისით სცოტენ ორივე ჭამეს მის ნაყოფისაგან,

დღით დაემართათ ღვთის წყრომა, განვარდენ სამოთხისაგან“

(ბარამიძე , 1966:622)

დღე იმდენადაა დარწმუნებული თავის სიდიადეში, რომ ღამეს დამცინავადაც კი ესაუბრება:

„ღამევ, თუმცა შენი საქმე ჩემს საქმესთან ვერ მისწვდების,

ენა ცუდად დაგიშვრების ბევრის ლიქნით დაგიდგების,

რამდენიც თქვა ბევრი სიტყვა ჩემთან ვერა გამოჩნდების“

კამათში ღამე თითქოს უფრო თავშეკავებულია, აცლის ლაპარაკს დღეს, თუმცა თავის სასარგებლოდ ინახავს საინტერესო ფაქტებს. ღამე ფიქრობს, რომ ეს ცნებები ქედს მოახრევიანებს ამპარტავან დღეს, საჭირო ვითარებაში ის მიმართავს დღეს:

„დღეო, როგორც დაგაცალე, მეც მაცალე სიტყვის თქმევად,

სიტყვა მოგცე მთელი სწორად, არ ტყუილის გასარევად,

აწ შეიტყო, ჩემი საქმე შეიქნების გასარკვევად“

ამის შემდეგ კვლავ დღე ბაასობს სხვადასხვა ცნებების შესახებ. საკმაო სისრულით გვამცნობს შვიდივე საეკლესიო კრების ისტორიას, სასულიერო, საეკლესიო საკითხებზე მსჯელობისას დღე აცადებს:

„მე დავასრულე საღმრთო და სითყვა ვთქვი მოსაწონიო,
მართალი,სულ ჭეშმარიტი,კარგი რამ გასაგონიო,
მთლივ მითქვამს სითყვა სწორეთა,რა დამრჩა მოსაგონიო,
საღვრთო გათავდა, აწ ,ღამევ მოგიყვე საერონიო.“

რაც შეეხება დროს, თუ როდის მოგვევლინება უფალი, განსაზღვრული არ არის.
ამდენად, დღე ამ სიუჟეტს თავის სასარგებლოდ ვერ გამოიყენებს,
ამიტომაც, გულახდილად ამბობს:

„ მართლ გეტყვი, სწორად არ ვიცი _ დღით მოვალს ანუ ღამითა
,მეც არ ვიციო_ თვით ბრძანებს კაცობრივისა ძალითა,
ასე ვთქვათ: ღამით მოვიდეს, გინა ბნელობის ჟამი
ბნელი განქარდეს ღვთის მოსვლით, განსჯიდეს სამართალითა.“

თუმცა დღე-ღამე კამათს თავიანთი უპირატესობის გამოსავლენად მართავს იგი.
მხოლოდდამხოლოდ გამართვის ფორმაა იმ სათქმელისთვის, რაც პოეტს აწუხებს.
ეს კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის მუდმივი სწრაფვა რელიგიური თუ
მოქალაქეობრივი სრულყოფისკენ.

<http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/164294/1/Disertacia.pdf>(20.06 2019).

უნდა ღინიშნოს,რომ ნათლისა და ბნელის სიმბოლიკა იმკვიდრებს ადგილს
თითქმის ყველა რელიგიაში. ქართულ მწერლობაში ნათელის სიმბოლიკა სიკეთის
მომასწავებელია. ასევე, ის უფლის მეტაფორად ითვლება. მამათა და ძველი
ქართული აგიოგრაფიის ავტორთა შორისაც მდგარა საკითხი, თუ რა კავშირი, რა
მსგავსება თუ სხვაობა იყო ნათელსა დაბნელს, რწმენასა და ურწმუნობას, კეთილსა
და ბოროტს შორის. `წმინდა გობრონის მარტვილობაში` ვკითხულობთ: `რაი
სწორება არს ნათლისა დაბნელისა ანუ რაი სწორება არს ბელიარისა ქრისტესთანა
ანუ რაი ნაწილიუც ურწმუნოსა მორწმუნისა თანა
<http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/164294/1/Disertacia.pdf>(2020.18.02).

ქართულ,ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში უხვად მოიძებნება მაგალითები, სადაც
სიბნელე-უმეცრების, ხოლო სინათლე-აბსოლუტური ჭეშმარიტების სიმბოლოდაა
მიჩნეული. ბუნებრივია ამ შეხედულების პირველწყაროს წარმოადგენს ბიბლია,
რადგან ბიბლიაში ნათელი და ბნელი სხვადასხვა სახითაა წარმოდგენილი: ღმერთი
ნათელი,მამა ნათელი,ხოლო ბნელის სახით მას ხშირად წყვდიადი უპირისპირდება.

დასაბამად ქმნა ღმერთმან ცა და ქუეყანა. ხოლო ქუეყანა იყო უხილავდა განუმზადებელ და ბნელი ზედა უფსკრულთა და სული ღმრთისა იქცეოდა ზედა წყალთა. და თქუა ღმერთმან: იქმენინ ნათელი და იქმნა ნათელი. და იხილა ღმერთმან ნათელი, რამეთუ კეთილ და განწვალადღმერთმან შორის ნათლისა და შორის ბნელისა (დაბადება, 1-4)[5,48]

ბიბლიური წყარის მიედვით, ღმერთი თვით ნათელი და თვით მნათობი უხილავია, ნათლის შემოტანით უფალმა ყოველივეს მოწესრიგება დაიწყო. არეოპაგიული მოძღვრების მიხედვით, ღმეთი არის საცნაური, სახიერება ნათლისა, რომელიც ირგვლივ ყველასა და ყოველივეს განეფინება. ე.ი.ნათელი მომდინარეობს ღმერთისაგან. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ძველი ქართული სასულიერო მწერლობაც აღიარებს ნათელის ორგვარ სახეს: თვითმნათობი ნათელიდა უსაბამო, უსხეულო ნათელი. ბუნებითი იგი ნათელი არის შემოქმედი ღმერთის სახელები, მისი ძირითადი ატრიბუტები, რაც მიუთითებს, რომ ფიზიკური ნათლის შექმნამდე არსებობდა დაუსაბამო, მარადიული ნათელი. ქართული სასულიერო თუ საერო მწერლობიდან ამოკრებს იმ ადგილებს, რომლებშიც ნათლის ესთეტიკა იკვეთება. ამგვარად, საერთოდ ქრისტიანულ თეოლოგიაში და ქართულ სასულიერო და საერო მწერლობაში დადგენილნი და დამტკიცებულნი არიან გარკვეულნი ცნებანი: ღმერთი=ნათელი; სამება=ნათელი, თვითმყოფი, უსაწყისო, დაუსაბამო, შეუხები...

დღე ღამეს უმტკიცებს, რომ მზე, როგორც უდიდესი ცთომილი, უპირატესია. იგი ბრძენთა და ფილოსოფოსთა ხოტბის საგანია:

„უბრალო სიტყვის მრავლობა ცუდია, ბნელო, ენითა,
უზესთაესი მზე არის, ნუ ხარ ამაზე წყენითა,
რიტორნი, ფილოსოფოსნი აქებენ შუქთა ფენითა,
ვითა შვენოდათ ქებანი, შეასხეს ბრძენთა ენითა“

„ვეფხისტყაოსანში“ მზე სხვა მნათობებზე უმჯობეს ცთომილად არის ჩათვლილი. 1192-ე სტროფში ვკითხულობთ:

„შევე ფიცხლად საჯინიბოს, ავხსენ ცხენი უკეთესი,
შევუკაზმე, ზედა შევსვი მხიარული, არ მოკვნესი,
ჰგვანდა, ოდეს ლომსა შეჯდეს მზე, მნათობთა უკეთესი „

(1192,1-3) [21,246]

ცნობილია წარმართ ფილოსოფოსთა მოძღვრებები მზის, ვროგორც უპირველესი ღვთაების შესახებ, თუმცა ფაქტია, რომ თეიმურაზის ყურადღება ამ ფილოსოფოსთა მიმართ არაა მიმართული. ის გულისხმობს გაცხარებულ ჭეშმარიტებას, ქრისტიან მამათა შრომაში. მისი აზრით ფიზიკური მზე უფალი უდარესია, რადგან ის უფლისგანაა შექმნილი.

„ არა არს ძლიერებით მზე, არც სიმდიდრითა თვისითა,
ღვთისგან არს დაბადებული, ტომი არა ჰყავს თვისითა.“

(31,1-2) [14,5]

დიონისე არეოპაგელის მიხედვით, ღმერთი არის ნათელი და ნათელდასაბამი „ვითარცა ნათელი ჭეშმარიტი, რომლის მიერ მაქუს ჩვენმისლვაი ნათელდასაბამისა მამისა მიმართ“. მზის ნათელი არის ღმერთის სიმბოლო, ხატი, ღვთიური სახიერება, ხოლო მზის, როგორც ღვთაების თაყვანისცემას სასტიკად კრძალავს. იგი, როგორც ღვთის მიერ შექმნილი, თავადაც ანათებს, ბადებს, სრულყოფს ყოველივეს. მისი სინათლე ღვთის, ნათელივით სწვდება ამქვეყნად ყველაფერს: `რამეთუ სახიერებისგან არს ყოველივე და სახე არს სახიერებისად. ამისთვის ნათელთ სახელობით იგალობის სახიერებად, რომელმან მზისა შორის, აჩუნა პირმშოდ ხატი თვის (წმ.დიონისე არეოპაგელი 1991,65.)

იოანე დამასკელი ამბობს, რომ ღმერთი უსაზღვრო და მიუწვდომელია. იგი არ არის აღარცერთი არსებულთაგანი, არამედ ყოველივე არსებულზე მაღლა მდგომია. ამდენად, უპირატესი სახით აღმატება ყოველივე არსებულს. ღვთის ეპითეტებადაც იხმარება ისეთი სახელები, რომლებიც ყველაზე ახლოს დგას მის ბუნებასთან. ამიტომაც, ღმერთი იწოდება მზედ და ნათლად და არა_ბნელად; დღედ და არა ღამედ; ცხოვრებად და არა სიკვდილად. ღვთის სახელთა შორის უმთავრესია სახიერება და არსებობა, რადგან სახიერება არის მიზეზი ყოველგვარი არსებობისა, ხოლო ბოროტება კი - უარსებოა და მხოლოდ სახიერების მოკლებას წარმოადგენს. `ზოგჯერ ყოველივე იმასაც, რაც მტკიცებითად ითქმება ღმერთის შესახებ, აღმატებული უარყოფის მნიშვნელობა აქვს... ვიყენებთ სიტყვას `წყვდიადი, და ამ დროს ბნელს კი არ ვგულისხმობთ, არამედ იმას, რაც ნათელი არ არის და რაც ყოველგვარ ნათელზე აღმატებულია; ანდა ვიყენებთ ხოლმე სიტყვას `ნათელი~, და

ამ დროს იმას ვგულისხმობთ, რაც არ არის ბნელი. ასეთ კონცეფციას აყალიბებდნენ შუა საუკუნეების თეოლოგები.

[http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/164294/1/Disertacia.pdf\(2020.01.02\)](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/164294/1/Disertacia.pdf(2020.01.02))

სამეცნიერო ლიტერატურაში გაჩნდა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ თეიმურაზ მეორე ბოლომდე ვერ გამოკვეთს პოემა „დღისა და ამის გაბაასება“-ში, თუ რომელი სჯობს, დღე თუ ღამე, რადგან კამათში მათ საკმაო და თანაბარი არუმენტები მოყავთ ერთმანეთის საწინააღმდეგოდ და საკუთარი თავის გასამართლებლად. საბოლოოდ, კამათი კი იმით მთავრდება, რომ დღე ამბობს:

„ოდეს იქმნეს აღსასრული, განსჯად ქრისტე გარდმოხდების,
მის წინაშე სამართალი ყველა დღისით გარიგდების,
' თუ არ მართო ჯოჯოხეთში, ბნელი ყველგან განქარდების,
ღამე სრულად უჩინოა, ღვთის მადლითა განათლდები“

საბოლოო სიტყვას პოემაში დღე იღებს, ამიტომაცაა, რომ მკვლევარები საბოლოოდ გამარჯვებულად დღეს მიიჩნევენ. თეიმურაზი გაბაასებისას, რათქმაუნდა ამოსავალ წერტილად ბიბლიას იღებს და თანმიმდევრულად მიჰყვება მოვლემებს. ამიტომაც პოემა „გაბაასება ღისა და ღამისა“ ბიბლიურ - ჰიმნოგრაფიულია.

ღმერთის სამყოფელი „ბნელია“, რადგანაც იგი მიუწვდომელია კაცისთვის და გონებისთვის. ამ წყვილად იწვევს ღმერთის თვალშეუდგამი ნათელი, რომელიც აბრმავებს მხედველობას და ყოველივეს გაურკვევლობის ნისლი მოსავს. სამყარო არის ერთიანობა დადებითისა და უარყოფითისა. ამ უკანასკნელის გარეშე არ არსებობს შემოსაზღვრა. ის, რაც საზღვრის მიღმაა, შემეცნების გარეთ რჩება. ე.ი. მიუწვდომელია, სადაც არაა განსაზღვრულობა, გარკვეულობა, იქ შემეცნება შეუძლებელია, - ამბობს ჰეგელი, - ' წმინდა სინათლე წმინდა სიბნელეა, აბსოლუტურ სინათლეში ჩვენ ვხედავთ ისევე ბევრს და ისევე ცოტას, როგორც აბსოლუტურ ბნელში... წმინდა სინათლე დაწმინდა სიბნელე ესაა ორი სიცარიელე, რომლებიც იგივეობრივია(ბაუჩაძე, 1976:126).

ძირითადი დასკვნები

ამრიგად, ისტორიული ქარტეხილების კვალდაკვალ ქართველობა და ქრისტიანობა სინონიმურ ცნებებად გადაიქცა, რადგან ქრისტიანულ რელიგიას ზოგადად ქართულ ყოფასა და კულტურაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. მისი როლი მკაფიოდ ჩანს ქართველი ხალხის ისტორიულ განვითარებაში. უდავო ფაქტია, რომ ქრისტიანულ-მართმადიდებლური რელიგია მაკონსოლიდირებელ როლს თამაშობდა არა მარტო სულიერი და ეთნიკური ერთობის, არამედ ქვეყნის პლიტიკური გაერთიანების პროცესში. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ უშუალოდ ქრისტიანული რელიგიის წარმოშობა და მისი საქართველოში გავრცელება თანმხვედრი პროცესებია, რაც კიდევ უფრო ამაღლებს მის მნიშვნელობას ქართველთათვის. ეს აისახა ისტორიული ეტაპების კვალდაკვალ როგორც ერის სოციალურ-პოლიტიკურ, ასევე კულტურულ და სულიერი განვითარებაზე და ილუსტრირებული იქნა ქართულ მწერლობაში და როგორც საეკლესიო-სასულიერო და საერო მწერლობის საფუძველი გახდა ძველი და ახალი აღქმა.

ქართულ სალიტერატურო სივრცეში ბიბლიური სიუჟეტების მრავალფეროვნებისა და როლის ანალიზისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეფე-პოეტ თეიმურაზ მეორის შემოქმედების განხილვა, ბიბლიური სიუჟეტების გადმოცემით ის ცდილობდა შეეხსენებინა ქართველი ხალხისათვის ეროვნულობის მთავარი საფუძველი-რწმენის სიმტკიცე, რაც იქნებოდა ერთადერთი ხსნა მწელებლობის ჟამს. პოეტი შეეცადა აღედგინა დაკარგული კავშირი ადამიანურ და ღვთაებრივ (უხილავ) სამყაროს შორის.

თეიმურაზ მეორე თავისი პრინციპებით რჩება ქართველი ერის საქართველოს ბედის გულშემატკვირად. ამიტომაც მისი შემოქმედების მთავარი მიზანია დიდაქტიკური პრინციპი. ნაშრომში განხილულია ადამიანის როლი აღორძინების ხანის მწერლობის ზღურბლზე, რომლის ამოსავალიც მძიმე პოლიტიკური ვითარება იყო. მოვლენების ნათელსაყოფად, განხილულია მე-16--მე-18 საუკუნის საქართველოს, როგორც სოციალური, ასევე პოლიტიკური ვითარება, რომელმაც ახალი პოლიტიკური იმპულსები გაუხსნა ქართულ მწერლობას და მის როლს ქართულ ლიტერატურაში, ამათ კი შემდგომში ღრმა პოლიტიკური დატვირთვა მიიღო, როგორც ქვეყნის ერთიანობის, მისი გამოფხიზლებისათვის ბრძოლის ერთ-

ერთი სიმბოლო, აღწერილია მიზეზები, თუ რა პოლიტიკურმა ვითარებამ შეუწო ხელი მის ჩამოყალიბებას, თითოეული საკითხი, რომელმაც დაიმკვიდრა ადგილი ქართულ ლიტერატურაში, ხალხის პორქუმში ბედის აღმწერია, ქართველმა ხალხმა ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსასვლელად აჩვენა გზა ხსნისა, რომელიც „მზის ღმერთში“ ამოიკითხა.

ნაშრომში განხილულია რელიგიის როლი და მნიშვნელობა ქართულ მწერლობაში, კერძოდ ქრისტიანობის გავლენა ქართულ მწერლობაზე-დასაბამიდან დღემდე. უამრავმა კვლევებმა ნათელყო, რომ ქართული კულტურის დვრიტა მაინც ქრისტიანობა იყო, სწორედ ამიტომ ქართველი ხალხის ინტელექტუალური და სულიერი განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული ქრისტიანობასთან, ასევე გაანალიზებულია, თუ რა როლი და დატვირთვა მიიღო ქრისტიანულმა სარწმუნოებამ აღორძინების ხანის ეპოქაში, რა დანიშნულება ჰქონდა და რა მიზანს ისახავდა თეიმურაზ მეორე თავის შემოქმედებაში, ბიბლიური ელემენტების და ზოგადად ბიბლიის გალექსვით. რომლის შემოქმედების საფუძველი გახდა ძველი და ახალი აღქმა. ბიბლიით დაინტერესება ქართულ ლიტერატურაში უძველესი დროიდან მოდის.

ნაშრომში განხილულია თეიმურაზ მეორის, როგორც მეფის და როგორც პოეტის რთული გზა ქვეყნის ბედთან ერთად, ის საგანგებოდ ეხება ძმათა შორის შუღლის სინდრომის როლს, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მის შემოქმედებაში პოეტის თანამედროვე ქართველთა ყოფა ილანდება, ამიტომაც პოეტს ძველი აღქმის სიუჟეტები საკუთარი ეპოქის მოთხოვნების გათვალისწინებით აქვს გადმოღებული. აღსანიშნავია, რომ თეიმურაზ მეორის შემოქმედება სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე არ არის განხილული ამომწურავად. მეცნიერთა მხრიდან თეიმურაზ მეორის შემოქმედების ბიბლიური მოტივების უინტერესოდ გამოცხადება გამოწვეული უნდა იყოს კომუნისტური რეჟიმის თავისებურებით.

თეიმურაზ მეორე, ბიბლიის გალექსვისას იჩენს საღვთო ცოდნას და გარკვეული ეპიზოდების შესაბამისად ლექსავს მისთვის საინტერესო თემებს. მის შემოქმედებაში ნათლისა და ბნელის სიმბოლიკა ბიბლიური „პატრისტიკული და ჰიმნოგრაფიულია.

ნაშრომში კალმოსანს სურდა ეჩვენებინა, რომ არსებობდა გადაგვარების საფრთხე, აღორძინების ხანის მწერლობაში და როგორც სამშობლოსათვის

გულაღტკინებული მეფე-პოეტი ცდილობს გაადვილოს ხალში ქრისტიანული სული და დიდაქტიკური მორალის გამოყენებით ცდილობს მიზნის მიღწევას და საკუთარი წვლილის შეტანას, როგორც ქართულ მწერლობაში, ასევე ისტორიაში. საინტერესოა მეფე, თეიმურაზ მეორის პორტრეტთან დაკავშირებული ისტორია, რომელსაც ნაშრომში გარკვეული ადგილი უჭირავს, საინტერესოა, ასევე მეფის სამარხის გასნის ისტორია, რომელიც აღწერილია კვლევაში, საინტერესო ცნობებს გვაწვდის მეფეზე. მეფის ცოვრება, მისი აღსასრული და ურწუნელად მოპოვებული ნეშთი, რომელსაც კეთილსურნელება აღხდა გვარწმუნებს იმაში, რომ ჭეშმარიტად შეისმინა უფალმა ლოცვა მართალი მეფისა.

თეიმურაზ მეორის შემოქმედებიდან ამ მიმართულებით განხორციელებული კვლევებისა და ფაქტების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი საკითხები:

1. საგულისხმოა, რომ თეიმურაზ მეორე იყო გამორჩეული პიროვნება არა მხოლოდ თავისი ლიტერატურული შემოქმედებით, არამედ ის იყო ასევე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურა, რომელსაც უწევდა მოღვაწეობა მეტად რთულ სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებაში. კერძოდ, საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციაში არჩევანი უნდა გაეკეთებინა ოსმალეთზე, ირანსა და რუსეთზე. თეიმურაზი და ერეკლე ფიქრობდნენ, რომ კულტურულად და ეკონომიურად ჩამორჩენილი მაჰმადიანური აღმოსავლეთის საპირისპიროდ ერთმორწმუნე და შედარებით ევროპულად მოდერნიზებული რუსეთი ერთადერთი ძალა იყო, რომლის მფარველობითაც ქართველობას შეეძლო ეროვნულ-კულტურული თვითმყოფობის შენარჩუნება. სწორედ ამას უკავშირდება ის, რომ თეიმურაზ მეორემ სიცოცხლის უკანასკნელი პერიოდი რუსეთში გაატარა და იქვე მიიცვალა. თავისი ქვეყნის ხსნის ლოდინში. როგორც ცნობილია გარდაცვალების შემდეგ, თეიმურაზ მეორე, მისივე ანდერძის თანახმად წამოასვენეს საქართველოში. თუმცა ხუთთვიანი მოგზაურობის შემდეგ, ცხედარის გახრწნის თავიდან აცილების მიზნით 1762 წელს დკრძალეს ასტრახანში, ვახტანგ მეექვსის გვერდით. საინტერესოა ის ფაქტი, რომ თითქმის ორი საუკუნის შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გახსნილი იქნა მეფის სამარხი და გვამი უხრწნელი აღმოჩნდა. სწორედ ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა თეოლოგიურ თუ სამეცნიერო

ლიტერატურაში არაერთი მეცნიერული მოსაზრების პარალელურად დამკვიდრდა აზრი, რომ ეს ამოუხსნელი ფაქტი დაკავშირებული იყო მისი სარწმუნოებისადმი სიმტკიცესთან.

2. თეიმურაზ მეორის პოლიტიკური მოღვაწეობის საინტერესო ეპიზოდს ქმნის მისი სურათის ისტორიაც. კერძოდ, როგორც ცნობილია, მისი პორტრეტი დაკარგული იყო. 2018 წელს კი ინგლისში ერთ-ერთ გამოფენაზე გამოტანილი იქნა უცნობი პორტრეტი, რომელსაც მიიჩნევდნენ ისპახანის სკოლის ქერიძეან ზენდის პორტრეტად. მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს იყო რუსი სამეფო კარის მხატვრის ანტროპოვის მიერ შესრულებული თეიმურაზ მეორის პორტრეტი.რაც დადგინდა სწორედ იმ გრავიურების საფუძველზე, რომელიც პეტერბურგის სტამბაში სტუმრობისას უჩუქებიათ მეფისათვის.ამასთან იდენტური აღმოჩნდა გრავიურასა და სამარხის ქვაზე შესრულებული წარწერაც. როგორც ჩანს რუსეთის სამეფო კარისათვის თეიმურაზი არა თუ მისაღები, არამედ პატივსაცემი პიროვნებაც ყოფილა.ამას მოწმობს ის ისტორიული დოკუმენტებიც, სადაც ჩანს თუ რუსეთის საიმპერატორო კარმა როგორი პატივით მიიღო ის.ეს კიდევ უნდა ასახულიყო პოლიტიკურ და დიპლომატიურ ურთიერთობებშიც, რომ არა რუსეთის საგარეო პოლიტიკური სტრატეგიები (კერძოდ, რუსეთეთი თვლიდა, რომ ოსმლეთთან დაპირისპირება ჯერ ნაადრევი იყო მისთვის) და სხვადასხვა შიდა ფაქტორებიც.

3. თეიმურაზ მეორის მოღვაწეობა ემთხვევა გარკვეულ ისტორიულ-კულტურულ,თუ ეკონომიურ ვაკუუმს,. ამავე დროს დასავლეთში იწყება რელიგიური და საკრალური ტექსტების არატრადიციული ინტერპრეტაცია, იცვლება რელიგიური , სოციალური და მეცნიერული ფაქტორებისადმი მიდგომებშიც.

ძირეული ცვლილებები განიცადა ასევე სოციალურმა ფაქტორმაც. კერძოდ, მოხდა მემკვიდრული სოციალური და კულტურული კაპიტალის შესუსტება და გასაქანი მიეცა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. თუ კი, მანამდე ადამიანები მემკვიდრეობით ღებულობდნენ სოციალურ მდგომარეობას და პროფესიაცას კი, ამჯერად, ინდივიდუალური შესაძლებლობების წინ წამოწევამ გამოიწვია სოციალური მობილობის ხარისხის გაზრდა და უკვე მნიშვნელობა აღარ ქონდა თუ რა სოციალურ წრეში, როგორი ეკონომიკური შესაძლებლობის გარემოში, როგორი ღირებულებების წიაღში ან, რომელი რელიგიური მრწამსით აღიზარდა ადამიანი..

განიცადა ცვლილებები რელიგიურმა ფაქტორებმაც, რაც განაპირობა რეფორმაციულმა მოძრაობამ. პროტესტანტიზმის წარმოშობამდე ადამიანები მემკვიდრეობით ღებულობდნენ კათოლიკურ ქრისტიანულ ღირებულებებს, ხოლო რეფორმაციის შემდგომ ადამიანებს ეძლევათ საშუალება თავად აირჩიონ წმინდა წერილების განსხვავებული ინტერპრეტაციები. მოგვიანო პერიოდში კი რელიგიას მთლიანად დაუპირისპირდა განათლება და მეცნიერება, რაც განსაკუთრებით განმანთლებელთა მოსაზრებებში აისახა. საზოგადოებრივი განვითარებისადმი ე.წ. „სამი სტადიის კანონის“ მიხედვით დაგმოვილ იქნა თეოლოგიური სტადია, რამდენადაც მათი შეხედულებით ფუნდამენტალური ქრისტიანული ელემენტები არ იძლეოდა ლოგიკური და მეცნიერული განვითარების საშუალებას. ხოლო რელიგიური ფუნდამენტალიზმის მსხვერვის შემდეგ საზოგადოებრივი განვითარება გეომეტრიული პროგრესით გაიზარდა.

მოგვიანებით კი შეიცვალა მიდგომები და ეკლესია არა თუ უარყოფილი იქნა, არამედ გაბატონდა აზრი იმის შესახებ, რომ რწმენას უნდა დაახმაროს ადამიანმა შესაბამისი ინტელექტუალური ინსტრუმენტალიები. ამდენად, თუ კი გვიან შუა საუკუნეებამდე საზოგადოებას ბრმად სწამდა, რომ რელიგია გადამწყვეთ როლს თამაშობდა ადამიანის მომავალ განვითარებაში, შემდეგ პერიოდში მეცნიერებამ უარყო თეოლოგია და მესამე ეტაპზე კი დაიწყო თეოლოგიური პრინციპების მეცნიერულა შესწავლა.

ნიშანდობლივია, ასევე რომ, რეფორმაციული მოძრაობის პარალელურად საქართველოში პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოება გადაწყვეტს მოზარდ თაობაში ხელი შეუწყოს რწმენის განმტკიცებას, რაც დიდაქტიკურ მოძღვრებაში ქრისტიანობის შერწყმით გააკეთეს. საგულისხმოა, რომ თეიმურაზ მეორეს სწორედ იმ გარდამავალ ეპოქაში უხდებოდა მოღვაწეობა, როცა მეცნიერება ჯერ კიდევ არ იყო სათანადო დონეზე, თუმცა თეოლოგიური ხანა ითვლებოდა სტაგნაციის ეპოქად, ადამიანის განვითარების შემაფერხებლად. სწორედ ამ რთულ ვითარებაში, მეფე-პოეტის შემოქმედებაში ბიბლიური ელემენტების წინა პლანზე წამოწევა, ვფიქრობთ, უდიდესი პასუხისმგებლობა იყო, რამდენადაც საამისოდ ხელშემწყობი ფაქტორის როლს ვერც სოციალურ გარემო თამაშობს და ვერც გეოპოლიტიკური. სამეფო-სამთავროებად დაშლილი საქართველო მოქცეულია ისლამურ რკალში.

4. . ქართულ მწერლობაში ბიბლიური ელემენტების დიდაქტიკურმა ხასიათმა გაგრძელება ჰპოვა მომდევნო პერიოდებშიც, მიუხედავად იმისა, რომ არსებითად შეიცვალა ქვეყნის სოციალ-პოლიტიკური ფონი და შესაბამისად, ქართველი ხალხის სულიერი და კულტურული ყოფა.ამ მრივ აღსანიშნავია მეცხრამეტე-მეოცე საუკუნის მწერლობა, სადაც ასევე ბიბლიური ელემენტები კვლავ აქტუალურია, მაგრამ სახეცვლილი ფორმით. კერძოდ, თუ კი აღორძინების ხანის ეპოქაში ბიბლიური ელემენტების გააქტიურებას ქონდა საზოგადოების გამოფხილვის , მეცხრამეტე საუკუნის მწერლობაში კი, ბიბლიამ მონანიების ფუნქცია იტვირთა.

შუა საუკუნეების ეპოქის საქართველოში არსებულ სულიერ კრიზისს განაპირობებდა სოციალ-პოლიტიკური ცხოვრება. ბიზანტიის დაცემამ და ოსმალეთის იმპერიის ჩამოყალიბებამ საქართველო მოაქცია ისლამურ რკალში და საბოლოოდ მოწყვიტა ევროპულ და ქრისტიანულ ცივილიზაციას, რამაც საფრთხე შეუქმნა საქართველოში ქრისტიანული რელიგიის სიმტკიცეს, მაშინ, როცა ქრისტიანული რელიგია ქართველი ხალხის ეროვნულ სიმბოლოს წარმოადგენდა. პრობლემა აისახა მაშინდელი ეპოქის ქართულ ლიტერატურაში ბიბლიური ელემენტების გააქტიურებით, რასაც ქართველი ხალხის გამოფხილვის მისია ჰქონდა. სწორედ თეიმურაზ მეორემ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება და პოლიტიკური მოღვაწეობა იმაზე ფიქრს შესწირა, რომ საქართველო ეხსნა მაჰმადიანი დამპყრობლებისაგან და იმჟამად ერთადერთ ნათელ წერტილს ერთმორწმუნე რუსეთში ხედავდა. მართალია ეს თეიმურაზ მეორის გარდაცვალების შემდეგ მოვიდა სისრულეში, მაგრამ შემდგომი ეპოქის (XIXსაუკუნე) მოვლენებმა აჩვენა, რომ არც ეს იყო ქართველთათვის გზა ხსნისა. ისლამური იმპერიის ბატონობას ჩაენაცვლა ქრისტიანული რუსეთის იმპერიის ბატონობა, რამაც არანაკლები საფრთხე შეუქმნა ქართველების ეროვნულ თავისუფლებას და სახელმწიფოებრიობას. სწორედ ამის გამოძახილი იყო, რომ ბიბლიური ელემენტები კვლავ აქტუალურ მიმართულებად დარჩა ქართულ მწერლობაში. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ აღნუშნულ ეტაპზე ეს გამოვლინდა მონანიების ფორმით, რაც ქართველ კლასიკოსებთან იგი მთელი სრულყოფილებით აისახა.

თეიმურაზ მორე ცდილობდა საზოგადოებისათვის არსებული რეალობისა და პრობლემის ნათლად წარმოჩენას ლიტერატურული ჟანრით რაც „გაბაასებაში“

ასახა. კერძოდ, ორ მხრეს შორის დიალოგისა და არგუმენტებით მსჯელობის პრინციპით წარმოეჩინა რეალური სურათი, რაც საზოგადოებისათვის უფრო მისაწვდომს და ნათელს გახდიდა არსებულ ვითარებასა და საფრთხეებს. გარკვეული პერიოდის განმავლობაში სამეცნიერო წრეებში მიჩნეული იყო, რომ ეს ჟანრი თავისი წარმოშობით აღმოსავლურ-სპარსულია, თუმცა შემდგომი პერიოდის სხვა კვლევებმა აჩვენა, რომ ლიტერატურულ ჟანრში კმათის ხელოვნების დამკვიდრება სათავეს ჯრ კიდევ ადრეული ეპოქებიდან იღებს. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ აპოლოგეტური ჟანრი ბერძნულ ლიტერატურაში, რომელიც ქრისტიანული რელიგიის დაცვის მიზნით გამოიყენებოდა. ძველ რომში, მეორე საუკუნეში ქრისტიანულმა საზოგადოებამ გარკვეულწილად მოიკიდა ფეხი, თუმცა ამ დროისათვის მნიშვნელოვანი იყო იუდაური და წარმართული საზოგადოების უნდობლობისა და მტრული განწყობის გარღვევა. საჭირო იყო პროპაგანდისტული მუშაობა ახალი რელიგიის უპირატესობის წარმოსაჩენად და მისთვის ახალი მიმდევრების მოსაპოვებლად. მნიშვნელოვანი იყო, ის რომ სისხლიანი დაპირისპირება, რასაც მანამდე ჰქონდა ადგილი შეიცვალა დაპირისპირებულ მხარეთა დიალოგითა და კამათით და ეს როლი იტვირთა ლიტერატურულმა შემოქმედებამ, რომელიც ამ დროისათვის მისიონერულ დანიშნულებას ატარებდა. სწორედ, აქედან იღებს სათავეს ბერძნულ ლიტერატურაში აპოლოგეტური ჟანრი ანუ დაპირისპირება ვერბალურად არგუმენტების ჭიდილით. აპოლოგეტურ ლიტერატურაში ბუნებრივი იყო პოლემიკური ტონი, მოწინააღმდეგეების არგუმენტების მოშველიება და მათთან კამათი.

6. ზოგადად, ქართული ლიტერატურაში ხშირად ვხვდებით რელიგიურ სახე-სიმბოლოებს, რაც ღიად თუ დახურულად ატარებს ბიბლიურ-ქრისტიანულ იდეოლოგიას. რელიგიურ შეხედულებებს განიხილავდნენ და ალეგორიულ-მისტიკურ შრეებს ეძებენ მათ ნააზრევში. ქართული ლიტერატურა ზოგადად უხვად ინახავს ქართულ ნაწარმოებებში უფლის სახე-სიმბოლოებს. მაგალითად, თეიმურაზ პირველის „ვარდულებულიანი“ „ლეილმაჯუნჯიანი“. ასევე, თეიმურაზ მეორის შემოქმედებაშიც დიდაქტიკური მოტივის გასაძლიერებლად აქტუალურია სახე-სიმბოლოების გამოყენება. მაგალითად, დღე და ღამე, მზე და მთვარე, ვარსკვლავები

და ასე შემდეგ გამოყენებულია სიკეთის, ბოროტების, ღმერთის შვილების სიმბოლოდ.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სამყაროში არსებული სხვადასხვა მოვლენებისა თუ საგნების სიმბოლური დატვირთვის ტენდენციით ხასიათდება არა მარტო ქრისტიანული რელიგია, რომლის მოტივებზეა აგებული ძირითადად ქართული ლიტერატურის იდეოლოგია, ასევე სხვა აბრაამისტული რელიგიებიც. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ მთის სიმბოლური დატვირთვა. იუდაისტური მოძღვრების თანახმად სახელი „იაჰვე“ იეჰოვა მოსეს უუწყა ჯერ ქორიბის მთაზე, შემდეგ კი სინას მთაზე. მოსე იყო მეორე, ვისთანაც საუბარი ინება უფალმა და აუწყა: „ მე ვარ, რომელიც ვარ“. ღმერთი მოსეს მეშვეობით ებრაელ ხალხს ორი ფიქლის ქვაზე დაწერილ ათ მცნებას აძლევს და მას ათავსებენ ერთგვარ სკივრში, რომელსაც იუდაიზმში აღქმის კოდობანი ეწოდება.

მთის სახესიმბოლო გამოყენებული არის ისლამშიც. როგორც ე.წ. „სუნას“ ანუ წმინდა წერილების მიხედვით ცნობილია წინასწარმეტყველი მუჰამედი მთაზე ადიოდა და მხოლოდ იქ ესმოდა ღმერთის შთაგონება, რომლის მიხედვით შეადგინა წმინდა წიგნი ყურანი.

7. სადისერტაციო ნაშრომში გამოიკვეთა მიმართება თეიმურაზ მეორის ძეგლსა და ბიბლიას შორის თუ რამდენად მისდევს ბიბლიის ტექსტს ავტორი. თეიმურაზ მეორის ბიბლიის ეპიზოდების გალექსვა გარკვეული გზავნილია რწმენადაკარგული საზოგადოებისათვის და ის თავისი შემოქმედებით მოუწოდებს მომავალ თაობას თვითგადარჩენისათვის რწმენისაკენ შემობრუნებას. საამისოდ ის ბიბლიის სიუჟეტებს აცოცხლებს და ნათქვამის გამეორებით-„სარკეთქმულით“ ცდილობს კიდევ უფრო ნათელი მოჰფინოს მის მნიშვნელობას საზოგადოების გადარჩენისათვის. და როგორც მკვლევარები მიუთითებენ ისტორიაში „დიდ ღამედ“ ცნობილი ოთხსაუკუნოვანი დუმილის შემდეგ თეიმურაზ მეორის მოვლინება, 112 წლის შემდეგ თითქმის გამაჰმადიანებულ საქართველოში ბაგრტის ტაძარში ქრისტიანული წესით მეფედ კურთხევა იყო ქვეყნის ხსნა, ხოლო მისი შემოქმედება გარკვეული გავლენაა საზოგადოებაზე ახალი შეხედულების ჩამოყალიბების გზაზე, არსებული რეალობის სწორი დანახვისა და სინამდვილით აღქმისადვის, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თეიმურაზ

მეორეს თავისი შემოქმედებით და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობით ქართულ ლიტერატურაში საპატიო ადგილს იკავებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალფეევი ი.,სარწმუნოების საიდუმლოება,თბ.,2013
2. ახალი აღთქმა, თბ., 1991
3. აფრიდონიძე თ.,მართლმადიდებლობა და ქართული ეროვნული ცნობიერება. თბილისი, 2006
4. ბარამიძე ალ., თეიმურაზ მეორე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, კ. კეკელიძისა და ალ ბარამიძის რედაქტორობით, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ.,1987
5. ბარამიძე ალ., რეალისტური ნაკადის შესახებ XVII-XVIII სს. ქართულ ლიტერატურაში, ლიტერატურული ძიებანი, ტ. IX,თბ.,1989
6. ბაუჩაზე თ., ჰეგელი და ფილოსოფიის არსების პრობლემა,თბ., მეცნიერება, 1976
7. ბერძენიშვილინ. „ჯავახიშვილი ივ.,ჯანაშია ს., საქართველოს ისტორია, ნაწილი I, ჯანაშიასს., რედაქციით, მესამეგამოცემა, თბილისი,1948
8. ბერძენიშვილი ლ.სამყაროს მთავარი წიგნი-როგორია ბიბლიის გავლენა ხელოვნების სხვსდსხვა სფეროზე, სტატია.2019)
9. ბიბლიაძველიდაახალიაღთქმა,ბიბლიისთარგმნისინსტიტუტი, სტოკჰოლმი,2022
10. ბალაძე მ., მხატვრულსახეთასისტემააკაკიწერეთლისპოემებში, სადისერტაციო ნაშრომი, ბათუმი, 2017.
11. ბუაძე თ., პიროვნების ცნების ეთიკურ რელიგიური ასპექტები, თბ.2014
12. ბუაძე თ., რენესანსი და ქრისტიანობა, ჟურ. „გული გონიერისა,# 9,თბ.,2014
13. ბუბუტეიშვილი ლ.,საღვთისმშობლო სიმბოლიკა V-XI საუკუნის ქართულ წერლობაში, (სადისერტაციო ნაშრომი)თბ.,2009
14. გიორგაძე მ., აპოლოგეტიკა-ქრისტიანული მწერლობის ერთ-ერთი უძველესი ჟანრი, კრებ. „ბიზანტიოლოგია საქართველოში-2,ტ.1,,ლოგოსი“, თბ.,2009
15. გიორგაძე მ.,არისტიდეს აპოლოგიის თემები ქართულ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში,კრებ.ბიზანტიოლოგია საქართველოში,“ლოგოსი“თბ.2007

16. გიბსი 2005: კარლ ბ. გიბსი. ბიბლიის განმარტების პრინციპები, გლობალური უნივერსიტეტი, ტეხასი
17. .გრიგალაშვილილ.,კვლავ ძველი ქართული მწერლობის პერიოდებისა და მიჯნებისათვის, თბ., 2008
18. /„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“/. (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები 1964
19. გურამიშვილი დ., `დავითიანი, მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა,თბ., 1977
20. დარჩია ბ., თეიმურაზ მეორე, მოკლე შემოქმედებითი ბიოგრაფიები, „ქართული მწერლობა“, `გამომც. „ნაკადული“,თბ., 1990
21. დოჩანაშვილი ელ., , ბიბლია (მცხეთური ხელნაწერი), გამომცემლობა მეცნიერება, თბ., 1981
22. ერიაშვილი.ნ., სოციოლოგია იურისტებისათვის,2011
23. თამარაშვილი მ.ქრისტინაობა წარსული, აწმყო,მომავალი.თბ., 1995
24. თინიკაშვილი დ.მ ჯაში ზ., მსოფლიო რელიგიები, თბ.,2011
25. ჩოგოვაძე ლ.,თეიმურაზ მეორის პოეზია,“ქართველური მემკვიდრეობა“,2017.
26. კიკნაძე ზ., საუბრები ბიბლიაზე, „მეცნიერება“, თბ.,1989
27. კეკელიძე კ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, „მეცნიერება“ ტ. II, თბ.,1981
28. .კეკელიძე კ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან,, ტ. XIV, მეცნიერებათა აკადემია, თბ., 1986
29. ლორთქიფანიძე ე., თეიმურაზ მეორის დიდაქტიკური შეხედულებანი, თბ.,1982
30. ჟურნ. ლიტერატურა და ხელოვნება, თბ.,1945:#2
31. მოსია ტ., საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1996
32. .მახარაძე მ.,რენესანსიჰუმანიზმიდაქართულირენესანსისსაკითხები, გამომცემლობა „მოთარუსთაველისსახელობისუნივერსიტეტი“, ბათუმი, 2009

33. .მაჭარაძე ვ., მასალები XVIIIსაუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწილი II თეიმურაზის ელჩობა, თბ.,1968
34. მარტვილობაი შუმანიკისი (IV,9-11.),ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები,I,თბ.,1963
35. ნუცუბიძემ., შრომები, ტ. IV, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1976
36. პაიჭაძე დ.,ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიცია და საქართველო, თბ.,1967
37. პაიჭაძე თ., აღვამაღლოთ რჩეული ერისაგან ჩემისა ,ცხოვრება მეფე თეიმურაზ მეორისა და ზაქარია ხუცესისა.თბ.2019
38. პაიჭაძე თ., „ილიას ფაქტორი მითმთხზველობის ხანაში“, ილია ჭავჭავაძე და მისი ეპოქა,საერთააშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ.,2008)
39. პაპუაშვილი ნ., საღვთისმეტყველო კრებული.1,1991
40. .ჟორდანიას თედო ანტონ1, თბ.,2012
41. როგავა თ., თეიმურაზ მეორე და ბიბლია, (სადისერტაციო ნაშრომი)თბ., 2009
42. რუხაძემ გრ, მსოფლიო საეკლესიო კრებები, დოგმატური ღმრთისმეტყველება, შუადგინა საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბ., 2004
43. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.IV,გვ. 4-5, თბ., 1973
44. საქ.ისტორია , ნაწილი I, თბილისი, 1958
45. სარკე თქმულთა, თქმული მეფის თეიმურაზის მეორისა, გრიგოლ ქორქიშვილის გამოცემა, II, ქუთაისი, ქუთაისის ლუბერნსკის სტამბა. 1870
46. ტაბაღუა ი.,საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, თბ., 1989
47. (წმ.დიონისეარეოპაგელი 1991: 223).
48. ჭავჭავაძე ი., -მოთხრობები , პირველი ნაწილი, თბილისი 2011
49. ჭავჭავაძე ი., თხზულებანი, ტომი 1, თბ.,1984

50. ფირალიშვილი ზ.,XVI-XVIII საუკუნეების ქართული სულიერების ბედი ,XVI-XVIII საუკუნეების ქართულილიტერატურაადმოსავლური და დასავლური კულტურულილიტერატურული პროცესების გზაშესაყარზე,შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო საგრანტო ფონდის პროექტი.თბ.,2012
51. ქართლის ცხოვრება,აღწერა სამეფოსი საქართველოსა,ს.ყაუხჩიშვილის რედაქტორობით, თბ., საბჭოთა საქართველო,ტ. IV 1973
52. ქართულიმწერლობა, ქართულიმწერლობა, ტ.V თბილისი, 1988
53. ქართული ისტორიული ძეგლები ქალაქ ასტრახანში, თბილისი,1974
54. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, (ყოფილი საეკლესიო მუზეუმისკოლექციისა), თ. ჟორდანიას რედაქტორობით, თბ., 1943
55. ქავთარია მ., ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან XVII-XVIIIსს,1945
56. ქიქოძე ბ. გაბაასების ჟანრის ისტორიისთვის, ბათუმი, აჭარის სსრ. სახელმწიფო გამომცემლობა, 1955
57. ქუთაისის ნ.ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები,კრებული IVთბილისი,1984.
58. ხარაბაძე ე., მეგზური,თბილისი, 1980
59. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ძველი ქართული, I, შედგენილი ს. ყუბანიშვილის მიერ. თბილისი,1946
60. ძველიქართულიაგიოგრაფიულილიტერატურისძეგლები(გრიგოლ ანცდელის ცხოვრება), თბ., 1964
61. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, მარტვილობა ევსტათი მცხეთელისა, ტ. I, თბ.,1963
62. ჯაკობია გ., თეიმურაზ მეორე ,თხზულებათა კრებული, თბილისი, 939
63. ჯავახიშვილი ი., ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბილისი, 1945
64. ჯაფარიძე ა., საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია ,თბ., 2009
65. ჯიჯიშვილი შ., სემიოტიკა, ნაწილი 2,თბ.,2016
66. ჭელიძე ე.წმ.დიონისეარეოპაგელი 1991.
67. <http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/164294/1/Disertacia.pdf?fbclid=IwAR21Z8wRMVqesniCDytGqjsqtZJ0NyW16EYRAnltv0fINwP4LMHI9Xywwp0>:2.02.2018

68. [.https://www.facebook.com/flx/warn/?u=http%3A%2F%2Fdspace.nplg.gov.ge%2Fbitstream%2F1234%2F164294%2F1%2FDisertacia.pdf%3Ffbclid%3DIwAR2LtPWve051RCpfV](https://www.facebook.com/flx/warn/?u=http%3A%2F%2Fdspace.nplg.gov.ge%2Fbitstream%2F1234%2F164294%2F1%2FDisertacia.pdf%3Ffbclid%3DIwAR2LtPWve051RCpfV)
Mjv 30.06.2018

69. [http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/96147-%E1%83%AB%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%98/85/\(30.06.2010\)](http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/96147-%E1%83%AB%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%98/85/(30.06.2010))

70. [.http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/2957/1/SakartvelosIstoriisNarkvevebi_Tomi_IV_1973_Nacili_I.pdf](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/2957/1/SakartvelosIstoriisNarkvevebi_Tomi_IV_1973_Nacili_I.pdf) 21.062019.

71. <http://kartvelologybooks.tsu.ge/uploads/book/laura%20grigolashvili.pdf> 8.07.2010

72. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/8483/1/Religiebi_Saqartveloshi.pdf 27.06.2019

73. <http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/164294/1/Disertacia.pdf> 20.06 2019.

74. <http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/164294/2/Avtoreferati.pdf> 01.07 2019

75. <https://www.youtube.com/watch?v=Rrj2Zmk98fw&feature=share> 2019,21 ივლი

76. <https://www.youtube.com/watch?v=Rrj2Zmk98fw&feature=share> 2019,21 ივლი

77. <https://www.droni.ge/?m=14&AID=22639> 05.01.2020 .

78. https://l.facebook.com/l.php?u=https%3A%2F%2Fwww.bsu.edu.ge%2Ftext_files%5B32Fge_file_6138_1.pdf%3Ffbclid%3DIwAR3bhUzT1ZolWSwuwracs-ra4JraoPC8q-rtLZKNqomnslU5eoBihqC3QRm4&h=AT2-H5iYtewvmclgrcd2BJKHiOtJ5cuXy-cO7V3_S0yp5A80l7J3KibjKievqg7CZjlcVXBeoNYIQIV-tnFU3OF7nrndQdBGMMuVny-xN8UfgebKqyYSo9yHVt6x7bYpDKAt0g2020 წელი 8 იანვარი.

79. https://l.facebook.com/l.php?u=http%3A%2F%2Fdspace.nplg.gov.ge%2Fbitstream%2F1234%2F164294%2F1%2FDisertacia.pdf%3Ffbclid%3DIwAR33FWgPMa0uHAtG_rUwFVGmQrjWmTR2rczTRCFEDNMELA-51QU0acWUGQc&h=AT2-H5iYytewvmclgrcd2BJKHiOtJ5cuXy-cO7V3_S0yp5A80l7J3KibjKievqg7CZjlcVXBeoNYIQIV-tnFU3OF7nrndQdBGMMuVny-xN8UfgbKqyYSo9yHVt6x7bYpDKAt0g 2020 წელი, 9 იანვარი.

80. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1---0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&c=civil2&cl=CL2.19&d=HASHdb7c5f9bd0370187c6ed7e.2.2.2> 23.06.2019

81. შმემანი, Протоиерей Александр Шмеман. Исторический путь Православия. Нью-Йорк: 1953

81. ზოიძე ი., CONVERSATION IN OLD GEORGIAN WRITING, ჟურნალი "ISPEC" თურქეთი, ანკარა, 2020

82. ზოიძე ი., რელიგიური ელემენტები ქართულ მწერლობაში (თეიმურაზ მეორის შემოქმედების მიხედვით), ჟურნალი "განათლება", თბილისი, 1(29) 2020

83. ზოიძე ი., აღორძინების ხანის მწერლობა, მისი ძირითადი მიმართულება და დანიშნულება, ჟურნალი „განათლება“, თბილისი, 2(29) 2020